www.24saati.ge

# 24 საათი

© გაზეთი 24 საათი | ორშაბათი 29 დეკემბერი, 2008 წელი. №292 (2036) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

პრესომბუდსმენი
A3



მკვლელობის დამკვეთმა 2 მილიონი დოლარი გადაიხადა
A6



"ჩამოსხმული ტყვია" ღაზაში
A7



სცენაზე - სუხიშვილები
A11



# მთავრობა კვირაობითაც მუშაობს...

## 2008 წლის ბოლო სხდომა

დათო გამისონია

*გუშინ გამართულ მთავრობის ღია სხდომას, რომელსაც, მინისტრებთან ერთად, გუბერნატორებიც დაესწრნენ, პრეზიდენტი თავად უძღვებოდა. მთავრობა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისგან დაცვის სტრატეგიაზე მსჯელობდა. აგვისტოში რუსეთის აგრესიის გამო საქართველოს ხელისუფლება იძულებული გახდა, ეკონომიკური რეცესიიდან გამოსვლის გზებზე დაეწყო მუშაობა, ამგვარად ქვეყანა ოქტომბერ-ნოემბერში კარზე მომდგარ კრიზისს გარკვეულწილად მომზადებული შეხვდა. ჯერ კიდევ 22 ოქტომბერს, ბრიუსელის კონფერენციაზე საქართველოსთვის 4,5 მლრდ. დოლარის გამოყოფის შესახებ მიიღეს გადაწყვეტილება. "ახლა ბევრი ქვეყანა ითხოვს ანალოგიურ დახმარებას, მაგრამ ეს ამ დროისთვის ერთადერთია," - აღნიშნა მთავრობის სხდომაზე ფინანსთა მინისტრმა.*

გაგრძელება A2 გვერდზე



*მთავრობამ პრეზიდენტს ანგარიში ჩააბარა.*

# ლიტვური მხარდაჭერა

საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფ ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრი ვიგაუდას უშაცკასი გუშინ ქართულ სახელისუფლებო წრეებისა და ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენლებს შეხვდა.

მოლაპარაკებათა "კასკადი" ვიცე-პრემიერ გიორგი ბარამიძესთან დიალოგით დაიწყო. ამ შეხვედრის ერთ-ერთი მთავარი თემა საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პრიორიტეტები და საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული რეფორმები იყო. ბარამიძემ და უშაცკასმა ასევე განიხილეს საქართველოსა და ლიტვას შორის ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები.

ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ ლიტვის ახალი მთავრობის პოზიცია საქართველოსთან დაკავშირებით არ შეცვლილა. მან კიდევ ერთხელ გამოხატა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი, ასევე საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციისადმი ლიტვის ურყევი მხარდაჭერა.

გაგრძელება A2 გვერდზე




24 საათი
"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
BORJOMI ბორჯომი
GRDC group
ჯი პი აი

### ორი სიტყვით

**თბილისი.** სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა, ილია II-მ სამების საკათედრო ტაძარში, 2008 წლის ბოლო საკვირაო ქადაგებისას, მრევლს დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა და მშვიდობა უსურვა. **ინტერპრესნიუსი**

**თბილისი.** ლუბლიანას ქ. #21-ში, იძულებით გადაადგილებულ პირთა საერთო საცხოვრებელში გაჩენილი ხანძარი ლოკალიზებულია. ხანძრის შედეგად სამი ადამიანი დაშავდა. დაიწვა 4-სართულიანი სახლის მანსარდა, 15-20 კვადრატული მეტრი. ხანძარი ელექტროსადენებს გაუჩნდა. **ინტერპრესნიუსი**

**სოხუმი.** დიდი ბრიტანეთის ელჩი საქართველოში დენის კიფი და საელჩოს პოლიტიკური მდივანი რებეკა ლოუნი დღეს ორდღიანი ვიზიტით სოხუმს ეწვევიან. **ინტერპრესნიუსი**

**თბილისი.** 2009 წლიდან სახელმწიფოს მიერ მოქალაქეების დაზღვევის პაკეტი გაფართოვდება. მომავალი წლიდან სახელმწიფო დაახლოებით 1 მლნ 200 ათას მოქალაქეს დააზღვევს. **ინტერპრესნიუსი**

**გალი.** გალის რაიონის სოფელ სიდაში რუსი ოკუპანტების სამხედრო ნაწილის მოწყობა მიმდინარეობს. **ინტერპრესნიუსი**

**ცხინვალი.** ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის უკანონო შეიარაღებული ფორმირებების სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც აგვისტოს მოვლენების დროს დაზარალდნენ, რეაბილიტაციას რუსეთის ფედერაციის სამხედრო პოსპიტლებში გაივლიან. **ინტერპრესნიუსი**

### ოკუპანტები და მარიონეტები ყაჩაღობაზე გადავიდნენ

გალის რაიონის სოფელ ნაბაკევიდან ზუგდიდის რაიონისკენ მიმავალ ავტობუსს შეიარაღებული აფხაზები დაესხნენ თავს.

ადგილობრივი მოსახლეობის განცხადებით, მათ ზუგდიდში გასაყიდად გადმოჰქონდათ პროდუქტი, ფრინველი და პირუტყვი. თავდასხმა სწორედ ამ დროს მოხდა. მათ ყველაფერიწაართვეს და გარკვეული ხნის განმავლობაში დაკავებულიჰყავდათ. ადგილობრივი მოსახლეობა აცხადებს, რომ ახალი წლის მოახლოებასთან ერთად აფხაზი და რუსი შეიარაღებული პირების აგრესია იზრდება და ისინი ქართველებისგან საკვებ პროდუქტს მოითხოვენ. **ინტერპრესნიუსი**

### გრიგორ ვაშაძის შეფასებები

"საქართველოს წინააღმდეგ ომი არ დასრულებულა, რუსეთის აგრესია გრძელდება", - ეს განცხადება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა.

იგი გამოეხმაურა გალის რაიონში დაძაბულ ვითარებას. როგორც მინისტრმა აღნიშნა, რუსეთს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ხელს უშლიან ევროპელი დამკვირვებლები და რუსეთი, ერთი მხრივ, ცდილობს ჩამოიშოროს საერთაშორისო ორგანიზაციები, მეორეს მხრი, - გაწმინდოს ოკუპირებული ტერიტორიები ქართული მოსახლეობისაგან და ამასთანავე შექმნას მუდმივი დესტაბილიზაცია.

გრიგოლ ვაშაძის განცხადებით, ევროპელი დამკვირვებლები ქართული მოსახლეობისთვის უსაფრთხოების გარანტიაა და აქედან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლება აუცილებლად იზრუნებს იმაზე, რომ ეს კომპონენტი გაძლიერდეს. **ინტერპრესნიუსი**

### ურთიერთბრალდებები გრძელდება

"გორის რაიონის სოფელ დიცში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცრაზმი არ შეუყვანია", - აცხადებს შიდა ქართლის სამხრეო პოლიციის უფროსი ვლადიმერ ჯუღელი.

"წუხელ დიცის საგუშაგოზე ოსური მხარის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან ნასროლი ტყვიით სპეცრაზმის ერთი წევრი დაიჭრა და მის გამოსაყვანად "კობრას" ეკიპაჟით შევედით, თუმცა ეს ეკიპაჟი სოფლიდან ისევ გამოვიდა. დიცში სპეცრაზმის არანაირი დამატებითი ძალა არ არის შეყვანილი", – აღნიშნავს ჯუღელი. ინფორმაცია სოფელ დიცში ქართული სპეცრაზმის ასეულის შეყვანის შესახებ ცხინვალის მარიონეტულმა რეჟიმმა 27 დეკემბერს, გვიან ღამით გაავრცელა. ე.წ. თავდაცვის მინისტრის მოადგილის იბრაგიმ გასეევის განცხადებით, ქართული მხრიდან პროვოკაციის თავიდან აცილების მიზნით, ოსური პოსტები გაძლიერებულია. თავის მხრივ, ცხინვალის მარიონეტული რეჟიმი გორის რაიონის სოფელ დიცის ქართული პოლიციის საგუშაგოზე ქართველი პოლიციელის დაჭრის ფაქტთან კავშირს უარყოფს.

"სამხრეთ ოსურ მხარეს ამასთან არანაირი კავშირი არ აქვს. როგორც ჩანს, ეს მთვრალების მორიგ გარჩევებთან არის დაკავშირებული, რაც ქართულ პოსტებზე ბოლო დროს ხშირად ხდება", - აცხადებს გასეევი. **ინტერპრესნიუსი**

# მთავრობა კვირაობითაც მუშაობს...

პირველი გვერდიდან

**"ბოლო დროს საქართველოს მთავრობა კვირაობითაც მუშაობს. მაგრამ მძვინვარე ეკონომიკური კრიზისიდან გამომდინარე, ეს გასაკვირი არ არის. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა ჩვენთან არსებული ეკონომიკური შენელება არ გადაიზარდოს ისეთ უბედურებაში, როგორიც არის უკრაინაში, უნგრეთში, რუსეთში, ბალტიის ქვეყნებში და ეს სულ უფრო მატულობს მეზობელ თურქეთში. რამდენიმე ამოცანა დავსახეთ იმისთვის, რომ ეს ზამთარი კარგად გადავიტანოთ. პირველი მიღწევა არის ენერგეტიკის სისტემის მდგრადობა, რომელიც წინა წლების სამუშაოების შედეგია,"** - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა მთავრობის სხდომაზე. მან ენერგეტიკის მინისტრ ალაქსანდრე ხეთაგურისგან მოისმინა, რომ პრაქტიკულად ყველგან სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულებულია. **"ენერგოსისტემა მზად არის კიდევ უფრო მეტი გამოწვევების გასაძლებად,"** - განმარტა ხეთაგურმა.

გუშინდელ მთავრობის სხდომაზე ეკონომიკური კრიზისიდან დაცვის სტრატეგია წარმოადგინა ფინანსთა მინისტრმა ნიკა გილაურმა. მისი თქმით, დონორებისგან მიღებული თანხები მაქსიმალურად დაიხარჯება ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტების განხორციელებაზე. ბიუჯეტიდან მიმართული თანხებით კი მაქსიმალურად უნდა შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილები, რათა ჯამში მათი საერთო მაჩვენებლის კლება არ მოხდეს. **"გასულ წლებში ბიუჯეტის საკმაო ნაწილი იმპორტზე მიიმართებოდა, ახლა აქცენტი კეთდება ეკონომიკის კომპლექსურად დაფინანსებაზე. გარდა ამისა, დაჩქარებულად ვმუშაობთ დონორებთან, რათა მათ საკუთარი დაპირებები შეასრულონ. ამიტომ 602 მილიონი დოლარი უკვე მიღებული გვაქვს, 330 მილიონს უახლოესი ორი-სამი თვის განმავლობაში ველოდებით. ხოლო 1.8 მილიარდ დოლარზე შეთანხმებას მივაღწიეთ და მის მიღებას უახლოეს მომავალში მოეწერება ხელი. ამ გზით შემოსული თანხის ნაწილი მიიმართება საგზაო და ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარებაში, რაც ერთობლივად დიდი რაოდენობით სამუშაო ადგილებს შექმნის, საცხოვრებელ პირობებსაც გააუმჯობესებს და პერსპექტივაში, ტურიზმის განვითარების კუთხით, მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია,"**- განაცხადა გილაურმა.

სახელმწიფო სტრატეგიის მეორე ნაწილი სოციალური დაცვის გაძლიერებაა. ამიტომ 2006 წლის შემდეგ ამ კუთხით ბიუჯეტი გაორმაგდა და 2009 წელს 1.6 მილიარდ ლარს შეადგენს. სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი 400 ათასი ადამიანის ნაცვლად, ყოველთვიურ დაფინანსებას 900 ათასი მიიღებს. 90-იანი წლებში იძულებით გადაადგილებული ადამიანების საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად კი 138 მილიონი ლარია გამოყოფილი. დაგეგმილია მასწავლებლებისთვის ხელფასების გაზრდაც.

მესამე მნიშვნელოვანი საკითხი საერთაშორისო ინვესტორებისთვის დამატებითი გარანტიების შექმნაა, რათა საქართველოს ეკონომიკამ მეტი მიმზიდველობა შეიძინოს. ეკონომიკური სტიმულირების პაკეტის შესახებ საუბრისას გილაურმა განმარტა, რომ გამარტივდება საგადასახადო და საბაჟო კოდექსები.

პრეზიდენტი თავის მხრივ იმედოვნებს, რომ 2009 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებები დაიდება.

# ლიტვური მხარდაჭერა

პირველი გვერდიდან

**"საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ქარტიის გაფორმება იქნება ძალიან სერიოზული პოლიტიკური სიგნალი, რასაც ლიტვა მხარს უჭერს,"** - ეს განცხადება კი ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვიგაუდას უშაცკასმა საქართველოს საგარეო პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა.

მისი თქმით, ზუსტად ათი წლის წინ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ბალტიის ქვეყნებს შორის ანალოგიური ქარტია გაფორმდა, რაც ისტორიული მოვლენა იყო. მინისტრის განცხადებით, ლიტვა მიესალმება ამერიკისა და საქართველოს მთავრობებს შორის მსგავსი ხელშეკრულების გაფორმებას.

თავის მხრივ, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ აღნიშნა, რომ ქარტიის ტექსტი ჯერ კიდევ შემუშავების პროცესშია. მისივე თქმით, სიმბოლურია ის, რომ ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტი საქართველოში ემთხვევა ბალტიის ქვეყნებისა და ამერიკას შორის ანალოგიური ქარტიის გაფორმების 10 წლისთავს.

ვაშაძის განცხადებით, აშშ-ს ხელისუფლებამ შეგნებულად დაამთხვია ქარტიის გაფორმების დრო გარდამავალ პერიოდს ძველ და ახალ ადმინისტრაციებს შორის, რადგან, მისი თქმით, აშშ-ს პოლიტიკა საქართველოსადმი არის ორპარტიული და იგი არ შეიცვლება, მიუხედავად იმისა, თუ რომელი პარტია მოვა ქვეყნის სათავეში. როგორც ვაშაძე აღნიშნავს, ქარტიის გაფორმება საქართველოსა და აშშ-ს შორის ისტორიული მოვლენა იქნება.

ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრი გუშინ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებსაც ესაუბრა. დიალოგი დახურულ ფორმატში გაიმართა. შეხვედრას ესწრებოდნენ როგორც საპარლამენტო, ასევე, არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები.

შეხვედრის დასრულების შემდეგ ოპოზიციონერმა დეპუტატმა გია თორთლაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრთან ისაუბრეს რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობაზე, ასევე, სტუმარს გააცნეს საკუთარი ხედვა შექმნილი კრიზისიდან გამოსვლასთან დაკავშირებით.

„მრეწველთა" ლიდერმა ზურაბ ტყემალაძემ კი აღნიშნა, რომ ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრთან ისაუბრეს ნატო-ში საქართველოს ინტეგრაციაზეც. ტყემალაძეს მიაჩნია, რომ ეს პროცესი რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოხდეს, რადგან, თუ საქართველო საკუთარ ტერიტორიებს დაკარგავს, შემდეგ უკვე ნატო-ში გაწევრიანება გვიანი იქნება.

გუშინვე, საღამოს, ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრმა, პრეზიდენტ სააკაშვილთან ერთად, რესპუბლიკის მოედანზე თბილისის მთავარ ნაძვის ანთების ცერემონიალში მიიღო მონაწილეობა.

*საკუთარი ინფორმაცია*

# დავით ბაქრაძე საკონსტიტუციო ცვლილებებს და "ქართულ-ამერიკულ ქარტიას" მიესალმება

პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე კონსტიტუციაში დაგეგმილ ცვლილებებს ხელისუფლების სხვადასხვა შტოებს შორის სწორი კონსტიტუციური ბალანსის დასამყარებლად წინ გადადგმულ ნაბიჯად აფასებს. ეს ცვლილებები პარლამენტის ბიუროს დღევანდელ სხდომაზე იქნება ინიცირებული.

ბაქრაძის თქმით, საკონსტიტუციო ცვლილებები მკვეთრად შეზღუდავს პრეზიდენტის უფლებამოსილებას პარლამენტის დათხოვნასთან დაკავშირებით და მას იშვიათ და რთულად გამოსაყენებელ მექანიზმად გადააქცევს.

ცვლილებების მეორე ნაწილი კი, როგორც დავით ბაქრაძე ამბობს, მკვეთრად გაზრდის პარლამენტის ფუნქციას მთავრობასთან მიმართებაში - გაიზრდება მთავრობის კონტროლი პარლამენტის მხრიდან და გაიზრდება მთავრობის ანგარიშვალდებულება პარლამენტის მიმართ.

საკონსტიტუციო ცვლილების ინიცირების შემდეგ ერთი თვე პროექტის საჯარო განხილვებს დაეთმობა, რომლის დროსაც, როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა, მთელ საზოგადოებას ექნება საშუალება, მოსაზრება დააფიქსიროს.

პარლამენტის თავმჯდომარე ამერიკასა და საქართველოს შორის სტრატეგიული თანამშრომლობის დოკუმენტზეც საუბრობს და აღნიშნავს, რომ მასში სამხედრო ბაზებზე საუბარი არ იქნება.

თუმცა, დავით ბაქრაძემ იქვე დასძენს, რომ დოკუმენტის ხელმოწერამდე წინასწარ დეტალებზე საუბარი არასწორი იქნება და ეს პარტნიორების თხოვნაცაა. მისი თქმით, ბუნებრივია, რომ დოკუმენტში საუბარი იქნება თანამშრომლობაზე უსაფრთხოების სფეროში, ასევე დაფიქსირდება საქართველოსა და აშშ-ს სტრატეგიული თანამშრომლობა.

ამასთან, ბაქრაძე შენიშნავს, რომ დოკუმენტში იქნება მთელი რიგი დებულებები, რომელიც საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების საკითხში ბევრად უფრო აქტიური მუშაობის საფუძველი გახდება. "დოკუმენტში მკაფიოდ იქნება საუბარი ქართული არმიის და საქართველოს სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის გაზრდაზე, რაც ამ ეტაპზე მთავარი ამოცანაა", – დასძენს დავით ბაქრაძე.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები: მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ლირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი),
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ნოდარ ლადარია

ნამდვილად ბრძენი პაპი იყო **პიუს XI**, მაგრამ არავინ არაა დაზღვეული უსიამოვნებისაგან ისეთ ფაქიზ სფეროში, როგორიც ადამიანური რესურსებია. ეკლესიის წიაღში ამგვარ უსიამოვნებებს ერთი ტერმინით აღნიშნავენ: "სულიერი კრიზისი". ბრძენი იყო პიუს XI, კარგად იცნობდა მუშაობის სპეციფიკას. ამიტომ, როდესაც მოახსენებდნენ, ესა და ეს მღვდელი ან ეპისკოპოსი სულიერ კრიზისშიაო, ყოველთვის ერთსა და იმავე შეკითხვას სვამდა: "**რა ჰქვია ქალბატონს?**".

ამბობენ, ეს შეკითხვა არასოდეს დასმულა უქმად, არასოდეს დარჩენილა უპასუხოდ. ჩვენ კი რაღა ღმერთი გაგვიწყრა, ასე სერიოზულად რომ ვიღებთ ყველა "სულიერ კრიზისს"? — გაზეთის პირველ გვერდზე გამოვქიმავთ, საინფორმაციო გამოშვებების დასაწყისში ვაჯახებთ მაყურებელს... ნუთუ ჩვენი პოლიტიკოსების მერყეობა უფრო დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა ან უფრო დიდ მნიშვნელობას ატარებს საბოლოო შედეგისათვის, ვიდრე ქრისტეს მხედართა სავსებით რუტინული ცდომილებები? — ესენიც ხომ ფანტაზიის გასაოცარ სიდუხჭირეს ამჟღავნებენ და კიდევ ერთი მომენტიც არის: დარწმუნებული ვარ, ნებისმიერი მღვდელი — თუნდაც "სულიერ კრიზისში" მყოფი — ბევრად უფრო საინტერესო მოსასმენია ქადაგებისას, ვიდრე არშიყობისას.

ზუსტად ასევე მოსდით ოპოზიციაში გადასულ ჩვენს პოლიტიკოსებსაც: სანამ, ასე ვთქვათ, გუნდში იყვნენ და წინასწარ განსაზღვრულ პოლიტიკურ ხაზს აწვებოდნენ, რაღაცას კიდევ ჰგავდნენ; საკმარისი იყო განზე გამდგარიყვნენ და თავისი ჭკუით დაეწყოთ ლაპარაკი, რომ მაშინვე თავი იჩინა უნიჭობამ და წარმოსახვის დეფიციტმა. გამონაკლისი ალბათ **ზურაბ ნოღაიდელია**: ეს ჯერ კიდევ პრემიერ-მინისტრობისას ჰგავდა ოროსან მოსწავლეს და დიდად არ შეცვლილა.

ერთი სიტყვით, იმის თქმა მინდა, რომ **ირაკლი ალასანიას** პრესკონფერენციამაც უკვე ჩვეული იმედგაცრუება მოგვიტანა. ისევ ნაცნობი ორნაწილიანი სტრუქტურა: პოზიტიური ნაწილი შეიცავს ზოგად სიტყვებს დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცების, ეკონომიკური განვითარების, ადამიანის უფლებების შესახებ და ყველა პოლიტიკური სუბიექტისათვის ერთნაირია, განურჩევლად დეკლარირებული მიმართულებისა; მეორე ნაწილი ნეგატიურია და შეიცავს, ასე ვთქვათ, "დღის ბოროტებას", ანუ იმას, რაც ჯერ არ დავიწყებიათ — რამდენიმე თვის წინ "სიკვდილის ბრიგადები" იყო, ახლა რუსული ინტერვენციაა.

ამიტომაც საზოგადოების დაინტერესებას სრულიად აბსურდული მხრიდან ცდილობენ: ვის შეუერთდება ალასანია — "რესპუბლიკელებს" თუ "მემარჯვენეებს"? საინტერესოა, რომ ამ არჩევანს არავინ უკავშირებს თვით ალასანიას პოლიტიკურ ჰაბიტუსს — ასეთი რამ საქართველოში არასოდეს ყოფილა არსებითი და მას ვერც ნახსენები პრესკონფერენციის შინაარსიდან გავარკვევთ. მართლაც, ვისთან გვაქვს საქმე?

არა, ქართული მედიისაგან ბევრს არაფერს ველი: ამათ ხომ ცოტა ხნით ადრე ისე გვაუწყეს, "რესპუბლიკელები" და "მემარჯვენეები" შეთანხმდნენო, რომ ერთხელაც არ დაუსვამთ კითხვა: "რესპუბლიკელები" შეურიგდნენ კონსტიტუციურ მონარქიას, თუ "მემარჯვენეებმა" თქვეს უარი კათოლიკოს-პატრიარქის რეგენტობაზე?






ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ
ტელ.: *24 24
ან ელ-ფოსტით:
nladaria@24hours.ge

ერთი შეხედვით, საკუთარი თავის შესახებ არც ალასანია გვეუბნება რამეს. მაგრამ თუ ყურადღებით მოვუსმენთ, აღმოვაჩენთ, რომ იმაზე მეტსაც გვეუბნება, ვიდრე ეს პოლიტიკოსისათვის დასაშვებია. მაშ, მოვუსმინოთ მის სიტყვებს, ისე როგორც ეს **დათო გამისონიამ** გადმოგვცა 25 დეკემბრის ნომერში: "**ჩემს კრიტიკულ დამოკიდებულებას ხშირად ვაცნობდი საქართველოს პრეზიდენტს. სამწუხაროდ, ეს მოსაზრებები არ იქნა გაზიარებული, რამაც დამარწმუნა, რომ დაკავებული თანამდებობიდან მოვლენებზე რაიმე გავლენის მოხდენა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო**". და რატომ უნდა ყოფილიყო შესაძლებელი? — მაგრამ ასეთი რთული შეკითხვების დრო ჯერ არ მოსულა. კიდევ ერთხელ წავიკითხოთ ბ-ნ ალასანიას სიტყვები და უფრო მარტივ რამეს შევამჩნევთ: ახალგამომცხვარი პოლიტიკოსი აღიარებს, რომ მხოლოდ თანამდებობაზე ხანგრძლივი ყოფნის შემდეგ გაარკვია ამ თანამდებობით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლები. ჩვენ კი საიდან უნდა დავასკვნათ, რომ პრეზიდენტის მიერ ელჩის შენიშვნების გაზიარება მდგომარეობისთვის ცალსახად სასარგებლო იქნებოდა?

კონკრეტულად რა გვითხრა ბ-ნმა ალასანიამ ისეთი, რაც მის უნარიანობას თუ არა, სიმართლეს მაინც დაგვიდასტურებდა? — ჯერჯერობით მხოლოდ ის აღიარა, რომ სააკაშვილის დასარწმუნებლად სათანადო შინაგანი რესურსები არ აღმოაჩნდა (ანუ **მერაბიშვილსა** და **უგულავაზე** სუსტი აღმოჩნდა), ამიტომაც ისღა დარჩენია, კვლავ იგივე გაუთავებელი ლექსი გაიმეოროს: "ხუცესს ჰყავდა ერთი ძაღლი, ის მას უყვარდა...".

გონიერი კაცი მაშინვე იკითხავს: თუ გენიალური იდეები ასე ხშირად მოსდიოდა ამ ყმაწვილს, რატომ იმაზე უკეთესი გზა ვერ მონახა საკუთარი თავისთვის, რომ მაინცდამაინც ორპროცენტიან "რესპუბლიკელებსა" და ოთხპროცენტიან "მემარჯვენეებს" შორის არჩევანისთვის არ გაეწირა საკუთარი თავი?

არა, რაოდენ ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, ქართველი პოლიტიკოსები კათოლიკე მღვდლებზე უფრო ერთფეროვანნი აღმოჩნდნენ სულიერ კრიზისში: იმათ ქალბატონებს სხვადასხვა სახელები მაინც ჰქვიათ და პაპი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში სხვადასხვანაირ პასუხს მაინც იღებდა ერთსა და იმავე შეკითხვაზე — ჩვენები კი სულ ერთადერთ ქალბატონს დასდევენ და იმასაც მახინჯი სახელი, თანამდებობა ჰქვია.

არ არის თანამდებობა ისეთი რამ, რისთვისაც საკუთარი თავის გაწირვა ღირდეს (თუ, რა თქმა უნდა, გაქვს ის, რასაც საკუთარი თავი ჰქვია). მაგალითად, **გია ნოდია** მინისტრობას დაემშვიდობა და უმტკივნეულოდ დაუბრუნდა პროგრესული კაცობრიობის რიგებს. სტატიაც კი გვაჩუქა: *მოვაშოროთ სტალინი!* (24 დეკემბერი).

სტატიის დასაწყისი (ისევე როგორც დანარჩენი ნაწილი) იმის ვარაუდის საშუალებასაც არ გვაძლევს, რომ მისი ავტორი ოდესმე სახელმწიფო ბიუროკრატიის ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა: "**როცა სერიოზულად ვმსჯელობთ, შესაყვანია თუ არა სტალინი ათ ყველაზე გამოჩენილ ქართველთა სიაში, ეს მაზალოა და სამარცხვინო**". ადვილი მისახვედრია, რომ ასეთი დასაწყისი "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ცნობილმა პროექტმა გამოიწვია — მხედველობაში მაქვს "დიდი ათეული" (ახლა ვერ ვიხსენებ, ზუსტად რა ჰქვია). ერთ-ერთ გადაცემაში სტალინისტი **გრიშა ონიანის** გამოსვლა მართლაც რომ გამაოგნებელი იყო. გია ნოდია მსჯელობას იწყებს შემდეგი პარადოქსით: ყველას ესმის, რომ ონიანის სერიოზულად მიღება დამამცირებელია, მაგრამ მასთან კამათში მაინც ებმებიან. ამ პარადოქსზე პასუხი ასეთია: "ხალხი". ესე იგი, "ხალხს" უყვარს სტალინი.

მაგრამ უყვარს კი? — არა, სულაც არ ვამბობ, რომ გია ნოდია ამ კითხვაზე ცალსახად დადებით პასუხს იძლევა. იგი ჯერ ცდილობს ამ "სიყვარულის" მიზეზები გამოიკვლიოს და საკმაოდ დამაჯერებლად პოულობს ამ მიზეზებს საბჭოთა ეპოქის დროინდელ ნაციონალურ კომპლექსებში. მერე კი სვამს კითხვას: რა უნდა ვქნათ, რომ ხალხს სტალინი არ უყვარდეს? მას შემდეგ, რაც სტალინისტების პირდაპირი რეპრესირება უკუვაგდეთ, პასუხი შემდეგია: "**პირველ რიგში მოვხსნათ ტაბუ სტალინის თემას. და ხშირად ვთქვათ, მოაშორეთ აქედან სტალინი!**".

აი, თუ გნებავთ, პარადოქსი! — ერთი მხრივ, გრიშა ონიანთან კამათი დამამცირებელია. მაგრამ რა იქნება, თუ სტალინის თემას "ტაბუს" მოვხსნით? — გრიშა ონიანთან კამათის გარდა არაფერი დაგვრჩება!

როგორ ავხსნათ ამგვარი ვითარება? არის ორი გზა.

პირველი: ავტორის ვერაგობა. გია ნოდია შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთგვარი დახვეწილი პოპულისტი. ეს სულაც არ არის დამამცირებელი: ბოლოს და ბოლოს, გარკვეულ მიახლოებაში **მარტინ ჰაიდეგერიც** კი პოპულისტად გამოიყურება, თუმცა პოპულიზმის ძირითად სამიზნეს, ეგრეთ წოდებულ "ხალხს", მისი ფილოსოფიისა ინჩი-ბინჩიც არ ესმის. მაგრამ ჩვენს ავტორს დავუბრუნდეთ: ჯერ პირველი არხის მიმართ კრიტიკულ პოზიციას იჭერს და "ხალხის" გარკვეული ნაწილის სიმპათიას იმსახურებს; მერე პოლიტიკოსებზე ამბობს, "ვიგოდნიკები" არიან, ამიტომ "ხალხის" ხათრით უძვრებიანო სტალინს, რითიც იმავე "ხალხის" სიმპათიას კიდევ უფრო იმკვიდრებს; ამის შემდეგ ენჯეოებს გაჰკრავს კბილს და იმათგან ტაშისკვრას მიაყურადებს, ვისაც ცხოვრებაში გრანტი არ ერგო. ბოლოს კი იტყვის, ტაბუ მოვხსნათო და ათასჭირგამოვლილი მკითხველი თვითონაც ვერ ამჩნევს, რომ ისევ საწყის წერტილთან დაბრუნდა — თავისდა უნებურად იძულებულია აღიაროს, რომ, რაც ხდება, ასე უნდა იყოს.

შინაგანად ამგვარი ახსნა მართლაც ლოგიკურია, მაგრამ ჩვენ უკვე არაერთხელ დავრწმუნებულვართ, რომ შინაგანი ლოგიკურობა ყოველთვის როდია საკმარისი რეალობის ადეკვატური ახსნისთვის. ამას ისიც ემატება, რომ კიდევ ერთი პოპულისტის "მხილება" არ შეიძლება მივიჩნიოთ ღირებულ საქმედ, არც ის გვარგებს რამედ, თუ ვიტყვით, რომ გია ნოდიას დაწერილი მშვენიერი ტექსტის შედეგი არსებითად ნულოვანია.

ჩვენი მიზანი ბევრად უფრო ღირსეული უნდა იყოს. ამისათვის კი საკმარისია ოდნავ შევცვალოთ აღქმის ცენტრი და მეორე გზაც გამოჩნდება. გავიხსენოთ სტატიის ბოლო წინადადება: "**პირველ რიგში, მოვხსნათ ტაბუ სტალინის თემას. და ხშირად ვთქვათ, მოაშორეთ აქედან სტალინი!**". წინადადების პირველი ნაწილი აშკარად ზედმეტია და მთელი ტექსტის ეფექტს აფუჭებს. მოვჭრათ თავი, გავასწოროთ სასვენი ნიშნები და ვნახოთ, რა გამოგვივა: "**ხშირად ვთქვათ: მოაშორეთ აქედან სტალინი!**".

აი, ამაზე კი მართლაც ღირს მსჯელობა. ჯერ ერთი, ვინ უნდა თქვას? მეორეც, როგორ უნდა თქვას?

**პასუხი პირველ კითხვაზე**. აქ კი ჩვენი ცხოვრების კიდევ ერთი პარადოქსი იჩენს თავს: ერთი მხრივ, ხელისუფლების მიმართ ყველაზე ხშირად გამეორებადი საყვედური იმაში მდგომარეობს, რომ "გამოცდილი" ხალხი "ჩარეცხეს", ყველაფერს კი "უასაკო ყრმანი" განაგებენ. მაგრამ ირგვლივ მხოლოდ ამ "გამოცდილთა" ხმა ისმის, ახალი ადამიანების ხილული სიმრავლე კი თანხვდება წარმატებულ ჩინოვნიკთა სიმრავლეს. ასეთი ვითარება არ შეესაბამება სინამდვილეს: საქართველოში საბჭოთა გამოცდილებისაგან თავისუფალი მთელი თაობა გაიზარდა, საქართველო სავსეა ადამიანებით, რომლებსაც სასაცილოდ არ ეყოფათ **გოგი ქავთარაძის**, **ვაჟა ლორთქიფანიძის**, **ვალერი კვარაცხელიასა** და **ირაკლი ღუდუშაურ-შიოლაშვილის** "სახალხო დიპლომატია". მაგრამ ეს ადამიანები არსად ჩანან, "საზოგადოებრივ მაუწყებელს" კი ჰგონია, რომ მათი ადეკვატური წარმომადგენელი შეიძლება იყოს ის გოგო, "შმოტკების" ყიდვა რომ უყვარს და ბენდუქიძის აუზში დადის.

სწორედ ამ ხალხმა უნდა ამოიღოს ხმა და შეაფასოს ჩვენი უახლოესი წარსული, ცხადად და გასაგებად გვითხრას, სურს თუ არა გუშინდელ დღეში დაბრუნება.

**პასუხი მეორე კითხვაზე**. სათქმელი აკადემიურად და დამაჯერებლად უნდა ითქვას. არსებობს ახალგაზრდული მოძრაობები, რომლებიც ზედაპირზე წამოატივტივებენ კონფორმისტებსა და უბრალო გაიძვერებს. სამწუხაროდ, ამ გვერდითი ეფექტისაგან არც საყოველთაოდ ცნობილი "კმარა" იყო თავისუფალი. ამგვარი მდგომარეობა იმით არის გამოწვეული, რომ ბევრი აუცილებელი საქმე ინტელექტის მონაწილეობის გარეშე უნდა გაკეთებულიყო. აქ მდგომარეობა განსხვავებულია: წარსულის შეფასება და ამ შეფასების გამოთქმა უპირატესად ინტელექტუალური აქტია. გარდა ამისა, მისი შესრულება შეუძლებელია ძლიერი ღირებულებითი საფუძვლის გარეშე.

ერთი სიტყვით, საბჭოთა წარსულისა და დღევანდელი რუსული საფრთხის წინააღმდეგ ინტელექტუალური შეტევა უნდა იქნას ის ასპარეზი, რომელზედაც აჟღერდება ახალი საქართველოს ძლიერი ხმა და საკუთარ თავს გამოავლენენ ის ადამიანები, რომლებიც ასე მოუვლიან ამ ქვეყანას, რომ ერთი და იმავე უნიჭობის გამეორება არ დასჭირდებათ ათეულობით პრესკონფერენციაზე.

პროექტი ერთობლივად ხორციელდება ფონდ "ღია საზოგადოება-საქართველოსა" და გაზეთ "24 საათის" მიერ.

# გილოცავთ ახალ წელს

## "წრე" გისურვებთ ღონიერ, მშვიდობიან სახელმწიფოს ჯანმრთელი, მდიდარი, ხალისიანი მოქალაქეებით და გთავაზობთ დიდ წლიურ "წრიულ" ტოპ-ს

შეიძლება მთელი არსენალი გქონდეს და გიობდებოდეს, მაგრამ სამიოდე ტყვიამ გაგახსენოს მისი არსებობა, გაგახსენვინოს და გადარჩე. შოპენჰაუერი ამბობდა, დიდ მოუწესრიგებელ ბიბლიოთეკას, პატარა, მაგრამ კარგად ათვისებული წიგნის თარო ჯობიაო. ვამაყობ, რომ წრეში მეც მოვიაზრები, როგორც საქართველოს მოქალაქე და თუ ვიღაცისთვის თქვენი წინა კვირის გვერდზე ილია, აკაკი და იაკობის სიტყვები მხოლოდ კლასიკოსების რეპროდუცირება იყო და ჩემი ეგზალტაცია გაუგებარია, პრობლემა თავის თავში ეძებოს;

მე ვფიქრობ, რომ ყველას პოლიტიკაში თავის შეყოფა იმიტომაც უნდა, რომ კარგად ანაზღაურებადი საქმეა, თორემ უფასოდ სოციალური აქტიურობა ჩვენ არ გვჩვევია. ეს დასავლეთშია უბრალო დიასახლისი რამდენიმე კომიტეტის წევრი, ამითი ახდენს თავისი პოლიტიკური აქტიურობის რეალიზაციას და არ მიძვრება პარლამენტში. ანუ ყველამ უნდა გაიაროს სახადი ეტაპები, საჭიროა შეიქმნას ეს ქსელი;

შემოქმედებითი მართლმსაჯულება მართლაც შემოსაღებია, ადრე ხომ აგვევინებდნენ ქუჩებს წვრილმან დანაშაულზე. ამერიკელმა მოსამართლემ ერთს ბილწსიტყვაობისთვის მიუსაჯა საპნით პირის გამორეცხვა დღეში ათჯერ;

ნუთუ მართალია, რომ ტროტუარებზე მანქანები აღარ იდგება და გავივლით? -მაგარია! მომენატრა სახელმწიფოს ზრუნვა ჩემზე;

ნიკა რურუას ნათქვამს მეც ვადასტურებ, მეც გავიგონე "იმედის" მიკროფონში "ჩაფუჩუნებული" -ახლა პარლამენტში შევარდნის დროაო, მაგრამ მერე გაქრა ეს ჩანაწერი, ეტყობა "იმედში" ოპერატიულად იმუშავა ვიღაცამ და მოსპო. თუ ასე არ არის, დამიმტკიცონ, "დააძრონ" 7 ნოემბრის წყლის და გაზის ჭავლამდე "იმედით" გადაცემული კადრები და ნახავთ, რა არის ოპოზიციისგან ანგაჟირებული "სიტყვის თავისუფლება". ოღონდ, თუ ჩანაწერი არა აქვთ, "შევარდნილებს" ნუ დააბრალებენ, გაგვინადგურესო;ლოგიკურია, რომ ამ სამხილს ხელისუფლება არ გაანადგურებდა!

ღმერთმა ნუ ქნას და, ვთქვათ, გადაატრიალეს ქვეყანა წარმოიდგინეთ თუ რა მოჰყვება ამას გარდა დროშის, ჰიმნის შეცვლისა, პუტინისა და კიმ ჩენ ირის ვიზიტისა;

ძალიან მაშინებს ის ხალხი, ვინც შემთხვევას არ უშვებს ხელიდან, რომ ნებისმიერ სიტუაციაში სარგებელი ნახოს და ქვეყანას, და არა ხელისუფლებას, პრობლემები შეუქმნას. ცნობილია, რომ ციხე შიგნიდან ტყდება;

ათასჯერ ვეთანხმები თქმულს, რომ ჟურნალისტებს მიკიბვ-მოკიბვის გარეშე კითხვის დასმა უჭირთ.

ნაძირალები რომ ასე ადვილად იცვლებოდნენ, სამოთხეში ვიცხოვრებდით, თუმცა, საბედნიეროდ, ვერც ღირსება იცვლება ადვილად, თორემ მაშინ ეს ცხოვრება ჯოჯოხეთი იქნებოდა?!

მე რომ განათლების მინისტრი ვიყო, დავავალებდი ყველა სკოლას, რომ ატარონ ბავშვები თეატრებში, გამოფენებზე და მუზეუმებში, წინდაწინ კი მოველაპარაკებოდი ამ ცენტრებს, რომ ბილეთების საფასური იყოს სიმბოლური. ყველასთვის კარგი იქნება ყოველმხრივ;

შეიძლება მკრეხელობაა რასაც ვიტყვი, მაგრამ ოსეთის და აფხაზეთის ცნობამ რამდენადაც აღმაშფოთა, იმდენადვე მშვიდი სიცხადე მომცა: ნიღაბჩამოხსნილი მტერი მირჩევნია, ბრძოლის სტრატეგია უფრო გარკვეული იქნება. ომი გარდუვალი იყო, მაგრამ ასეთი არ იქნებოდა, რომ არა შვიდი ნოემბერი.

ვინმეს ბავშვები ახსოვს?! ვმსჯელობთ, ვინ დაიწყო ომი, ვინ უნდა იყოს პრეზიდენტი, "მაპიმუპი", ვინ ვის ატყუებს ... ჩემი სახლის წინ საბავშვო ბაღია და იქ დევნილები ცხოვრობენ, უფროსებთან ერთად ბავშვები არიან და კი არ მეჩვენება, ვხედავ, რომ მათ ძალიან უჭირთ, ისინი უფრო მძიმედ არიან, ვიდრე ქუჩაში ხელგაშვერილი ბავშვები- მათ სული აქვთ გაწვდილი.

დოქი რომ გადაივსება, ველარ იტევს სითხეს და გადმოხეთქავს, აი, ასე, სააკაშვილმაც ითმინა, ითმინა და ველარ მოითმინა;

ვისთვის რა საიდუმლოა, რომ ჩვენ ჯარს ვაძლიერებდით, მაგრამ არა რუსების წინააღმდეგ და არა დაპყრობითი ომისთვის, არამედ დაგვებრუნებინა ის, რაც ფაქტობრივად რუსეთმა გადაწყვიტა მიისაკუთროს. ახლა ვიძახოთ, რომ პირველად საქართველომ გაისროლა, არანაირად მართალი არ არის, საქართველომ პირველად უპასუხა სროლას -აი, ეს კი სიმართლეა;

არ მინდა, რომ ჩემი ცხოვრება დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების რიარიაში დამთავრდეს, მომბეზრდა და მინდა ვიცხოვრო პუტინების, გამყრელიძეების და ა.შ. გარეშე. მომსახურების ქვეყნად გადავიქცევითო, მერე რა არის ამაში ცუდი?!

ნუთუ ვინმეს ჰგონია, რომ რუსეთი ისრაელს რომ დასხმოდა თავს, ისრაელი დამოუკიდებლად გაუმკლავდებოდა ამ "ზესახელმწიფოს"? ან რას გააწყობდა ნაქები ბუნდესვერი რუსეთს დრეზდენი და ჰამბურგი რომ დაებომბა და ჯარი ბერლინისკენ გაეშვა;

რატომ არავინ უკეთებს ანალიზს იმას, თუ როგორ ცხოვრობდნენ საქართველოს შემადგენლობაში სეპარატისტული ავტონომიები, ვთქვათ, ბაშკირებზე ან ნენცებზე უკეთ თუ უარესად, მატერიალურად, კულტურულად, ეთნიკურად ანუ ჰქონდათ თუ არა ამ ქვეყნიდან გასვლის დამაჯერებელი არგუმენტი;

ინფორმაციის გამჭვირვალობის გზაზე მედია ისე ნუ იზამს, რომ რუსეთის მზვერავებს საქმე გაუიოლოს და ბევრი რამ გამჭვირვალე მათთვის გახადოს;

გაეროში ელჩი ხშირ-ხშირად უნდა ვცვალოთ, თორემ იმ მახინჯი ჩურკინის გვერდით ამდენი ხნის ჯდომით ისეთ ინტოქსიკაციას იღებს ხალხი, რომ ჩამოდის მერე აქ და იანვარში მარწყვს ითხოვს. ისე კი გაერო მკვდრადშობილი ორგანიზაციაა და გინდ მამაზეციერი გყავდეს ელჩად, აზრი არ აქვს, რომელ კუთხეში მოუგვარებია საქმე გაეროს?!

დროზე უნდა შევქმნათ ინფორმაცია რუსულად, ეს დიასპორა მსოფლიოს დიდი ნაწილია, ჩვენ კი საინფორმაციო ომი მოსაგები გვაქვს, აი, აქ გამოგვადგება სიბრძნე, რომ ძალა აღმართს ხნავსო;

დაღუპულთა ოჯახებმა უნდა იცოდნენ, რომ ამის გამო ჩვენ სამძიმარს ერთმანეთსაც ვეუბნებით;

ერთიანობა არ გამორიცხავს კამათს, სხვადასხვა აზრს; ეროვნული ერთიანობა იმას ნიშნავს, რომ იდეოლოგიაა ერთიანი, სტრატეგიაა ერთი, თორემ, არიქა, ამ ომის დროს საქართველო ერთიანი იყოო, რომ ტრაბახობს ხელისუფლება და გასაჭირში ხომ არ მიგატოვეთო თავს რომ იმადლება ოპოზიცია, ეს სულხან-საბას იგავისას ჰგავს. საფრთხის მოლოდინში "ერთსულ" ყოფნა არ არის ერის ერთიანობის ინდიკატორი. თბილისის დაბომბვის შიშით სომხეთში ხელისუფალიც გადადიოდა და ოპოზიციონერიც, ასე არ არის?!

ძალიან იოლია დღევანდელი საზოგადოების აყოლიება;

სწორედ მაშინ, როცა ტელევიზიით ზურგზე უნიტაზმოკიდებულ, რუს ჯარისკაცებს უჩვენებდნენ, ერთმა მკითხა: ომი როდისღა იქნება, ტერიტორიებს დაბრუნება ხომ უნდაო? რა დავარქვა ამას: იდიოტური შეკითხვა თუ იდიოტის შეკითხვა? ასე კი ბევრი აზროვნებს!

რატომ არავინ არ აღნიშნავთ, რომ რუსული სახელი "სევერნაია და იუჟნაია ა(ო)სეტია " ქართული დასახელების "ოსეთი"-ს კალკია (რუსეთის, სასომხეთისა და ოსმალეთის დარად), "-ეთი" ხომ ქართული მაწარმოებელია, არც რუსულ ენაში და არც ოსურში ის არ არის. ხოლო სახელი "საქართველო", რუსულად რომ "გრუზიაა" ეს ნორმალურია?! იქნებ დავამთავროთ ორსათაურობანა?! ამას ბევრი არაფერი სჭირდება, პარლამენტმა ცოტა იმსჯელოს და გადაწყვიტოს, რომ "გრუზიის" ხმარება დამთავრდეს და საქართველოს საერთაშორისო სახელად "georgia" დამკვიდრდეს, რუსებისთვისაც, სხვათა შორის;

მოაწყვეთ მრგვალი მაგიდა, რომელზედაც იმსჯელებენ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების ვარიანტებზე;

არც ერთი პოლიტიკოსი და პოლიტოლოგი გაზეთში არ წერს, კითხვებზე პასუხით იოლად გამოდიან. ეს ეხება ოპოზიციასაც, რომლებიც მასმედია თავისუფალი არ არისო, მოთქვამენ. თუ სათქმელი გაქვს გაზეთითაც უნდა თქვა, მარტო ტელევიზია ხომ არ არის მასმედია? მაგრამ საქმე ისაა, რომ ტელევიზია ზეპირ მეტყველებაში სისულელეებს იტანს, გაზეთი კი საფუძვლიანად აფიქსირებს. წერეთ გაზეთებში პოლიტოლოგებო და პოლიტიკოსებო, თუკი სათქმელი გაქვთ რამე!

ერთ ნაცნობ პოლიტოლოგთან საუბარში ვთქვი, რომ სოხუმში ჩემს სახლში მინდა დავბრუნდე-მეთქი, ამაზე, უფრო ბუნებრივი მოთხოვნა და მოთხოვნილება რა უნდა იყოს - კაცს სახლში დაბრუნება უნდოდეს?! ეს ჩემი კი არა, პოლიტიკოსების გასაკეთებელი საქმეაო.

მასმედია უფრო მეტადაა დამოკიდებული საზოგადოებრივ დაკვეთაზე, ვიდრე სახელისუფლებო წნეხზე - ყოველდღე იუმორინა რომ აჩვენო ტელევიზიით, ამ საზოგადოებისთვის უფრო ტელებრენდი იქნება, ვიდრე "დისქავერის" ფილმები;

ბეჭდვითი მედია უნდა იყოს კარგად საკითხავი, როცა თეთრით შავზე კითხულობ, რომ თეთრი შავია, ამას ისე ხარისხიანად უნდა წერდნენ, რომ მათი პროფესიონალიზმი მკითხველს პატივისცემას გვრიდეს;

მაინტერესებს, რას გულისხმობს ზოგიერთი ე.წ. "ექსპერტი" ომის მოგებაში: რა, კურსკის დივიზიას კურსკამდე უნდა ჩავყოლოდით? რისთვის?

საომარი თვალსაზრისით ჩვენ მართლა მოვიგეთ, რადგანაც ჩვენმა ჯარმა მინიმალური დანაკარგით მაქსიმალურად ეფექტურად შეასრულა ქვეყნის გადარჩენისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანა: შეაჩერა მტერი იმდენ ხანს, რამდენიც იყო საჭირო, მთელ მსოფლიოს რომ გაეხილა თვალი. თუმცა თითოეული ქართველის სიცოცხლე ჩვენთვის ყველა რუსულ დივიზიაზე ბევრად უფრო ძვირფასია და რამდენი აგრესორიც არ უნდა იყოს მკვდარი, მაინც ცოტაა.მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ ომი ჯერ წინ გვაქვს, რადგანაც რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა ახლა იწყება და ამ ბრძოლაში თითოეულ ჩვენგანს ისეთივე თავდადება მოეთხოვება, როგორიც ჩვენმა ბიჭებმა გამოიჩინეს ბრძოლის ველზე. გასაკეთებელი ძალიან ბევრია, მაგრამ ჩვენ ამ ომს აუცილებლად მოვიგებთ, ეჭვიც არავის შეეპაროს!

მედიისგან მაღალ დონეს და აკადემიურობას ველი თუ ამ ახლო მომავალში ეს შესაძლებელია- ჟურნალისტთა მთელ კორპუსს ხომ ვერ გამოცვლი; გულდასაწყვეტია, როცა აშკარად გონიერი ჟურნალისტი მეშჩანურ გემოვნებას კვალში ჩაუდგება;

მართალია ის ადამიანი, რომ წერს "იუჟნაია ოსეტია" რა არის რუსები რომ გაიძახიანო? ამის ქართულობის დამტკიცებასაც პოლიტიკოსები ხომ არ უნდა, ენის სპეციალისტებმა დაძრან ეს საკითხი და "გრუზიას" ძახილსაც დაანებონ თავი, დასვით ეს საკითხი. თუმცა რამდენი თხოვნაც არ მოგწერეთ, არც ერთი არ შეგისრულებიათ და ტყუილად გაიძახით მედია თავისუფალიაო;

როცა ჟურნალისტი ტელევიზორიდან გვიყვება, რომ "დედაო მარიამმა" ასე და ასე თქვაო, როგორ დავაჯერო ჩემი მოსწავლე, რომ "დედა-ო" წოდებითი ბრუნვის ფორმაა და სწორია "დედა მარიამმა თქვა", "მამა ანდრიას ვეტყვი", "მამაო, მითხარი"

რითია ცუდი ექსპერტთა კლუბი, გაერთიანება, კავშირი და მსგავსი. გამოცდილი, მცოდნე, ინფორმირებულ ადამიანთა ჯგუფის რეკომენდაციები არ იქნება ზედმეტი არც ერთი მთავრობისთვის. პირადად მე ვისურვებდი ჭორებისა და მარჩიელობის შემცველი გამოცემების ნაცვლად მენახა ექსპერტთა კლუბის პერიოდული გამოცემა;

რაღაც უცნაურად ჟღერს, რომ ჩვენ აფხაზებს ვთავაზობთ ვიცეპრეზიდენტის პოსტს. ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ქვეყნის პრეზიდენტი ყოველთვის ქართველი უნდა იყოს? მგონი, დასახვეწია ამ შეთავაზების ფორმულირება, რომ ნებისმიერი მსურველი და ღირსეული შეიძლება გახდეს საქართველოს პრეზიდენტი;

მიხარია, როცა ვხედავ გამოფხიზლებულ ხალხს, ვინაც დაინახა, რომ, დიახაც, ამერიკაა ჩვენი მეგობარი და მისი ინტერესები გვერჩივნოს რუსეთისას. ამას წინათ ერთი ორმოცდაათს გადაცილებული კაცი მიხსნიდა, არ მინდა ამერიკელების შემოსვლა - გარყვნილება შემოვაო. რა უნდა დაუპირისპირო ამ იდიოტიზმს, რომელიც რუსეთის საზოგადოების უმანკოებას უფრო გულისხმობდა;

მართლაც მინიმუმამდე უნდა დავიდეს იმპორტი რუსეთიდან, სამაგიეროდ გაიზარდოს მეგობარი ქვეყნებიდან. ამერიკელი მიხვდა და ჩაანაცვლა რუსული არაყი პოლონურით, ჩვენ კი რა?! ზოგს სჩვევია ყოველივე რუსულის გაფეტიშება; სასაცილოდ ჟღერს რუსული ხარისხი პოზიტიური დატვირთვით. საბჭოეთში გაზრდილებს კარგად გვახსოვს როგორ დავეძებდით იმპორტულ საქონელს, რადგან რუსული არ ვარგოდა;

ჰოლანდიელმა სოციოლოგმა ნამდვილად იცის, რაშია ოპოზიციის როლი, მე კი, გამოგიტყდებით, არა. ან საიდან უნდა მცოდნოდა საბჭოთა პარტფუნქციონერს? არც ძველი ოპოზიციონერები არიან გარკვეული. პრეზიდენტმა თუ თქვა დედამიწა მრგვალიაო, ზოგიერთი სევდიანად შეეპასუხება, ბრტყელზე ბრტყელია, არ გცოდნიაო. მე ტრენინგს ამ საკითხზე არავინ ჩამიტარებს, ცოდნა კი მინდა, მე ხომ მოქალაქე ვარ! იქნებ თქვენმა გაზეთმა, ან სულაც "წრემ" ამ კუთხით გაარკვიოს ჩემისთანები?!

სოლანა ზედმეტად ოპტიმისტი მგონია, არ იცნობს რუსეთს ჩვენსავით. მე იმის მეშინია, არ დარჩნენ რუსები აქ სამი წელი, როგორც ნაპოლეონის ჯარებს დადევნებული კაზაკები დარჩნენ საფრანგეთში და ბალზაკის თქმით, დასდევდნენ ყველას, ვისაც კაბა ეცვა. დღეს ადგილობრივმა ჟურნალისტმა მითხრა, რუსი ჯარისკაცები კითხულობენო: "а, какая у вас зима, суровая?"

იმ ქვეყანაში, საიდანაც ჩამოვედი, პარლამენტში უმრავლესობა არ არის. კი, როცა გინდა სწრაფად სვლა კარგია თუ გყავს უმრავლესობა, ბევრად ადვილია მიაღწიო დასახულ მიზანს . შეიძლება ოპოზიციური პარტიები მართლებიც არიან, როცა იძახიან, რომ პრეზიდენტი იქცევა, როგორც დიქტატორი, გამოდის, რომ განსხვავება რუსულ და ქართულ არჩევნებს შორის არ არის. დანამდვილებით შემიძლია ვთქვა რომ ვხედავ დიდ ცვლილებას უკეთესობისკენ. მთავრობის ცუდ და კარგსაც ვხედავ, მაგრამ დღეს მას უფრო მეტის გაკეთება შეუძლია, ვიდრე ოპოზიციას.

ბედნიერება ძალიან პატარა ადგილშია და ცოტა მოძრაობაშიო;

გაუმეორეთ რუსეთს, აფხაზეთიდან დევნილებო, რომ თქვენი სახლებია აფხაზეთში, თორემ დრო თქვენთვის არ მუშაობს, საქართველო კი არ არის ის ქვეყანა, თავისი კულტურიან-გეოპოლიტიკიანად, რომ მსოფლიომ რუსეთი გადაიკიდოს;

ხშირად გამიგონია ფრაზა: რუსული და უცხოური ენებიო, თითქოს, რუსეთი საზღვარგარეთი, უცხოეთი არ იყოს - აი, ცნობიერებაში დამარხული "ძაღლის თავიც";

თუ ჩემს სანერგეში ათ ლარად გასაყიდს არ მომაყვანინებენ და ჰოლანდია-იტალიიდან ას ორმოცდაათ ევროდ ნარგავს ჩამომატანინებენ, ამ საქმეს რომ "აქეზებს", მე ასეთი ხელისუფლება არ მინდა!

როდესაც ამა თუ იმ პარტიას თუ პიროვნებას არაფერი აქვს სათქმელი პოლიტიკური ოპონენტის ლანძღვის გარდა, მხარს ვერაფრით დავუჭერ და ჩემს ძვირფას ხმას მისთვის ვერ გავიმეტებ;

რატომღაც მგონია, რომ, სანამ სამოქალაქო საზოგადოება არ მოღონიერდება, არაფერიც არ იქნება.

ვიდრე რუსეთის სახელმწიფო მენტალიტეტი არ შეიცვლება, შეუძლებელი იქნება თანასწორი ურთიერთობა-რუსეთის საელჩოში ეროვნებით რუსებსაც კი ვერ იტანენ, ქმრის ქართული გვარით.

არავინ იცის, როგორი უნდა იყოს პარლამენტარი, არის რაიმე თარგი? აი, ყველამ ვიცით, რომ დათვი უნდა იყოს დინჯი, პარლამენტარი? ეგებ გვემსჯელა ამაზე?

ძალადობას მხარში საზოგადოება უდგასო - მართალი იყო აკაკი ბაქრაძე

და დადგება დრო, როცა საზოგადოება პასუხისმგებლობას თავის თავზე აიღებს?!

სადაც აზროვნება პროვინციალურია და არა - სამოქალაქო, იქ საზოგადოება არ არის.

ვინმემ მაინც გააბათილოს ცილისწამება, თორემ, ასე მგონია, ნეხვში ვცხოვრობთ;

თუ ხელისუფლება ოპოზიციის დაკრულზე იხტუნავებს, ჩემს ხმას წავართმევ, აი, ეგრე.

მე სააკაშვილისთვის ხმა არ მიმიცია, მაგრამ ამის ხელმეორედ დაფიქსირება კლოუნადას ჰგავს.

იუნგი ამბობდა, რომ ადამიანი სიახლეს აპროტესტებს, თუ ის აღმშენებლობით საქმიანობაში არ მონაწილეობსო, იქნებ აქ ვეძებოთ ოპოზიციის პრობლემაც;

ადამიანი უმორჩილესი მხოლოდ თავისი სახელმწიფოს კანონისა უნდა იყოსო;

საქართველოს 150 კი არა 60 პარლამენტარი თავზე გადაუვა, სამაგიეროდ, როგორები იქნებიან?!

ახია ჩემზე რაც ხდება და ვერავინ ვერ დამიმტკიცებს, რომ ღირსი არ ვარ იმისი, რაც მაქვს - რაც ერი, ის ბერიო.

საქართველოში საპრეზიდენტო კი არა, დემოკრატიული მმართველობა არ ამართლებს... საპრეზიდენტო მმართველობის უვარგისობას ამტკიცებს ის ხალხი, ვინც ოცი წელია სეზონურად იბრძვის ამისთვის, დეკემბერშიც, ნოემბერშიც...

24-ის ავტორები უნდა წერდნენ მარტივად, ხშირი აბზაცით, თუ უნდათ მასამ წაიკითხოს;

აი, რას წერდა ლომონოსოვი თითქმის სამასი წლის წინ: ჟურნალისტი რომ ალალი და სამართლიანი იყოს, თავიდან უნდა ამოიგდოს ყოველგვარი წინარწრმენა და მტერივით არ უყუროს ოპონენტსო. გარდა ამისა, ჟურნალისტის კვალიფიკაციის პირველ პუნქტად ზოგად ცოდნას ასახელებს;

სამხედრო ძალა რუსეთის მთავარი იარაღიაო, მომესმა, თუ დუმელმა კოკოშინმა ნაღდად ასე თქვა - იქნებ დიპლომატიურად გამოვიყენოთ ეს განცხადება;

ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები თითქოს გულშემატკივრობენ საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებას, მაგრამ გულის სიღრმეში ნატრობენ, რომ სააკაშვილის ხელში ეს არ მოხდეს. ხვალ რომ ბაგაფშმა თქვას საქართველოს შემადგენლობაში შევდივართო, მთელ ოპოზიციურ სპექტრს გაუტყდება;

რატომღაც ჩვენ ვერ ვხედავთ პოლიტიკოსთა ზრდას, მაგალითად, მარადიულ ოპოზიციაში ისეთივე ჯუჯა პოლიტიკოსები დარჩნენ, როგორებიც იყვნენ ოცი წლის წინ;

ნახეთ, რა დღეშია ხალხი, ტრეფიკინგია ქვეყანაში, აი, ამას მიხედოს მთავრობამ და ნატო-ში შესვლას რუსეთთან კარგად ყოფნა გვერჩიოს;

მაგარია ნიაზი, რომ ერთხელ მოვსულვართო და ყველამ თუ ვიმღერეთ ერთი სიმღერა, მართლა ავაშენებთ სახლს; ნუთუ ძნელი მისახვედრია, რა უნდა გააკეთოს დღეს კაცმა - ჩვენ ვსხედვართ ნავში და უნდა მივიდეთ სახლში;

ასეთ ამბებს გვაწევს რუსეთი, საქართველოს სრულ ანექსიას ეწევა, გადართავ კავკასიაზე და სხვა პლანეტაზე გეგონება თავი: ძირითადად ნაციონალების ლანძღვით არიან დაკავებულნი. სად არიან სტუდენტები, თანასწორობის ინსტიტუტი, პოლიტიკური პარტიები, ხომ შეიძლება რაღაც პროტესტი გამოხატონ. ოპოზიცია რომ ამბობს, ჩვენ გვაქვს აფხაზეთის დაბრუნების გეგმაო, გაუზიარონ მთავრობას, ეს ქვეყანა ხომ ყველასია;

ჩვენ საქართველოს საზოგადოებაზე ვწუწუნებთ და რუსეთს საერთოდ არ ჰყოლია სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც მის იმპერიალისტურ ანაქრონიზმს პროტესტს გამოუცხადებდა;

თუ ჩემი თაობისა ხართ, გეხსომებათ ბიჭვინთის კორპუსების მარლანია - ქართველები ადამიანები არ ხართო, - მაშინ ახალგაზრდებს რუსულად (და არა აფხაზურად!) რომ გვეუბნებოდა - მართალი იყო, უნდა მეთქვა მართალი ბრძანდებით მეთქი?! ჩვენი "დანაშაული" კი ქართულ ენასა და საზღვაო სარაფანში იყო(ამას წესიერი ქალი არ ჩაიცვამსო). ჰო, კიდევ ის, რომ სსრკ-ში ვცხოვრობდით;

სამსახური მომცენ და ხელფასი, მეტი მაგათი არაფერი მინდა...




# პე-ეს-პე ჯგუფი - გამარჯვებული ნომინაციაში "ლიდერი"

ლიკა ჯობაძე

24 დეკემბერს, „შერატონ მეტეხი პალასში“ წარმატებული ქართული ბრენდები დაჯილდოვდნენ. საზოგადოებასთან ურთიერთობის სააგენტო „პროფილის“ ორგანიზებულ ღონისძიებაში ქართული კომპანიები 5 ძირითადი ნომინაციის - „წარმატებული ახალი სახელის“, რეპუტაციისა და ნდობის“, „ლიდერის“, „წარმატებული ტელეპროექტისა“ და „ბრენდ-პერსონის“ მიხედვით გამოვლინდნენ.

კონკურსი „ქართული ბრენდი 2008“ წელს უკვე მეექვსედ ჩატარდა. მასში მონაწილე კომპანების რიცხვი ყოველწლიურად მატულობს, რაც კომპანია „პრფილის“ ორგანიზატორების თქმით, ქართული ბიზნესის განვითარებაზე მიუთითებს. **„ამ ტიპის კონკურსებს ევროპაში, ამერიკასა და პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში დიდი გამოცდილება და წარმატება აქვს. ჩვენ კი ექვსი წლის წინ გადავწყვიტეთ ამ ღონისძიების ჩატარება, თუმცა გარკვეული სახეცვლილებით. მთავარი იყო, რომ ეს კონკურსი ქართული ბაზრისთვის მოგვერგო და ვფიქრობ, რომ გამოგვივიდა კიდეც. კონკურსი „ქართული ბრენდი 2008“ ნამდვილად ჩამოყალიბდა წარმატებულ პროექტად. კონკურსის მიზანია წარმოაჩინოს წარმატებული კომპანიები და დაანახოს საზოგადოებას მათი განვლილი გზა პირველი ნაბიჯებიდან ამ წარმატებამდე. რაც ვფიქრობ ძალიან რთულია. ერთის მხრივ, ეს ამ კომპანიების დაფასება და აღიარება, მეორეს მხრივ კი მათი მომავალი საქმიანობისთვის სტიმულის მიმცემია. გარდა ამისა, ამ ღონისძიებაზე ერთამნეთს ხვდებიან და ეცნობიან სხვადასხვა კომპანიები, რაც შემდეგომ უკვე ჯანსაღი ბიზნეს - ურთერთობების საფუძველია,“** - აღნიშნა საზოგადოებასთან ურთიერთობის სააგენტო „პროფილის“ პრეზიდენტმა ელგუჯა მარღიამ



ნომინაციაში „ლიდერი“ რვა გამარჯვებული კომპანია გამოვლინდა: მათ შორის ერთ-ერთი ფარმაცევტული კომპანია „პეესპე ჯგუფი“, რომელიც ქართული ფარაცევტული პროდუქციის ბაზარზე ლიდერი კომპანიაა. მას მსგავსი ტიპის კონკურსებში არერთგზის მიუღია მონაწილეობა, ასე, რომ აღიარება „პეესპე ჯგუფისთვის“ უცხო ნამდვილად არ არის. მიუხედავად ამისა, კომპანის პრზიდენტი გოჩა გოგინაშვილი აღნიშნავს, რომ ქართული ბრენდის ლიდერის სტატუსი მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლოა. **„დღევანდელი გამარჯვება კომპანია „პეესპე ჯგუფის“ კოლექტივის დიდი ძალსხმევის შედეგია. დღეს კიდევ ერთხელ დამტკიცდა ის, რომ „პეესპე“ ნამდვილი ლიდერია თავის სფეროში. გარდა აღიარებისა, ეს კონკურსი ჩვენთვის სტიმულის მომცემია, შევინარჩუნოთ ჩვენი წარმატება. „პეესპე-ჩემი ოჯახის აფთიაქი“ მომავალშიც შეინარჩუნებს ტრადიციას და იზრუნებს ყველა მომხმარებლის ჯანმრთელობაზე. კომპანიას მომავალი წლისთვის გრძელვადიანი პროექტები აქვს დაგეგმილი, რომლის შესასრულებლადაც ძალიან აქტიურ რეჟიმში ვმუშაობთ. გავაფართოვებთ აფთიაქების ქსელს, გავზრდით მწარმოებელთა და და დისტრიბუტორთა ხაზებს. მოგახსენებთ, რომ „პეესპე ჯგუფი“ წარმოდგენილია უზბეკეთის, ტაჯიკეთის და სასომხეთი ბაზრებზე. სამომავლოდ უკრაინის, აზერბაიჯანისა და ბულგარეთის ბაზრების ათვისებას ვგეგმავთ.“** - განაცხადა „პეესპე ჯგუფის“ გენერალურმა დირექტორმა გოჩა გოგილაშვილმა.

## მსჯავრდებულებისთვის პაემნების რაოდენობა გაიზარდა

“სისხლის სამართლის კოდექსში" შეტანილი ცვლილების მიხედვით, რომელიც პარლამენტმა მესამე მოსმენით დაამტკიცა, მსჯავრდებულებისთვის პაემნების რაოდენობა გაიზარდა.

უკვე დამტკიცებული ცვლილებით, მსჯავრდებულ ქალებს თვეში ოთხი პაემნის უფლება ექნებათ, აქამდე კი მათ თვეში მხოლოდ სამი პაემნის უფლება ჰქონდათ.

მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფ ყველა მსჯავრდებულს პაემნის უფლება თვეში ერთხელ მიეცემათ.

პაემნების რაოდენობა გაიზარდა უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულებისთვისაც. კერძოდ, მათ ექნებათ ოჯახის წევრებთან თვეში ერთხელ შეხვედრის უფლება. აქამდე კი მათ წელიწადში მხოლოდ ოთხი პაემნის უფლება ჰქონდათ.

საპყრობილის საერთო რეჟიმში მყოფ მსჯავრდებულებს თვეში ერთი პაემნის შესაძლებლობა ექნებათ, მოქმედი კანონით, ისინი წელიწადში მხოლოდ სამი შევედრის უფლებით სარგებლობენ.

საპყრობილის მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულებს თვეში არაუმეტეს ერთი პაემნის უფლება ექნებათ, აქამდე კი ისინი წელიწადში მხოლოდ ორი პაემნის უფლებით სარგებლობენ.

კანონით დადგენილი პაემნების გარდა, ნებისმიერი კატეგორიის მსჯავრდებულები იმავდროულად დამატებითი პაემნის უფლებითაც ისარგებლებენ.

*ინტერპრესნიუსი*

## ომბუდსმენის მიმართვა მთავარ პროკურორს

სახალხო დამცველმა საქართველოს მთავარ პროკურორ მამუკა გვარამიას რუსთავის N6 საპყრობილეში მყოფ პატიმარზე ფიზიკური ზეწოლის ფაქტების შესწავლა სთხოვა.

საქმე ისაა, რომ ომბუდსმენის ოფისმა შეისწავლა მსჯავრდებულ იმედა ბუთხუზის საქმე, რომელიც აცხადებს, რომ მასზე სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ფიზიკური ზეწოლა ხორციელდებოდა.

განმცხადებლის ინფორმაციით, 2008 წლის 25 ნოემბერს, ის, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის რუსთავის N2 დაწესებულებიდან, რუსთავის N6 დასწესებულებაში გადაიყვანეს, სადაც კარანტინში ყოფნის პერიოდში, იზოლირებულ ოთახში დაწესებულების რეჟიმის უფროსმა ლაშა კაპანაძემ და სხვა თანამშრომლებმა, მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. ასევე, დაემუქრენ და უთხრეს, რომ "კარგ ადგილას მიიყვანეს, ვინაიდან ამ დაწესებულებაში შავი და ბნელი საქმეები გვარდება".

ცემის შემდეგ პატიმარი ნახა ექიმმა, რომელმაც მხოლოდ მისი სახელი და გვარი ჩაიწერა, დაზიანებები კი არ დაუფიქსირებია. ამის შემდეგ, პატიმარს ახსნა-განმარტების გარეშე გადაპარსეს თმა.

მსჯავრდებული აცხადებს, რომ 26 ნოემბერს მას ოჯახის წევრებმა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ამანათით წამლები შეუგზავნეს, რომელიც მისთვის არ გადაუციათ.

იმედა ბუთხუზის განმარტებით, სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციის ასეთი დამოკიდებულება გამოწვეულია მის მიერ სასჯელაღსრულების დეპარტამენტისა და დაწესებულების მაღალჩინოსნების წინააღმდეგ სხვადასხვა ორგანოებში საჩივრების შეტანით.

ომბუდსმენის აპარატის ინფორმაციით, 2006 წლის 28 მარტის ციხის ამბოხის შემდეგ, იმედა ბუთხუზზე განხორციელდა ფიზიკური ძალადობა და იგი შიშველი მოათავსეს კარცერში.

მსჯავრდებული აღნიშნავს, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე ბაჩო ახალაია მისგან საჩივარზე უარის თქმას მოითხოვდა, ხოლო სანაცვლოდ ბრალდების საქმეზე საპროცესო შეთანხმების გაფორმებას ჰპირდებოდა.

"როდესაც ბუთხუზმა უარი განაცხადა ბაჩო ახალაიას მოთხოვნაზე, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე მას ოჯახის წევრების გამწარებით დაემუქრა. 2006 წლის ნოემბერში განმცხადებელი გადაიყვანეს სასჯელაღსრულების N1 დაწესებულებაში, ხოლო 2007 წლის გაზაფხულზე N2 დაწესებულებაში, სადაც მასზე ზეწოლას ახორციელებდნენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლები ვინმე "მიშა" და "გოგა," - ნათქვამია სახალხო დამცველის განცხადებაში.

სოზარ სუბარი მიიჩნევს, რომ განმცხადებლის საჩივარში მითითებული გარემოებები შეიცავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს.

სახალხო დამცველმა მის ხელთ არსებული მასალები შესწავლისა და შემდგომი რეაგირებისათვის საქართველოს მთავარ პროკურორ მამუკა გვარამიას გადაუგზავნა.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# ვის ეკისრება პასუხისმგებლობა მშვიდობიანი მოქალაქის ნაღმზე აფეთქებისას

*აგვისტოს მოვლენების შემდეგ, კონფლიქტური ზონის ქართულ სოფლებში, რუსი ჯარისკაცების მიერ დატოვებული ნაღმები, სხვადასხვა ადგილას, თითქმის ყოველდღიურად ფეთქდება. მოულოდნელ აფეთქებებს ბოლო თვეების განმავლობაში არაერთი ქართველის სიცოცხლე შეეწირა, უამრავი კი, მძიმედ ან მსუბუქად დაშავდა. რუსულ ნაღმებზე აფეთქებულ ქართველთა ზუსტი სტატისტიკა ჯერჯერობით არ არსებობს. თუმცა, ფაქტია, რომ მათი რიცხვი საკმაოდ დიდია.*
*დაზარალებულებს ვერ გაუგიათ, ვინ არის პასუხისმგებელი მომხდარზე, ვის უნდა მიმართონ მიყენებული ფიზიკური და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით და ვისგან უნდა მოითხოვონ ფულადი კომპენსაცია.*

არასამთავრობო ორგანიზაცია “კონსტიტუციის 42-ე მუხლის” ინფორმაციით, რუსულ ნაღმებზე ქართველები 2008 წლის აგვისტოს მოვლენებამდე, გაცილებით ადრეც ფეთქდებოდნენ. აფეთქებები ხდებოდა მაშინ და მას შემდეგაც, რაც ქართულმა მხარემ რუსეთის სამხედრო ბაზების გაუქმების და საქართველოს ტერიტორიიდან სამხედრო ძალების გაყვანის საკითხი დააყენა.

ორგანიზაციის წარმომადგენელთა განცხადებით, ნაღმებს არაერთი სამოქალაქო პირის სიცოცხლე და ჯანმრთელობა შეიწირა. ყველა რუსული სამხედრო ბაზა, მათი არსებობის პერიოდში, დანაღმული იყო იქ შეღწევის მაქსიმალურად გართულების მიზნით. ბაზების გაუქმებისა და ტერიტორიის დატოვების შემდეგ არ ჩატარებულა შესაბამისი განაღმვითი სამუშაოები. არ მომხდარა რუსების მიერ დატოვებული ტერიტორიის შემოღობვა ან რაიმე ფორმით დაცვა სამოქალაქო პირებისგან.

იურისტების განმარტებით, მას შემდეგ, რაც რუსეთის სამხედრო ბაზები დატოვეს რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულმა ძალებმა და საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო ფაქტობრივი კონტროლის განხორციელება, საქართველოს ხელისუფლების პასუხისმგებლობას წარმოადგენს იყოს პასუხისმგებელი ყველა იმ უბედური შემთხვევის საქმეზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა აღნიშნულ ტერიტორიებზე კონტროლის აღდგენის შემდეგ. ხოლო ის, თუ რა პირობების დაცვით უნდა მომხდარიყო ბაზის გადაბარება და ამ ტერიტორიაზე უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა, წარმოადგენს ორ ქვეყანას შორის დადებული შეთანხმების რეგულირების საკითხს. იურისტების განმარტებითვე, პასუხისმგებლობის საკითხი დაკავშირებულია იურისდიქციასთან - თუ რომელი სახელმწიფო ახორციელებდა აღნიშნულ ტერიტორიაზე ფაქტობრივ კონტროლს.

**”ყოველ კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით, დაზარალებულ მოქალაქეს, ან გარდაცვალების შემთხვევაში, მისი ოჯახის წევრს, უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს მიყენებული ფიზიკური და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით და მოითხოვოს ფულადი კომპენსაცია. შიდა ინსტანციების ამოწურვის შემდეგ, სასურველი შედეგის მიუღწევლობის შემთხვევაში, დაზარალებულს უფლება აქვს, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ან მისი დამატებითი ოქმების რომელიმე მუხლის დარღვევის გამო მიმართოს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოს,”** – განმარტავენ არასამთავრობო ორგანიზაცია “კონსტიტუციის 42-ე მუხლის იურისტები.

რაც შეეხება 2008 წლის აგვისტოს თვეში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს რუსეთის სამხედრო ძალების მიერ დანაღმულ ტერიტორიებს. როგორც “კონსტიტუციის 42-ე მუხლის” ადვოკატები აცხადებენ, ნაღმებზე აფეთქებისას გარდაცვლილის ან დაშავებულის ოჯახის წევრებს, პირდაპირ შეუძლიათ მიმართონ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოს სარჩელით რუსეთის ფედერაციის, როგორც ოკუპანტი ქვეყნის წინააღმდეგ.

იმ შემთხვევაში, კი თუ ნაღმზე აფეთქება მოხდა საქართველოს ხელისუფლების მიერ ტერიტორიებზე კონტროლის აღდგენის და განაღმვითი სამუშაოების ჩატარების შემდეგ, მაშინ პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოს სახელმწიფოს.

**საკუთარი ინფორმაცია**

# მკვლელობის დამკვეთმა 2 მილიონი დოლარი გადაიხადა

*ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობის საქმის განხილვისას სასამართლო პროცესზე გაირკვა, რომ მილიციაში შესული ანონიმური ზარი, რომლითაც ზარის ავტორი ჟურნალისტის ცხედრის აღმოჩენას იტყობინებოდა, ზუსტად ემთხვევა მკვლელობის დროს.*


*ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობის საქმის სასამართლო პროცესი გრძელდება.*

ამის შესახებ ჩვენება სასამართლოს ტვერის რაიონის განყოფილების უფროსმა, ლეიტენანტმა ვადიმ არსანოვმა მისცა. მისი თქმით, სატელეფონო შეტყობინება განყოფილებაში 16:06 წთ-ზე შევიდა. ზუსტად ეს დროა მითითებული ექიმ-ექსპერტების დასკვნაში ანა პოლიტკოვსკაიას გარდაცვალების დროდ. ვიდეოფირზე კი, რომელიც გარდაცვლილის სახლის სადარბაზოში დამონტაჟებული სათვალთვალო კამერიდან ამოიღეს, ქილერი ჟურნალისტის სახლის სადარბაზოდან ზუსტად 16:07 წთ-ზე გადის. ამ მონაცემების საფუძველზე, გაჩნდა ვერსია, რომ მილიციაში შესული სატელეფონო შეტყობინება თავად ქილერს ეკუთვნოდა. ამასთანავე, არის კიდევ ერთი ვერსია იმის თაობაზე, რომ შესაძლოა, არსებობს მკვლელობის მოწმე, რომელიც საქმეში არ ფიგურირებს და სწორედ მან განახორციელა ანონიმური შეტყობინება მილიციაში.

სასამართლო პროცესზე უკვე დაიკითხა ფედერალური საგამოძიებო ბიუროს უფროსი ვადიმ სლიუსარი, რომელმაც განაცხადა, რომ განსასჯელებს – ძმებ ჯაბრაილ და რუსტამ მახმუდოვებს ფედერალურ საგამოძიებო ბიუროსთან არანაირი შეხება არ ჰქონიათ. ვადიმ სლიუსარი ბრალდების მოწმის სტატუსით დაიკითხა. მან სასამართლოს ჩვენება დახურულ რეჟიმში მისცა და ირწმუნებოდა, რომ მის დაქვემდებარებაში მყოფი სამსახურები ანა პოლიტკოვსკაიას მიმართ არანაირ თვალთვალს არ ახორციელებდნენ.

საქმე ისაა, რომ მანამდე სასამართლო პროცესზე დაკითხულმა “ნოვაია გაზეტას” რედაქტორმა სერგეი სოკოლოვმა განაცხადა, რომ ანა პოლიტკოვსკაიას თვალთვალს ახორციელებდნენ არა მხოლოდ ძმები მახმუდოვები, არამედ ჟურნალისტზე თვალთვალი ჰქონდათ დაწესებული ფედერალური საგამოძიებო ბიუროს თანამშრომლებსაც.

2007 წლის დასასრულს გენერალურმა პროკურატურამ პოლიტკოვსკაიას მკვლელობაში ეჭვმიტანილების დაკავების შესახებ გააკეთა განცხადება და სასამართლოს წინაშე წარსდგნენ ძმები ჯაბრაილ და იბრაგიმ მაჰმუდოვები, მოსკოვის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს ყოფილი თანამშრომელი სერგეი ხადჟიკურბანოვი და უშიშროების ფედერალური სამსახურის ვიცე-პოლკოვნიკი პაველ რიაგუზოვი, რომელთაც ბრალი დანაშაულის ორგანიზებასა და მის მომზადებაში ედებათ.

მკვლელობის სავარაუდო შემსრულებელი რუსტამ მაჰმუდოვი იძებნება. გამოძიებას მკვლელობის დამკვეთის ვინაობა არ დაუდგენია.

“ნოვაია გაზეტას” რედაქტორის მტკიცებით, ძმები მაჰმუდოვები ფედერალურ საგამოძიებო ბიუროსთან თანამშრომლობდნენ.

“რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, იყო დაკვირვების ორი ჯაჭვი – ოფიციალური და არაოფიციალური,” – განაცხადა სერგეი სოკოლოვმა. ოფიციალურ თვალთვალში რედაქტორმა სპეცსამსახურების მიერ განხორციელებული დევნა იგულისხმა. რაც შეეხება მის მიერ დასახელებულ მეორე ჯაჭვს, რედაქტორის განმარტებით, მასში ის პირები შედიოდნენ, რომლებიც პოლიტკოვსკაიაზე თავდასხმას გეგმავდნენ და რომლებიც სპეცსამსახურებთან თანამშრომლობდნენ. სოკოლოვის თქმითვე, ამ დასკვნამდე მისი რედაქციის ჟურნალისტები მივიდნენ, რომლებმაც კოლეგის მკვლელობის დამოუკიდებელი გამოძიება ჩაატარეს. გაზეთის რედაქტორმა სასამართლო პროცესზე ასევე განაცხადა, რომ ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობის საქმეში ლომ-ალი გაიტუკაევიც ურევია, რომელიც მკვლელობის საქმის ორი ფიგურანტის ბიძაა და რომელიც უკრაინელ ბიზნესმენზე თავდასხმის ბრალდებით გაასამართლეს. ამ ინფორმაციის წყარო “ნოვაია გაზეტას” რედაქტორმა არ დაასახელა. მისივე განცხადებით, ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობაში დამკვეთმა 2 მილიონი დოლარი გადაიხადა.

ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობის საქმის განხილვას მეოთხე ნაფიცი მსაჯული ჩამოაშორეს. მსაჯული მე-6 სხდომის დაწყების წინ ავად გახდა და მოსამართლემ მისი სარეზერვო მსაჯულით შეცვლის გადაწყვეტილება მიიღო.

სასამართლო პროცესში მონაწილეობისთვის, რომელიც 2008 წლის 17 ნოემბერს დაიწყო, 20 ნაფიცი მსაჯული შეირჩა, 12 ძირითადი და 8 სარეზერვო. პროცესს სხვადასხვა მიზეზით სამი ნაფიცი მსაჯული გამოეთიშა.

# "ჩამოსხმული ტყვია" ღაზაში

## ისრაელის სპეცოპერაცია და "ჰამასის" პასუხი

ხათუნა გაბიევი



AFP © 2008

ისრაელის სამხედრო ოპერაცია კოდური სახელწოდებით "ჩამოსხმული ტყვია" "თაჰდიას" (ცეცხლის დროებითი შეწყვეტა) დასრულებიდან ერთი კვირის შემდეგ განხორციელდა. ისრაელის მაღალჩინოსანთა განცხადებით, სპეცოპერაცია ისლამისტი ექსტრემისტების წინააღმდეგ იყო მიმართული, რადგან მათ, ზავის ვადის ამოწურვის შემდეგ, გაფრთხილების მიუხედავად, სხვა გამოსავალი არ დატოვეს. "თაჰდიას" შემდეგ "ჰამასი" აცხადებდა, რომ ისრაელს, ჰამასელების პირობების შესაბამისად, ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებაზე დათანხმებას აიძულებდა.

ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალებმა ერთდროულად მიიტანეს იერიში ასობით ობიექტზე, 100 ტონაზე მეტი ბომბი ჩამოყარეს სამეთაურო ცენტრებზე, საწვრთნელ ბანაკებზე, ბოევიკთა არსენალებსა და ისლამისტური პოლიციის თავზე.

ისრაელის ავიაციამ კვირა დილით იერიში მიიტანა საავადმყოფოს გვერდით მდებარე მეჩეთზე, "ჰამასის" საკუთრებაში მყოფ ტელესტუდია "ალ-აქსაზე", ასევე ავტოსარემონტო სახელოსნოზე და პლასტმასისა და რაკეტების გამშვები მოწყობილობების დამამზადებელ საამქროებზე. "ალ-აქსა", რომელიც ისლამისტური რეჟიმის უმთავრესი რუპორია, მაუწყებლობას ამჟამად სარეზერვო სტუდიიდან განაგრძობს.

პალესტინური რადიოსადგურების ცნობებით, ავიადარტყმის მსხვერპლთა რაოდენობამ უკვე 230 ადამიანს გადააჭარბა, ხოლო დაახლოებით 800 კაცი დაიჭრა. დაზარალებულთა და დაღუპულთა უმრავლესობას ბოევიკები და "ჰამასის" მიერ კონტროლირებადი ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომლები შეადგენენ. დაღუპულთა შორისაა ღაზას სექტორის პოლიციის შეფი, ანკლავის უმაღლესი ხელმძღვანელობის დაცვის სამსახურის უფროსი და მისი მოადგილე. ისრაელის საავიაციო შეტევა უპასუხოდ არც "ჰამასს" დაუტოვებია და სარაკეტო იერიში წამოიწყო. ისრაელის მხარეს დაღუპულია ერთი სამოქალაქო პირი და დაჭრილია ოთხი სამხედრო მოსამსახურე.

ისრაელის თავდაცვის არმიის პრესსამსახურის განცხადებით, პალესტინელი ბოევიკების მიერ გაშვებულმა "გრადის" ტიპის რეაქტიულმა ჭურვებმა ქალაქ აშდოდამდე მიაღწია, რომელიც პალესტინური ანკლავის საზღვრიდან ჩრდილოეთით 38 კმ-ის სიშორეზეა. აშდოდზე იერიშის პასუხისმგებლობა "ჰამასმა" აიღო. სამხედრო ოპერაციის დაწყებიდან პალესტინელმა ბოევიკებმა ისრაელის სამხრეთ ნაწილის მიმართულებით 230 რაკეტა და ჭურვი ისროლეს.

ღაზას სექტორში სპეცოპერაცია მხოლოდ ავიადარტყმებით არ დასრულებულა. ისრაელის არმიამ რამდენიმე ათას რეზერვისტს უკვე გაუგზავნა უწყება ღაზას სექტორში დაწყებულ სპეცოპერაციაში მონაწილეობის მისაღებად. ანკლავის საზღვართან კი უკვე მობილიზებულია ჯავშანტექნიკა და ქვეითი ჯარი.

ისრაელის სამხედრო ექსპერტების ვარაუდით, იმ შემთხვევაში, თუ საავიაცო ძალების მოქმედება არაეფექტიანი აღმოჩნდება, საჭირო გახდება სახმელეთო ოპერაციის დაწყება და "ფილადელფიური დერეფნის" (ეგვიპტესთან ღაზას სექტორის საზღვრის მონაკვეთი) დაკავება. სპეციალისტთა აზრით, არ არის გამორიცხული ღაზას სრული ოკუპაციის საკითხის დღის წესრიგში დადგომაც.

ისრაელის ხელისუფლება ღაზას სექტორის საზღვართან მცხოვრებ მოსახლეობას სიფრთხილისკენ მოუწოდებს და ურჩევს, თავი საიმედო შენობა-ნაგებობებს შეაფაროს.

გაცილებით უარეს მდგომარეობაშია ღაზას სექტორში მცხოვრები მოსახლეობა, რადგან, ეგვიპტური მხარის განცხადებით, "ჰამასი" დაჭრილ პალესტინელებს ეგვიპტის ტერიტორიაზე გადასვლის უფლებას არ აძლევს.

**"ჩვენ ველით პალესტინელებს, მაგრამ "ჰამასი" მათ არ აძლევს საზღვრის გადაკვეთის უფლებას,"** – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრმა აჰმედ აბულ გეითმა.

### გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომა

ღაზას სექტორში დაწყებული სპეცოპერაციის შემდეგ გაერო-ს უშიშროების საბჭომ ნიუ-იორკში საგანგებო სხდომა მოიწვია. სხდომამდე გავრცელებულ მიმართვაში გაერო-ს გენერალურმა მდივანმა "ისრაელის მხრიდან ძალის გადაჭარბებით გამოყენება და "ჰამასის" მხრიდან სარაკეტო დარტყმები გააკრიტიკა და ორივე მხარეს ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტისკენ მოუწოდა."

არაბული ქვეყნების ჯგუფის დელეგაციამ უშიშროების საბჭოს რეზოლუციის პროექტი წარუდგინა, რომელიც ღაზას სექტორში ისრაელის ქმედებას აკრიტიკებს. თავისი პროექტი რუსულმა მხარემაც წარადგინა, რომელშიც ისრაელის მხარეს სამხედრო ოპერაციის დაუყოვნებლად შეწყვეტისკენ მოუწოდებს. პროექტი ასევე მოიცავს პალესტინური მხარისადმი მოწოდებას, შეწყვიტოს ღაზას სექტორიდან ისრაელის ტერიტორიის მიმართულებით სარაკეტო იერიში. გარდა ამისა, დოკუმენტში ასევე აღნიშნულია ჰუმანიტარული დახმარების აღმოსაჩენად გამშვები პუნქტების სასწრაფოდ გახსნის აუცილებლობა. საგანგებო სხდომაზე უშიშროების საბჭომ ახლო აღმოსავლეთში ვითარების შესახებ რეზოლუცია რუსულ ვარიანტზე დაყრდნობით მიიღო. რეზოლუცია ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტასა და კონფლიქტის მხარეების მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდომას ითვალისწინებს.

### "ჰაარეცი": ოპერაცია დროებითი ზავის დროს იგეგმებოდა

ისრაელის თავდაცვის მინისტრმა ეჰუდ ბარაკმა ღაზას სექტორში ოპერაციის მზადების ბრძანება, დაახლოებით, ნახევარი წლის წინ გასცა, რადგან ვარაუდობდა, რომ სამშვიდობო პერიოდს ბოევიკები ძალების მოსაკრებად გამოიყენებდნენ, თანაც სამზადისისთვის დრო ისრაელის არმიასაც დასჭირდებოდა. ეჰუდ ბარაკმა სამიზნე ობიექტების დეტალური დაზვერვისა და "ჰამასის" ინფრასტრუქტურის – მუდმივი ბაზების კოორდინატების, სამხედრო საცავების, საწვრთნელი ბანაკების, ხელმძღვანელთა სახლებისა და სხვა ობიექტების ზუსტი რუკის შედგენის ბრძანებაც გასცა.

**"მზადყოფნის ბრძანება ჯერ კიდევ მაშინ გაიცა, როცა ისრაელი სამშვიდობო მოლაპარაკებებს იწყებდა "ჰამასთან" (სამშვიდობო შეთანხმება ძალაში მიმდინარე წლის 19 ივნისს შევიდა),"** – იუწყება გაზეთი "ჰაარეცი" უშიშროების სამსახურის მთაღალჩინოსან ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით.

"ჩამოსხმული ტყვიის" სამოქმედო გეგმა ეჰუდ ბარაკს დასამტკიცებლად 19 დეკემბერს წარუდგინეს, მაგრამ "ჰაარეცის" მტკიცებით, თავდაცვის მინისტრმა მოცდა ამჯობინა იმ იმედით, რომ "ჰამასი" სარაკეტო იერიშებს შეწყვეტდა. ეჰუდ ბარაკმა პრემიერ-მინისტრ ოლმერტს გეგმა "ჰამასისთვის" მიცემული ვადის ამოწურვამდე ერთი დღით ადრე გააცნო; ოდნავ მოგვიანებით კი გეგმის დეტალები ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრ ციპი ლივნისთვისაც გახდა ცნობილი. სპეცოპერაციის მთავარი გეგმა და სარეზერვო ვარიანტები სამხედრო-პოლიტიკური კაბინეტის სხდომაზე ოთხშაბათს განიხილეს, ხუთშაბათს კი ციპი ლივნი ეგვიპტეს ეწვია, "ჰამასზე" იერიშის განხორციელების შესახებ ისრაელის საბოლოო გადაწყვეტილების მიღება რომ ჰოსნი მუბარაქისთვის გაეცნო. მთელი ამ ხნის განმავლობაში მასმედიის მიერ გაშუქებული მასალებით იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს ისარელის არმია არ იყო მზად დაუყოვნებლივი მოქმედებისთვის.

### ოფიციალური ვაშინგტონი "ჰამასს" ადანაშაულებს

ღაზას სექტორში სპეცოპერაციის დაწყების შემდეგ შეერთებული შტატების ამჟამინდელმა ადმინისტრაციამ, ტრადიციულად, ისრაელის მხარე დაიკავა. სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა მშვიდობის დარღვევაში "ჰამასი" დაადანაშაულა.

**"შეერთებული შტატები ისრაელის ტერიტორიის მიმართულებით განუწყვეტელ სარაკეტო და ნაღმსატყორცნ იერიშებს გმობს და ღაზას სექტორში ძალადობის მორიგი ტალღის აგორებისთვის პასუხისმგებლობას "ჰამასს" აკისრებს,"** – განაცხადა კონდოლიზა რაისმა. მისი თქმით, ოფიციალური ვაშინგტონი მხარეებს ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტისკენ მოუწოდებს.

ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციამ საქმის კურსში, რასაკვირველია, ახლად არჩეული პრეზიდენტი ბარაკ ობამაც ჩააყენა, რომელიც ოჯახთან ერთად არდადეგებზე ჰავაიზე იმყოფება. მომავალი პრეზიდენტი ახლო აღმოსავლეთში განვითარებული მოვლენების შეფასებისგან ჯერჯერობით თავს იკავებს.

### ბენაზირ ბჰუტო გაიხსენეს

150 ათასზე მეტი პაკისტანელი მივიდა 27 სექტემბერს ბენაზირ ბჰუტოს მავზოლეუმთან დაღუპვიდან ერთი წლის თავზე. გარკვეულმა ნაწილმა ასობით კილომეტრიც კი გაიარა, რათა ბენაზირის საფლავზე ყვავილები დაეწყოთ. ბენაზირი სამხრეთ პაკისტანში, გარჰი ჰუდ ბაქშის დასახლებაში, მამაპაპისეულ საძვალეშია დაკრძალული. შეკრებილები უკმაყოფილებას გამოსთქვამდნენ იმაზე, რომ ყოფილი პრემიერ-მინისტრის მკვლელობისთვის აქამდე არავინ დასჯილა.

პაკისტანის ყოფილმა პრეზიდენტმა ფერვეზ მუშარაფმა, რომელიც შარშან ხელისუფლებაში იყო, ბჰუტოს მკვლელობის გამოძიებას ფაქტიურად ხელი შეუშალა და ბრალი პაკისტანელ თალიბთა ლიდერს ბაითულა მეჰსუდს დასდო. **მედიანიუსი**

### ერაყში ტერაქტს 22 ადამიანი ემსხვერპლა

სულ ცოტა 22 ადამიანი დაიღუპა ბაღდადში, ავტომობილში ჩადებული ბომბის აფეთქების შედეგად-როიტერი. 54 ადამიანი დაჭრილია. აფეთქება ბაღდადის შიიტურ უბან ყადიმიაში მოხდა. როგორც წესი, შაბათობით, ადგილობრივ მეჩეთში უამრავი ადამიანი იყრის ხოლმე თავს. დაღუპულთა შორის, ქალები და ბავშვებიც არიან. იმის მიუხედავად, რომ ბოლო წლის განმავლობაში ერაყში ვითარება დასტაბილურდა, პერიოდულად მაინც ხდება ხოლმე მსხვილი ტერაქტები. ბოლო პერიოდის ყველაზე დიდი აფეთქება ბაღდადში 10 ნოემბერს მოხდა, როდესაც 28 ადამიანი დაიღუპა. **მედიანიუსი**

### დისკოთეკაზე მომხდარი არეულობების შედეგად ხუთი ადამიანი დაიღუპა

ხუთი ადამიანი დაიღუპა და სულ მცირე ექვსი დაშავდა პერუს სამხრეთით, ქალაქ ჰულიაკში დისკოთეკაზე მომხდარი არეულობების შედეგად, - იუწყება CNN.

პანიკა მას შემდეგ დაიწყო, რაც დისკოთეკაზე ერთ-ერთმა სტუმარმა ხალხმრავალ ადგილას ცრემლსადენი გაზი ჩააგდო. ასობით შეშინებული ადამიანი გასასვლელისკენ გაემართა. ჭყლეტვის შედეგად სამი გოგონა და ორი მმაკაცი დაიღუპა.

პოლიცია დამნაშავის ძებნას აგრძელებს. გამომძიებლები დისკოთეკის მეპატრონეთა დაკითხვას აწარმოებენ. **ინტერპრესნიუსი**

### უკრაინა და ლიტვა სტარატეგიული პარტნიორები გახდნენ

უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა ვიგაუდას უშაცკასმა განაცხადა, რომ უკრაინისა და ლიტვის ურთიერთობებმა ნამდვილი, სტრატეგიული პარტნიორობის დონეს მიაღწია. ვიგაუდას უშაცკასმა ეს განცხადება 26 დეკემბერს, უკრაინაში ოფიციალური ვიზიტით ყოფნისას გააკეთა.

უკრაინაში ყოფნისას ის, პრეზიდენტ ვიქტორ იუშჩენკოს შეხვდა. შეხვედრისას მხარეებმა განსაკუთრებული ყურადღება უკრაინის ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივაში მონაწილეობაზე და ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებაზე გაამახვილეს. ასევე განიხილეს ის საკითხები, რომელიც უკრაინასა და ნატოს შორის ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და ენერგეტიკული უსაფრთხოების თანამშრომლობას ეხება.

უშაცკასმა უკრაინას მოუწოდა, ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივაში აქტიური მონაწილეობა მიიღოს, რომელიც ითვალისწინებს ევროკავშირისა და უკრაინას შორის ასოციაციის შეთანხმების ხელ მოწერას, თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნას, სავიზო რეჟიმის გამარტივებას და ენერგეტიკული ურთიერთდამოკიდებულების გამყარებას.

ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრმა იმედი გამოთქვა, რომ უკრაინა აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივაში არა მხოლოდ აქტიურ მონაწილეობას მიიღებს, არამედ შთააგონებს სხვა ქვეყნებს, სამხრეთ კავკასიიდან ბელორუსიამდე, რომ ევროკავშირის სტანდარტებისკენ ისინიც ისწრაფოდნენ.

უშაცკასმა ასევე განაცხადა, რომ ლიტვა უკრაინას ნატოს წევრობისთვის მომზადებაში მომავალშიც დაეხმარება. იუშჩენკომ და უშაცკასმა უკრაინასა და ლიტვას შორის ეკონომიკური განვითარების და რეგიონში, კასპიის, შავი და ბალტიის ზღვებით ენერგეტიკის ტრანზიტის სფეროში თანამშრომლობის საკითხები განიხილეს. **ჯი-ეიჩ-ენი**

### რუსეთმა კასპიისპირა გაზსადენის მშენებლობის შეთანხმების რატიფიცირება მოახდინა

რუსეთმა კასპიისპირა გაზსადენის მშენებლობის შეთანხმების რატიფიცირება მოახდინა. ამის შესახებ კანონს რუსეთის პრეზიდენტმა დმიტრი მედვედევმა მოაწერა ხელი.

შეთანხმება კასპიისპირა გაზსადენის მშენებლობის თაობაზე, რუსეთს, ყაზახეთსა და თურქმენეთს შორის 2007 წლის დეკემბერში იქნა მიღწეული. აღნიშნული გაზსადენის მეშვეობით, რუსეთში კასპიის ზღვის, თურქმენეთის და ყაზახეთის ტერიტორიაზე არსებული სხვა საბადოებიდან, ბუნებრივი აირის ტრანსპორტირება იგეგმება.

წინასწარი მონაცემებით, თურქმენეთიდან ტრანსპორტირებული აირის მოცულობა 30 მილიარდ კუბურ მეტრს, ხოლო ყაზახეთიდან 10 მილიარდ კუბურ მეტრს შეადგენს. სავარაუდოთ, გაზსადენი, რომლის საერთო სიგრზე 1600 კილიმეტრს შეადგენს, ექსპლუატაციაში 2010 წელს შევა.

რუსეთს, თურქმენეთსა და ყაზახეთს შორის შეტანხმება ბუნებრივი აირის ტრანსპორტირების შესახებ, 2020 წლის დეკემბრამდე იმოქმედებს. ამასთან ერთად, ვადის ამოწურვის შემდეგ გათვალისწინებულია მისი ავტომატური გახანგრძლივება. **ჯი-ეიჩ-ენი**

# აიცილეთ კურსის ცვალებადობის რისკი!




# გახსენით
# კონვერტირებადი ანაბარი
# ბანკ „რესპუბლიკაში"!

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC

ჯგუფი სოსიეთე ჟენერალი

## თქვენი ანაბრის ვალუტის კურსი ეცემა?

კონვერტირებადი ანაბარი გაძლევთ საშუალებას, გადაიტანოთ თქვენი დანაზოგი სხვა ვალუტაში და თანაც შეინარჩუნოთ ანაბარზე დაგროვილი სარგებელი.

**თუ გახსნილი გაქვთ კონვერტირებადი ანაბარი ბანკ "რესპუბლიკაში":**

- ანაბარზე განთავსებულ თანხას გაანაღდებთ ნებისმიერი ვალუტით
- მიიღებთ მაღალ სარგებელს – 14%-მდე
- ხართ მსოფლიო საბანკო ჯგუფ "სოსიეტე ჟენერალის" პატივცემული მეანაბრე

## კონვერტირებადი ანაბრის გასახსნელად ეწვიეთ ჩვენს ნებისმიერ ფილიალს:

### თბილისის ფილიალების ქსელი

| | | |
|---|---|---|
| სათავო ოფისი | გრ. აბაშიძის ქ. 2 | 925555 |
| ცენტრალური ფილიალი | გრ. აბაშიძის ქ. 2 | 925555 |
| დელისის ფილიალი | ალ. ყაზბეგის გამზ. 47 | 312161 |
| სადგურის ფილიალი | რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია | 910600 |
| დიდუბის ფილიალი | წერეთლის გამზ. 10 | 345556 |
| პეკინის ფილიალი | პეკინის გამზ. 28 | 433355 |
| გლდანის ფილიალი | ხიზანიშვილის ქ. 20 | 590550 |
| ისნის ფილიალი | ნავთლუღის ქ. 6/2 | 243737 |
| ფალიაშვილის ფილიალი | ფალიაშვილის ქ. 33ა | 912237 |
| ჭავჭავაძის 24 საათიანი ფილიალი | ჭავჭავაძის გამზ. 13 | 925555 |
| აღმაშენებლის ფილიალი | აღმაშენებლის გამზ. 112 | 243585 |
| ვაჟა - ფშაველას ფილიალი | ვაჟა - ფშაველას გამზ. 71 | 244114 |
| დიღმის ფილიალი | დიღმის მასივი, I კვარტალი, Iბ კორპუსი | 518515 |
| საბურთალოს ფილიალი | გურამიშვილის გამზ. 34 | 653515 |

### რეგიონების ფილიალების ქსელი

| | | |
|---|---|---|
| ქუთაისის ფილიალი | გრიშაშვილის ქ. 6 | 8(231) 58888 |
| ბათუმის ფილიალი | ქუთაისის ქ. 6 | (888 222) 32810 |
| ბათუმის 24 საათიანი ფილიალი | გოგებაშვილის ქ.24 | (888 222) 759 26 |
| სამტრედიის ფილიალი | რაზმაძის ქ. 2 | 8(211) 21353 |
| ზუგდიდის ფილიალი | ზვ. გამსახურდიას გამზ. 34 | 8(215) 50008 |
| რუსთავის ფილიალი | მეგობრობის გამზ. 20 | 8(24) 12 55 55 |
| ფოთის ფილიალი | აღმაშენებლის ქ. 50 | 8 (293) 7 00 87 |
| თელავის ფილიალი | მარჯანიშვილის ქ. 4 | 8 (250) 70040 |
| სიღნაღის ფილიალი | თამარ მეფის ქ. 1 | 8 (255) 31037 |

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით 24 საათის განმავლობაში: (8 22) 92 55 55

www.republic.ge

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC

ჯგუფი სოსიეტე ჟენერალი



# აფიშა

## 29 დეკემბერი

### კინო

**"რუსთაველი"**
"დღე, როდესაც დედამიწა გადარჩა"
დასაწყისი: 12.00; 14.00; 16.00; 18.00; 20.00; 22.15
"ნადირობის სეზონი 2"
დასაწყისი: 13.00; 15.00; 17.00; 19.00; 21.00
"ჯეიმს ბონდი: შეწყალების კვანტუმი"
დასაწყისი: 14.45; 19.45
"ბედის ირონია"
დასაწყისი: 12.30; 17.30
"მძევალი"
დასაწყისი: 21.30
"იდიოტოკრატია"
დასაწყისი: 19.15
"რაც ყველაზე ძლაიან გიყვარს"
დასაწყისი: 15.00; 17.15; 19.30; 22.00
"ქართული იდეა"
დასაწყისი: 12.00; 13.00
"უოლი"
დასაწყისი: 14.30; 16.30

**"ამირანი"**
"დღე, როცა დედამიწა გაჩერდა"
დასაწყისი: 19.30; 22.00
"კეტო და კოტე"
დასაწყისი: 18.00
"ნადირობის სეზონი 2"
დასაწყისი: 12.00; 14.00; 16.00
"რაც ყველაზე ძალიან გიყვარს"
დასაწყისი: 12.30; 15.15; 17.30; 20.00; 22.15

### გალერეა

**"ქარვასლა"**
ჰორსტ იანსენი - გრაფიკა
მაიკლ კენას ფოტოგრაფია – "ფრანგული პეიზაჟი"

**"N გალერეა"**
საშობაო გამოფენა: სანდრო ანთაძე, მაკა ბატიაშვილი, თიკა ჩხიკვიშვილი, გიორგი აბუაშვილი, ანტონ ბალანჩივაძე და ქეთევან დავლიანიძე

**"ჰობი"**
"იუბილარები" – თანამედროვე ქართული ფერწერა

**"ვერნისაჟი"**
საშობაო გამოფენა

**"კოპალა"**
ზალიკო ბერგერის ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა




# აბსურდული რეალისტი

## მათზე, ვინც მსოფლიოს ახალი 2009 წლიდან დააკლდება

თამარ კიკნაველიძე

ინგლისელ დრამატურგთა და პუბლიცისტთა შორის, ჰაროლდ პინტერი ყველაზე ირონიული ავტორი გახლდათ. ის 24 დეკემბერს, 78 წლის ასაკში, ყელის სიმსივნით გარდაიცვალა. ეს დაავადება მას 2001 წელს აღმოაჩნდა. მისი გარდაცვალების შესახებ ინფომაცია "The Guardian"-მა მწერლის ქვრივის, ლედი ანტონიუ ფრეზერას ცნობაზე დაყრდნობით გაავრცელა.



29 პიესის, 26 სცენარის, 15 სკეჩის, ერთი რომანისა და ტელე-რადიო სპექტაკლების, ლექსების, მოთხრობებისა და ესსეების ავტორი ჰაროლდ პინტერი ლონდონში, თერძის არც თუ ისე შეძლებულ ოჯახში დაიბადა. მშობლები ეცადნენ მისთვის კარგი განათლება მიეცათ. ჯერ კიდევ სკოლაში სწავლისას, ჰაროლდ პინტერს უცხო ენების შესწავლისადმი მიდრეკილება აღმოაჩნდა, ასევე ბრწყინავდა სასკოლო თეატრსა და კრიკეტის მოედანზე... მოგვიანებით, მან დრამატული ხელოვნების სამეფო აკადემიაში ჩააბარა, რომელიც მალე მიატოვა და თეატრალური განათლებისა და გამოცდილების მიღება პირდაპირ სცენაზე განაგრძო - ის, როგორც მსახიობი, სხვადასხვა რეპერტუარის მქონე დასებთან თანამშრომლობდა, რითაც მთელი დიდი ბრიტანეთი და ირლანდია მოიარა. 1950-იანი წლების მეორე ნახევარში, მან ახალი ნაბიჯი გადადგა და დრამატურგი გახდა.



ჰაროლდ პინტერის პირველი პიესა, სახელწოდებით "ოთახი", შეუმჩნეველი დარჩა, მისი სამმოქმედებიანი გროტესკული "დაბადების დღე" კი, 1958 წელს ჩავარდა. თუმცა, მას შემდეგ, რაც ეს სპექტაკლი გადაიღეს, გამოცემაში "Sunday Times" ერთ-ერთი წამყვანი კრიტიკოსის დადებითი რეცენზია გამოჩნდა, რამაც, შეიძლება ითქვას, რომ პინტერის რეპუტაცია გადაარჩინა.

1960 წელს, პინტერმა გესლიანი, ამასთან სასაცილო, "მუქარათა კომედიების" ავტორის სახელი დაიმკვიდრა, რამდენიმე წლის შემდეგ კი, მისი დიდება ატლანტიკის საზღვრებსაც გასცდა და პიესები: "ყარაული", "კოლექცია", "საყვარელი", "ჩაის სმა", "სახლში დაბრუნება" აშშ-ში წარმატებით განხორციელდა. აღსანიშნავია, რომ პინტერის პიესამ "სახლში დაბრუნება" ბროდვეის პრემია - "ტონი" ოთხჯერ მოიპოვა.

პინტერს ხშირად ადარებდნენ ბეკეტს, რომლის მემკვიდრედ და შემოქმედებითი გზის გამგრძელებლადაც მიიჩნევენ. მაგრამ ბრიტანელი დრამატურგი ხშირად აზუსტებდა, რომ ის აბსურდულს არაფერს წერდა, ჩემთან ყველაფერი რეალური და დეტალურიაო, აღნიშნავდა ის.

დრამატურგი განსაკუთრებული ინტერესითა და პატივისცემით ეკიდებოდა კონემატოგრაფიას და აქტიურად წერდა სცენარებს. მას ხელეწიფებოდა არა მხოლოდ საკუთარი პიესების ადაპტაცია, არამედ უცხო პროზის ეკრანიზაციაც. წარმატებული აღმოჩნდა მისი "ფრანგი ლეიტენანტის საყვარელი" (ფაულზის მიხედვით), ასევე, "მოსამსახურის ისტორია" (მარგარეტ ეტვუდის მიხედვით), "უკანასკნელი მაგნატი" (ფიჯერალდის დაუმთვრებელი რომანის მიხედვით).

პინტერის სცენარით გადაღებული უკანასკნელი ფილმი ეკრანებზე სულ ცოტა ხნის წინათ გამოვიდა, კერძოდ, 2007 წელს და ეს კენეტ ბრანის "აგენტი" გახლდათ, მაიკლ კეინის და ჯუდ ლოუს მონაწილეობით. დრამატურგმა იქ ერთ სცენაშიც გაიელვა. მისი ნახვა, ასევე, შესაძლებელია ფილმში - "თერძი პანამიდან" და კიდევ ათეულობით სურათში.

ებრაელის ვაჟს, რომელიც ღარიბების რაიონში ცხოვრობდა და ლონდონის დაბომბვების მოწმეც არაერთხელ გახლდათ, ნაადრევად ჩამოუყალიბდა მტიკე პოლიტიკური შეხედულებები, რომლებსაც არასოდეს ღალატობდა. ის პაციფისტი იყო, მას ხშირად კიცხავდნენ იმისათვის, რომ უარი თქვა ჯარში სამსახურზე, ის იყო ადამიანთა უფლებების დაცვისა და სიტყვის თავისუფლების მოძრაობის წევრი და აკრიტიკებდა "ნატოს". დიდ ბრიტანეთში პინტერს "უხერხული ადამიანის" რეპუტაცია ჰქონდა, რაც მას, ერთგვარ, თავისუფლებას ანიჭებდა, მაგალითად იმაში, რომ ტონი ბლერისთვის "უტვინო იდიოტი" ეწოდებინა, ხოლო ჯორჯ ბუშ უფროსისათვის - "მკვლელი", ამერიკელი პრეზიდენტის ადმინისტარციისათვის კი, "შეშლილ დამნაშავეთა ერთობა".

2005 წელს, ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიის მინიჭების შემდეგ, პინტერმა, რომელიც იყო არა მხოლოდ ბრიტანული, არამედ მსოფლიოს თანამედროვე დრამატურგიის უგვირგვინო მეფე, კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი ჯილდოს მიღებაც მოასწრო.

2006 წელს მისი ჯანმრთელობა იმდენად გაუმჯობესდა, რომ მან შეძლო ეთამაშა ბეკეტის ერთ-ერთ ყველაზე ტრაგიკულ პიესაში სიბერეზე - "კრების უკანასკნელი ფირი". სპექტაკლი პინტერის ტრიუმფად იქცა და ისეთი შთაბეჭდილება დატოვა, რომ ბეკეტმა, რომელიც პინტერს ძალიან უყვარდა და მას ბევრსაც უმადლოდა, ეს პიესა სპეციაურად მისთვის, მისი დაბერებული უმცროსი მეგობარისთვის შექმნა.

ჰაროლდ პინტერი, რომელიც ცნობილი იყო თავისი მემარცხენე შეხედულებებითა და იუგოსლავიასა და ერაყში დიდი ბრიტანეთის მოქმედებებს აკრიტიკებდა, ყველაფრის მიუხედავად გახლდათ ბრიტანეთის ორდენის კავალერი, ღირსებისა და საპატიო ლეგიონის ორდენების მფლობელი, არაერთი პრემიის ლაურეატი, მათ შორის: კაფკას, პირანდელოს, შექსპირის, ლოურენს ოლივიეს სახელობის თეატალური პრემიებისა და ფრანგული პრიზის - "მოლიერი" მფლობელი. ის იყო ათობით ევროპული უნივერსიტეტის მეცნიერებათა საპატიო დოქტორი.

ამ წლის მიწურულს მხოლოდ ჰაროლდ პინტერს არ დამშვიდობებია მსოფლიო მწერლობა. აშშ-ში, 94 წლის ასაკში, გულის მწვავე უკმარისობით, დრამატურგი დეილ ვასერმანი გარდაიცვალა. ეს მწერალი ცნობილია, როგორც მიუზიკლის - "ადამიანი ლამანჩიდან", პიესის - "ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა", ასევე ჰოლივუდის რამდენიმე ფილმის სცენარის ავტორი. აღსანიშნავია, რომ ავტორი ლიტერატურული მოღვაწეობით გარდაცვალებამდე იყო დაკავებული. მისი გარდაცველაბის შესახებ ინფორმაცია პრესის წარმომადგენლებისათვის მწერლის ქვრივმა გაავრცელა, გვამცნობს "Associated Press".

"ადამიანი ლამანჩიდან" (1966 წ.), ე სარის მიუზიკლი, რომელიც 1960-იანი წლების მეორე ნახევარში ბროდვეიზე ჰიტად იქცა. მას საფუძვლად ედო ვესერმანის მუსიკალური პიესა სახელწოდებით "მე, დონ კიხოტი", რომელიც ტელევიზიისათვის სერვანტესის ცნობილი ნაწარმოების მიხედვით შეიქმნა. ამ მიუზიკლისათვის მუსიკა მუტჩ ლიმ დაწერა, ხოლო ლიბრეტო - ჯო დერიონმა.

ვესერმანის ცნობილი ნაწარმოებების რიცხვში შედის, კენ კიზის ამავე სახელწოდების რომანის, "ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა" (1963 წ.) სცენური ადაპტაცია. ვესერმანის ნამუშევარმა მაღალი შეფასევა დაიმსახურა თვით კიზისგან, რომელმაც 2001 წელს, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე აღიანა, რომ პიესის გარეშე მისი რომანი ასეთ მასშტაბურ აღიარებას ვერ მოიპოვებდა. ვესერმანი ასევე მუშაობდა ისეთი ფილმების სცენარებზე, როგორებიცაა: "ვიკინგები" (The Vikings, 1958 წ.) კერკ დუგლასთან და ტონი კერტისონთან ერთად და "მისტერ ბადიუნგი" (Mister Buddwing, 1966 წ.) ჯეიმს გარნერთან ერთად.

დეილ ვასერმანი 1914 წელს, ვისკონსიის შტატ რაინლენდერში დაიბადა. მისი ოჯახი რუსეთიდან იყო ემიგრირებული. ან ცხოვრების ბოლო ხანები არიზონას შტატში, პარადაიზ-ველიში გაატარა, სადაც ის ლიტერატურულ მოღვაწეობას აგრძელებდა. სიკვდილის წინ მან მეუღლეს, მარტას, განკარგულება განსაკუთრების მის ნეკროლოგთან დაკავშირებით მისცა - მწერალს სურდა, რომ ბეჭდური მედიის პუბლიკაციებში აღნიშნული ყოფილიყო სიტყვები: "მან მოიფიქრა ფრაზა "შეუძლებელი ოცნება" და ის ცხოვრებაში განახორციელა". სწორედ ასე - The Impossible Dream - ეწოდება ცნობილ სიმღერას მიუზიკლიდან "ადამიანი ლამანჩიდან".

# სცენაზე - სუხიშვილები

"ერთ რვაში ორი ცეკვის კომპოზირება"...



მზეხა მახარაძე

"სუხიშვილების" საქველმოქმედო კონცერტები ოპერისა და ბალეტის თეატრში სრული ანშლაგებით მიდიოდა... მაყურებელი იმდენად ბევრი იყო, რომ დარბაზის შესასვლელებში იდგნენ, კიბეებზეც ისხდნენ... სცენაზე "სუხიშვილების" მოდერნიზებული ქორეოგრაფიის ახალი კომპოზიციები ისევ ვირტუოზული პლასტიკასთან და მუსიკის მაღალ რიტმებთან არის თანაზიარი. ახალი ფოლკექსპერიმენტი საბრძოლო-საგმირო სიუიტაა. ეს ქორეოგრაფიული ჩანახატი სცენაზე 15 წუთზე დიდხანს გრძელდება, თითქმის მთელი ანსამბლი ცეკვავს და თემად პოლიტიკური შინაარსი გაყვება... "ხორუმის" მოდერნიზებულ ფოლკვერსიაში "ილოური" ილეთების კომბინაცია ხალხურ რიტმშია მოქცეული, ანუ აქ "ხორუმის", "სამანის", "ხევსურულის", "მხედრულის" ფრაგმენტული სინთეზი საბრძოლო-საგმირო სიუიტას ქმნის და შემოაქვს ბევრად მეტი დრამატიზმი... ასეთი ჰეროიკული ოპუსი, რომელიც თავისი დინამიკით თუნდაც ტემპერამენტით, მოცეკვავეებისგან მაინც კლასიკურ შესრულებას ითხოვს, ილიკო სუხიშვილმა აგვისტოს ომის ქრონიკების მერე დადგა, კომპოზიციის ფორმა და წყობა "ხორუმის" დოკუმენტურ წარსულს დაუკავშირა... "ხორუმის" დიდი ფერხულს გოგოებიც და ბიჭებიც ერთად ცეკვავენ, ეს პირველი მცდელობაა და მთლიანობაში საბრძოლო სიუიტად შეიკრა... "ხორუმის" თემის ტრადიციულ ქარგაში უცვლელად დარჩა დაზვერვა, ხელუხლებელია "ხორუმის" კლასიკური ხაზი, მერე და მერე სინქრონში შეუჩერებელი მოძრაობაა, დამატებით "იარაღად" შემოვიდა ბევრი ემოცია, ხოლო შეიცვალა ქრონოლოგია და ფინალი, ანუ საბრძოლო მზადება, რომლის დასკვნითი ნაწილი ფარიკაობაში გადადის...

საბრძოლო სიუტას მიყვები და ხვდები, რომ გმირული სული ქართველებში მემკვიდრეობით გადმოდის. ეს ცეკვა დაფუძნებულია კლასიკურ "ხორუმზე", არის ლოგიკური სვლა, ანუ მიგნებულია უწყვეტი ხაზი, რომელიც სულ რჩება "ხორუმის" თემაში გატარებული. ტრადიციული ფორმების მიღმა, ამ ფოლკოპუსში გრძნობ, რომ დრო არ არის ზღუდე, საბრძოლო ქრონიკა პლასტიკაში არსებობს და ამ თემას არა მარტო ეხები, არამედ მისი ნაწილიც ხდები... მუსიკა? ძველი ხალხური მოტივები ჰეროიკულია, თუმცა ძირითადად არის რიტმი, ანუ მუსიკის ძიება და მასში ნაპოვნი "ხორუმის" "გადმოგორებული" რიტმი - საბრძოლო განწყობის სიმბოლოდ გააზრებული იმპულსი. "ხორუმი", რომელიც "სუხიშვილების" მესამე თაობის მესამე მოდერნიზებული ვერსიაა, აგებულია მასაზე. საგმირო ფოლკოპუსში შემოტანილია ახალი ქორეოგრაფიული ნახაზი ახალი საბრძოლო ილეთებით - კიდევ უფრო რთული, ჩახლართული და დამღლელი პასაჟებით. ტემპი? მოცეკვავეები ამბობენ, რომ როცა ცეკვავენ თითქმის ვერ სუნთქავენ, "გული საფეთლებთან ძგერს"... "ხორუმის" პათოსი სცენიდან მაყურებლისთვის იმდენად გადამდები ჩნება, რომ დარბაზში ემოციები მატულობს, აბჯარასხმულებისთვის 9-ჯერ ისმის აპლოდისმენტები...

"სამაია", "ჩავლა", "ნანილა", "ლაზური", "შხელდა", "უჩხრესტი", "ხანჯლური", "ჯუთა"... ეს ის ცეკვებია, რომელსაც მუსიკის პირველი ტაქტიდან ცნობენ და ამბობენ, რომ "უფროს და უმცროს ილიკოს ქორეოგრაფიულ ხელწერაში მსგავსება არის". შეიძლება, რადგან ილიკოს სტილისტიკა აღებული აქვს ბაბუას მოძრაობებიდან... ცეკვა "ილოური"? ეს მემორიალურ მინიატურა, რომელიც დოკუმენტური კინოწარსულიდან არის გაცოცხლებული, მერე და მერე გახსენდება დიდი ილიკოს ჩანაწერები:

"1930 წელი... ნინო ჩემთან ერთად მამაკაცის ტანსაცმელში ჩაცმული ცეკვავდა. არ დავიკვეხნი, ფილიგრანული ტექნიკითა და სისწრაფით, ჩემებურად, ჩემი ილეთებით ვცეკვავდი. მოცეკვავეები ჩემს ილეთებს ხუმრობით "ილოურს" ეძახდნენ. მაგრამ ჩემდა გასაოცრად, ეს გურული გოგონა არ ჩამომრჩა. ჩემს მოძრაობებს იმეორებდა, როდესაც სინქრონული დუეტის ილეთებს ვასრულებდით. სოლოებს ისიც თავისი მანერით, საოცრად დახვეწილად, ვაჟკაცურად ცეკვავდა, ხოლო როდესაც ნინო ბოხოხს მოიხდიდა და თმა ტალღებად გადმოეშლებოდა, აღტაცებული მაყურებელი ტაშით ანგრევდა დარბაზს..."

სცენაზე ისევ "სუხიშვილების" მიერ დანთებულ ცეცხლი, აბჯარი, სხვა სტილით შეკრული ყაბალახი... ხანჯლებით, მათრახებით, იარაღით გულმამაცი ქართველი მთიელები, ყველაზე აბრაგული კუთხეებიდან, "სუხიშვილების" კიდევ სხვა, თუმცა ახალ საბრძოლო კომპოზიციაში იკრიბებიან. ეს ცეკვა "აბრაგულია" ხალხურ თქმულებებზე აგებული და ფოლკლორულ მოტივებში გატარებული პროტესტით. ქორეოგრაფიული თხრობა აბრაგების ცხოვრების სტილიდან მოვიდა, ილიკოსეულ თეორიაში კი თავისებური იმპროვიზაციით გადავიდა. გულადობა და თავისუფლების სიყვარული შეუცვლელ რელიკვიად რომ გადმოსულა ქართველი კაცის გულში საუკუნეებით, ამაზე "აბრაგულის" სტილი მეტყველებს. ინსპირაცია დათა თუთაშხიას პერსონაჟია... სცენაზე ერთდროულად ოთხი ჯგუფი ცეკვავს - აჭარულ, გურულ, მეგრულ, ყაზბეგურ საბრძოლო ფრაგმენტებს, ანუ როგორც მოცეკვავეები იტყვიან, "ერთ რვაში კეთდება ორი ცეკვის კომპოზირება..." ქორეოგრაფიულ წყობაში არის მოულოდნელი ეფექტები: აჭარული ჩახვეულიდან ყაზბეგურ ტეხილებზე გადასვლა... ხალხურ რიტმში იმერული მელიზმებიდან გურულ ინტონაციასა და აჭარულ მელოდიებზე მოხვედრა ისე, რომ ეს განსხვავებული პოლირითმები ყურს არ ჭრის...

# ფოტო და ეპოქები

## გურამ ბუმბიაშვილის ნამუშევრების გამოფენაზე ეროვნულ მუზეუმში

30 დეკემბერს, 14:00 საათზე საქართველოს ეროვნული მუზეუმი გვიწვევს ცნობილი ფოტოგრაფის, გურამ ბუმბიაშვილის ნამუშევრების გამოფენაზე.

საქართველოს ეროვნული მუზეუმი 2004 წლის 30 დეკემბერს დაარსდა და უკვე მეოთხე წელია მუზეუმის თანამშრომლები ამ დღეს საზეიმოდ აღნიშნავენ. ტრადიციულად 30 დეკემბერს ღვაწლმოსილ მეცნიერებს სპეციალური სიგელები და ჯილდოები გადაეცემათ.

წლევანდელი სამუზეუმო დღესასწაული განსაკუთრებულია, რადგან ის თითოეული მუზეუმელისათვის უსაყვარლესი ადამიანის არაჩვეულებრივი გამოფენით აღინიშნება.

გურამ ბუმბიაშვილი 30 წელია მუზეუმში მოღვაწეობს და მის ფოტოობიექტივს არაერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა დაუფიქსირებია.

ცნობილი ფოტოგრაფისათვის, რომელმაც ქართული ფოტოგრაფიის ისტორიაში საკუთარი და მეტად მნიშვნელოვანი ნიშა შექმნა, ეს პირველი პერსონალური გამოფენაა. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იქნება მუზეუმის ისტორიის ამსახველი სიუჟეტები, სცენები პანტომიმის თეატრიდან, თბილისის დინამოს თამაშები, ძველი თბილისის პეიზაჟები და ბევრი სხვა არაჩვეულებრივი ოსტატობით შესრულებული ნამუშევარი.

ექსპოზიციაზე ასევე წარმოდგენილია ელენე ახვლედიანის ბოლო ფოტოპორტრეტები, რომელიც გურამ ბუმბიაშვილმა მხატვარს სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში გადაუღო.

მნიშვნელოვანია ილიამ II-ის აღსაყდრების უნიკალური კადრი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსპოზიციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ საქართველოს პატრიარქს ეძღვნება...

ყოველ ორშაბათს საქართველოს ეროვნული მუზეუმი და გაზეთი "24 საათი" წარმოგიდგენთ პროექტს, რომელიც ეროვნულ მუზეუმში გაერთიანებული სხვადასხვა მუზეუმის გამორჩეული ექსპონატების პოპულარიზაციას ისახავს მიზნად.



# რომის იმპერატორ კარაკალას პორტრეტი

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს.ჯანაშიას სახელობის მუზეუმის გლიპტიკის კაბინეტში ქარელის რაიონის სოფელ ურბნისში აღმოჩენილი ყელსაბამი ინახება. ოქროს ძეწკვზე უნიკალური მედალიონი არის ჩამოკიდებული. სამკაულში განსაკუთრებულ ყურადღებას მედალიონში ჩასმული ამეთვისტოს გემა იპყრობს, სადაც გამოსახულია ისტორიაში კარაკალას (211-217) სახელით ცნობილი რომის იმპერატორ მარკუს ანტონინუს პიუსის შესანიშნავი პორტრეტული გამოსახულება.

რომაელი ისტორიკოსები კარაკალას იხსენებენ როგორც ყველაზე სისხლისმღვრელ ტირანს, რომელიც კი ოდესმე რომის ტახტზე მჯდარა. ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად ის შეეცადა თავისი ხელით სიცოცხლე მოესწრაფა მამის რომის იმპერატორ სეპტიმიუს სევერუსისათვის.

შემდგომში კარაკალას დავალებით და უშუალო მონაწილეობით მოკლულ იქნა მისი ძმა და თანამმართველი გეტა. სენატი და დიდებულები კარაკალამ სახელმწიფო საქმეებს ჩამოაშორა, ხოლო მისი ძალაუფლების მთავარ დასაყრდენს ჯარი წარმოადგენდა.

სახელი კარაკალა იმპერატორს ჯარისკაცებმა შეარქვეს, რადგან ის გრძელ გალურ სამოსს კარაკალუსს ატარებდა.

კარაკალას იდეალი ალექსანდრე მაკედონელი გახლდათ. ტირანი მმართველი ცდილობდა ყველაფერში მისთვის მიებაძა... ჯარის წინ ხშირად ჩნდებოდა ელინისტური დიადემით შემკული, მაკედონურ სამოსში. ალექსანდრეს მიბაძვით კარაკალა მთელი აღმოსავლეთის დაპყრობაზე ოცნებობდა და დაუსრულებელ ომებს აწარმოებდა ირანის ხელში ჩასაგდებად.

217 წელს, როდესაც კარაკალა თავისი ჯარით მესოპოტამიაში იდგა და მორიგი ბრძოლისათვის ემზადებოდა ცენტურიონებმა მის წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყეს და მოკლეს.

ურბნისის გემაზე წარმოდგენილია იმპერატორ კარაკალას შესანიშნავი, რეალისტურად შესრულებული პორტრეტი. აღსანიშნავია, რომ ცალკეული ნაკვთების რეალისტურად გადმოცემასთან ერთად გემის შემქმნელმა ხელოვანმა პიროვნების ფსიქოლოგიური დახასიათებაც შეძლო: შეყრილი წარბები, წინ წამოწეული ღონიერი ნიკაპი, მასიური ცხვირის გაბერილი ნესტო და მრისხანე გამომეტყველება ნათლად გვისახავენ სისასტიკითა და ბოროტებით აღსავსე, დაუნდობელი ადამიანის სახეს.

ურბნისის პორტრეტი ოსტატური დახასიათებაა არა მარტო პიროვნებისა, არამედ იმ ეპოქისა, როდესაც მთელ რომის იმპერიაში ძალმომრეობა სუფევდა და იმპერატორის ძალაუფლება ხელიდან ხელში გადადიოდა... როდესაც თავად ეპოქამ მოითხოვა ხელოვანისაგან ყოველგვარი გაიდეალების გარეშე, რეალისტურად აესახა პიროვნების ინდივიდუალური თვისებები, მისი ენერგია და უხეში ძალა.

ურბნისში აღმოჩენილი გემა რომის იმპერატორ კარაკალას გამოსახულებით III საუკუნის დასაწყისის ქვაზე ნაკვეთი რომაული პორტრეტული ხელოვნების თვალსაჩინო ნიმუშია.

*ქეთევან ჯავახიშვილი*
*საქართველოს ეროვნული მუზეუმი*

## სიმფსონების რგოლი საბავშვო პორნოგრაფიად აღიარეს

ავსტრალიაში გავრცელებული სარეკლამო რგოლი, სადაც მულტიპლიკაციური ტელესერიალის "სიმფსონების" გმირები სექსით არიან დაკავებულნი, სასამართლომ საბავშვო პორნოგრაფიულ რგოლად აღიარა. სიდნეის მცხოვრებმა სასამართლოში იჩივლა იმის გამო, რომ საკუთარ კომპიუტერში ნანახ ანიმაციურ რგოლში, მულტსერიალ "სიმფსონების" გმირები სექსით არიან დაკავებულნი. მოსამართლე მაიკლ ადამსმა განაცხადა, რომ ანიმაციური გამოსახულება, რომელზეც პოპულარული მულტფილმის გმირების სექსუალური აქტია აღბეჭდილი, შესაძლოა საბავშვო პორნოგრაფიად ჩაითვალოს, ხოლო დახატულ პერსონაჟებს შეუძლიათ სრულიად რეალური ადამიანები განასახიერონ. მოსამართლეს თქმით, საბავშვო პორნოგრაფიის შესახებ გამოცემული კანონის თანახმად, უნდა შეწყდეს სექსუალური ექსპლუატაცია და შეურაცხყოფა ბავშვებზე და აღკვეთილი იყოს არასრულწლოვნებში გამოსახულების გავრცელება. "სიმფსონების" შემთხვევაში, როგორც მოსამართლის დასკვნაშია ნათქვამი, მულტიპლიკაციურ რგოლს შეუძლია გამოიწვიოს "ბუნებრივ მოთხოვნილებათა გაღიზიანება, რაც ფიზიკურ ქცევებში გამოიხატება. მათ შორის შედის ბავშვებზე ძალადობაც".

მულტიპლიკაციური რგოლის შემქმნელი, რომელიც საბავშვო პორნოგრაფიისთვის გაასამართლეს, ციხეში ჩასმას გადაურჩა, თუმცა მოლაპარაკებების შედეგად ჯარიმა -ორი ათასი დოლარი დაეკისრა. მსჯავრდებულის ადვოკატი სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს.

## ნინა ფოჩი: "მე მყავს ერთი ვაჟი, მაგრამ ასობით შვილი"

ჰოლივუდის ცნობილი მსახიობი და დრამის მასწავლებელი ნინა ფოჩი 83 წლის ასაკში ლოს ანჯელესში გასულ კვირას გარდაიცვალა. მსახიობი ცუდად მაშინ გახდა, როცა სამხრეთ კალიფორნიის სკოლის უნივერსიტეტში კინოხელოვნების ლექციებს კითხულობდა.

ფოჩი სკოლაში 40 წელიწადი ასწავლიდა. ახალგაზრდობაში, სანამ მსახიობის ოსტატობს შეისწავლიდა ამერიკის დრამატული ხელოვნების აკადემიაში, ის პიანისტი და მხატვარი იყო.

მას შემდეგ რაც თეატრის სცენაზე გამოჩნდა და ტურისტული კომპანიების პროგრამებში მონაწილეობდა, ის ჰოლივუდს ეწვია და კონტრაქტი გააფორმა Columbia Pictures –თან. მისი კინოდებიუტიც აქ შედგა 1943 წელს ფილმში, Wagon Wheels West.

მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ვარსკვლავის სტატუსი არასდროს მიუნიჭებიათ ის მაინც აღიარებული და წარმატებული მსახიობი გახლდათ. 1955 წელს ნინა ფოჩი "ოსკარზეც" იყო ნომინირებული , როგორც ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელი ფილმში Executive Suite.

მსახიობმა თავისი კარიერის განმავლობაში ითამაშა შემდეგ ფილმებში: The Ten commandments, Spartacus, Rich and Famous, Silver. ის მუშაობდა ასისტენტად ცნობილ პროდიუსერ ჯონ ჰაუსმენთან და ასევე რეჟისორ ჯორჯ სტივენთან, რონ ვუდვარტთან და რანდალ კლეიზერთან.

ნინა ფოჩი 1924 წელს ჰოლანდიაში დაიბადა, მამამისი ცნობილი კომპოზიტორ-დირიჟორი დირკ ფოკი იყო, ხოლო დედა კონსუელო ფლაუერტონი ნიუ იორკში ცნობილი მსახიობი გახლდათ. ნინამ სწორედ მისი გზა აირჩია.

-" მე მიყვარს ისინი და მათაც ვუყვარვარ, მე ერთი ვაჟი მყავს, მაგრამ ასობით შვილი," –ესეთი იყო მისი დამოკიდებულება სტუდენტებისადმი.

მსახიობმა ბოლო, ეპიზოდური როლი ითამაშა ფილმში The Closer.

## ობრი ბერდსლის ნამუშევრებს პენსიონერის საპირფარეშოში მიაგნეს

ბრიტანული აუქციონის სახლის ექსპერტმა, რომელიც პენსიონერის ქონებას აფასებდა, მოხუცის საპირფარეშოში XIX საუკუნის ცნობილი ინგლისელი გრაფიკოსის – ობრი ბერდსლის ორი ნამუშევრის დედანი აღმოაჩინა. ორივე ნახატი აუქციონზე 200 ათას ფუნტ სტერლინგად (298 ათას დოლარი) გაიყიდა. ამის შესახებ, გამოცემა The Independent იტყობინება.

ობრი ბერდსლის ორივე ნახატი, სახელწოდებებით - "კულმინაცია" და "პლატონური დატირება", 1894 წელს, ტუშით არის შესრულებული და მხატვრის მიერ, ოსკარ უაილდის პიესისათვის - "სალომეა" შექმნილი სერიის ნაწილია. ეს სერია სულ 13 ილუსტრაციისგან შედგება და კოლექციონერების მიერ საუკეთესოდ არის შეფასებული.

აღსანიშნავია, რომ საპირფარეშოში აღმოჩენილი ნამუშევრების უკანასკნელ მფლობელს, რომლის ვინაობასაც არ ახმაურებენ, ნახატები, 40 წლის წინათ, მემკვიდრეობით ერგო ბაბუასგან, რომელიც უნივერსიტეტის პროფესორი და ხელოვნების დიდი მოყვარული იყო. როგორც ირკვევა, პროფესორმა ბერდსლის ნახატები 1930-იან წლებში საჩუქრად მიიღო იმისგან, ვინც "კულმინაცია" და "პლატონური დატირება" აუქციონზე შეიძინა. პროფესორის შვილიშვილს წარმოდგენა არ ჰქონდა იმაზე თუ რა ნამუშევრები ჩაუვარდა ხელთ და ამ ნახატებით საკუთარი საპირფარეშოს შელამაზებაზე უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა.

# დროთა კავშირი არ გამწყდარა



რაც უფრო რთულ და წინააღმდეგობებით აღსავსე დროში ცხოვრობ, მით უფრო მეტად აფასებ საკუთარი ფესვების ძალას, მით უფრო დიდი მოთხოვნილება გაქვს, იცოდე, თუ ძვისი გორისა ხარ", მით მეტად გჭირდება გრძნობდე ტრადიციით გამაგრებულ "ზურგს".

იერარქიის ცნება, რომელიც ყველა ცოცხალი ორგანიზმის (საზოგადოების, ოჯახის, თუ ერთეული ადამიანის) ქმედითი ფუნქციონირების საწინდარია, ჩვენს დროში თითქოს აღარ ფასობს. სინამდვილეში კი იგი ახლაც არის განვითარების აუცილებელი პირობა.

ჩვენ, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის (ამჟამად გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი) 1970-80-იანი წლების "ახალგაზრდობა" ძალიან განებივრებულნი აღვმოვჩნდით ჩვენი უფროსი თაობით – ხუმრობაა, როცა მუშაობ ისეთ ადამიანებთან, როგორიც იყვნენ ვახტანგ ბერიძე, ლეო რჩეულიშვილი, თინა ვირსალაძე, რუდა მეფისაშვილი, ნიკო ჩუბინიშვილი, სარა ბარნაველი, ზაქარია მაისურაძე, ვახტანგ ცინცაძე და მათი შემდგომი თაობაც (გ. ალიბეგაშვილი, ნ. ალადაშვილი, ე. პროვალოვა, თ. საყვარელიძე, რ. ყენია, მ. კარბელაშვილი, ი. ლორთქიფანიძე, ლ. ხუსკივაძე, კ. მაჩაბელი, ჯ. იოსებიძე და სხვანი) – ცოცხალ კლასიკოსებთან ურთიერთობა ძალიან ძნელიცაა და ამავდროულად შეუფასებელი საჩუქარია.

იმ მეცნიერთა შორის, ვინც ჩვენ ინსტიტუტში დაგვხვდა, ერთი ქალბატონი განსაკუთრებით მიმზიდველი იყო თავისი ცოდნით, პროფესიონალიზმით, უკომპრომისობით, რთული ხასიათით, გულწრფელობით, ენერგიულობით და სიკეთით. მუდამ სიმართლისა და სამართლიანობისათვის მებრძოლი, ქალბატონი ანელი ვოლსკაია ჩვენი ყველაზე ერთგული მხარდამჭერი და მფარველი შეიქნა, თუნდაც იმით, რომ არასდროს გვეპირფერებოდა, არ გვინდობდა და ამით დიდ სამსახურს გვიწევდა - გვზრდიდა და გვაყალიბებდა როგორც მეცნიერებს და როგორც პიროვნებებს.

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ანელი ვოლსკია, რომელიც 1947 წლიდან მუშაობს ინსტიტუტში, ქართული ხელოვნებათმცდნეობის ერთი გამორჩეული წარმომადგენელია, ბატონ გიორგი ჩუბინაშვილის საყვარელი მოწაფე და მიმდევარი, ქართული ხელოვნების უმნიშვნელოვანეს პრობლემათა მკვლევარი, ინსტიტუტის ღირსეული წარმომადგენელი.

გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტმა უდიდესი წვლილი შეიტანა ჩვენი ქვეყნის უმდიდრესი კულტურული მემკვიდრეობის კვლევის, ინტერპრეტაციის, დაცვისა და პოპულარიზაციის საქმეში.

აკადემიკოს გიორგი ჩუბინაშვილის და მის თანამშრომელთა რამოდენიმე თაობის თავდადებული შრომით დადგინდა ქართული ხელოვნების ისტორიული გზა, გამოირკვა მისი ადგილი მსოფლიო კულტურაში (რაშიც გარდა სამეცნიერო ნაშრომებისა უდიდესი როლი ითამაშა ინსტიტუტის მიერ მოწყობილმა მრავალრიცხოვანმა საერთაშორისო სიმპოზიუმებმა საზღვარგარეთ და საქართველოში), წარმოჩინდა მისი ღირსება-ღირებულება, რითაც ესოდენ ამაყობს ახლა ქართველი ერი.

ინსტიტუტის უდიდესი დამსახურება აქვს ქართული ხელოვნების და მეცნიერების წინაშე: მსოფლიოს კულტურულ და სამეცნიერო წრეებში ქართული ხელოვნების პოპულარიზაციისა და მისთვის ჯეროვანი ადგილის დამკვიდრებაში; საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საქმის (კონსერვაცია-რესტავრაცია) განვითარებაში; რაც მთავარია, მეცნიერთა მომავალი თაობების აღზრდაში.

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის ანელი ვოლსკაიას, როგორც მეცნიერის სახელი ყველაზე მჭიდროდ სვანეთსა და დავიტ გარეჯთან ასოცირდება. სვანეთისა და გარეჯის ეკლესია-მონასტერბის კედლის მხატვრობის ბრწყინვალე ნიმუშების კვლევა-გამოქვეყნება და პოპულარიზაცია სწორედ ქალბატონ ნელის სახელს უკავშირდება. მანვე ჩამოაყალიბა გარეჯისა და სვანეთის (თავის კოლეგებთან თანაავტორობაში) ფერწერული სკოლების განუმეორებელი ხასიათი, დაგვანახა ეს ნაწარმოებები, როგორც განუმეორებელი, ინდივიდუალური მხატვრული ენის მქონე ფერწერული სკოლის ნიმუშები და ამავდროულად, როგორც განუყოფელი ნაწილი ერთიანი ქართული მხატვრობისა.

ანელი ვოლსკაია დიდი მეცნიერია, მრავალი ნაშრომის ავტორი (Ðåëüåôû Øèïîãâèìå è èõ ìåñòî â ðàçâèòèè ãðóçèíñêî é ñðåäíåâåêî âîé ñêóëüïòóðû, Òá., 1975; Ðîñïèñü õóä îæíèêà Òåâäîðå â Âåðõíåé Ñâàíåòèè, Òá., 1966 (თანაავტორები: ნ. ალადაშვილი, გ. ალიბეგაშვილი); Ðîñïèñü ñðåäíåâåêîâûõ òðàïåçíûõ Ãðóçèè, Òá., 1974; Ãàðåäæèéñêàÿ æèâîïèñíàÿ øêîëà. Ðîñïèñü Áåðòóáàíè. ñá. Ðóñü – Ãðóçèÿ, Ì îñêâà, 1978.; Die Ikonen, Kurt Weitzman, Gaiane Alibegasvili, Aneli Volskja, Gordana Babic, Manolos Chatzidakis, Mihail Alpatov, Theodora Voinescu, Wihelm Nyssen; Laibach, 1981; Æèâîïèñíàÿ øêîëà Ñâàíåòèè, Òá. 1983 (თაანაავტორები: ნ. ალადაშვილი, გ. ალიბეგაშვილი); I Tesori Della Georgia, G Alibegasvili, V. Beridze, A. Volskja, L Xuskivadze; Milano, 1984; Sur les Particularits des Peintures anciennes de David-Garedja, ტ. 2 Athens, 2003. და მრავალი სხვ.), მაგრამ ის არასდროს ყოფილა მხოლოდ კაბინეტის მეცნიერი – ჩვენ მას უმტესად ექსპედიციებში ვხედავდით, გარეჯის კლდოვან ბილიკებსა და სვანეთის დამღლელ გზებზე.

ახლახან ანელი ვოლსკაიას ავტორობით გამოიცა შესანიშნავი ალბომი დავით გარეჯის ორი სამონასტრო კომპლექსის – ლავრასა და უდაბნოს შესახებ (თანაავტორები მ. ბულია და დ. თუმანიშვილი), რომელიც უკვე იყიდება ძპარნასის" მაღაზიათა ქსელში და უთუოდ დიდად დაამშვენებს ქართული კულტურის ჩვენებური თუ უცხოელი თაყვანისმცემელთა ბიბლიოთეკას.

ქალბატონ ნელის სამეცნიერო ნაშრომები მოწმობაა მისი დიდი ცოდნის და მხატვრული ნაწარმოების სიღრმისეული არსის არაჩვეულებრივად ღრმა წვდომის, რაც მთავარია, შეფასების და ინტერპრეტაციის. ამ მხრივ იგი გიორგი ჩუბინაშვილის სამეცნიერო სკოლის ჭეშმარიტი მიმდევარია. ანელი ვოლკაიას სულ ბოლოდროინდელი გამოკველევები დავით გარეჯის საბერეების კომპლექსის IX-X საუკუნეების მოხატულობების თაობაზე გვაოცებს ხედვის სიხალასით, აქტუალობით, ახლებური მიდგომით, ამ ურთულესი ნაწარმოებების არსის გახსნითა და განმარტებით, რასაც ცოდნის გარდა დიდი ნიჭიც სჭირდება.

ჩვენდა საბედნიეროდ, ქალბატონი ნელი ახლაც აქტიურად მონაწილეობს ინსტიტუტის (ეროვნული ცენტრის) როგორც სამეცნიერო, ასევე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ბევრ ახალგაზრდაზე სხარტი გონება და მახვილი თვალი აქვს. ჩვენ ვამაყობთ, რომ მისი კოლეგები ვართ და მისი მეგობრები.

მოხდენილი, მომხიბლავი, ყოველთვის კოხტად და ელეგანტურად ჩაცმული, ექსპრესიული ჟესტიკულაციით, სიცოცხლით სავსე მოციმციმე თვალებით, ქალბატონი ნელი ჩვენი ინსტიტუტის ერთი ყველაზე გამორჩეული ფიგურაა, და რაც მთავარია, ახალაც, აგერ უკვე 85 წლისა, ისევ ისეთი შემართებითა და ენერგიით მუშაობს, ისევ ისე "გვიტევს", როცა რამე არ მოსწონს, და ისევ ისე გვეალერსება, გვეხმარება, გვმფარველობს, როგორც მრავალი წლის განმავლობაში.

გაწყდა დროთა კავშირი - ნათქვამია "ჰამლეტში", ქალბატონი ნელი კი სწორედ ის ადამიანია, რომელიც ამ კავშირს გვინარჩუნებს, როგორც წმინდა ცეცხლს, ისე ინახავს ჩვენთვის და მომდევნო თაობებისათვის ჩვენი დიდი მეცნიერების ტრადიციებს. მისი არსებობა, მისი ჩვენს გვერდით ყოფნა უზრუნველყოფს იმ მაღალ სამეცნიერო და ზნეობრივ დონეს, რომელიც თავიდანვე განსაზღვრა თავისი ინსტიტუტისათვის გიორგი ჩუბინაშვილმა.

*მარიამ დიდებულიძე*
*გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი*

# სპორტი

## მორაგბეებმა წლის შედეგები შეაჯამეს

### გორგოძე საუკეთესოა

საქართველოს რაგბის კავშირი უქმეებზე შეიკრიბა ბაგებში, წმინდა გიორგის სახელობის გიმნაზიაში და ისეთი საზეიმო საღამო მოაწყო, როგორც სარაგბო თემს ეკადრება. წინასწარ ვიტყვი, რომ საქართველოს 2008 წლის საუკეთესო მორაგბის წოდება ეროვნული ნაკრების ლიდერმა და ფრანგული "მონპელიეს" მეორეხაზელმა მამუკა გორგოძემ მიიღო. გორგოძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ერთა თასის მოპოვების საქმეში და საფრანგეთშიც საუკეთესო თამაშს აჩვენებს. ის ნოემბრის თვეში საფრანგეთის საუკეთესო მორაგბე გახდა თავის ამპლუაში. გამარჯვებულს "სოსიე დე ჟენერალის" სახელით გადაეცა ბანკი "რესპუბლიკის" ბარათი 2000 ევროთი და როგორც რაგბის კავშირის პრეზიდენტმა გია ნიჟარაძემ თქვა, ავანსად, გერმანიასა და ესპანეთთან კარგი თამაშისთვის, სამურაის პატარა ხმალი.

საღამოზე პრიზები მრავლად იყო. გადაეცათ მოქმედ, თუ ვეტერან მორაგბეებსა და მწვრთნელებს და ყველა მათგანმა დამსახურების მიხედვით მიიღო საჩუქარი. ასეთი მასშტაბის დაჯილდოვება ქართულ რაგბიში ჯერ არ ყოფილა.

"ვულე ვუს", ალექსანდრე იაშვილი სახელობის ფონდის, "ორიფლეიმის", "დი-ეჩ-ელის", "არქიმედეს გლობალ ჯორჯიას", "პიქსელის", "სოსიე დე ჟენერალის" მიერ მომზადებული ჯილდოები სხვადასხვა ნომინაციებში წარდგენილმა სახეებმა მიიღეს. საქართველოს რაგბის კავშირს არც სპონსორები დავიწყებია და კავშირის პრეზიდენტმა გია ნიჟარაძემ მადლიერების გრძნობით მოიხსენია "თი-ბი-სი" ბანკის, "კვარციტის", "ლიბოს" და ყველა იმ ორგანიზაციის, თუ პირის ღვაწლი, ვინც ხელი შეუწყო ჩვენს ქვეყანაში რაგბის აღმავლობას.

რაგბის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის "ვულე ვუს" მაღაზიათა ქსელისა და ალექსანდრე იაშვილი სახელობის ფონდის მიერ გამოშვებული ორტომეულით ვეტერანი მორაგბეები დაჯილდოვდნენ, რომელთაც 60 და 50 წელი შეუსრულდათ. ლაურეატები გახდნენ: აწ გარდაცვლილი ზურაბ რეხვიაშვილი (ჯილდო მის ოჯახს გადაეცა), ბათი კევლიშვილი, ნუკრი აბაშიძე, ბეგი დვალია, თამაზ ანდღულაძე, დემურ ცხვედიანი, დიმიტრი ცინცაძე, მერაბ ნიჟარაძე, ნუკრი კოტრიკაძე, ნიაზ მამრიკიშვილი, გია ღლონტი, ბიძინა გეგიძე.

შესაბამისი სინჯის მედლები გადაეცათ საქართველოს ჩემპიონატის გამარჯვებულსა და პრიზიორებს. "ლოკომოტივს" ოქროს მედლები ერგო, ჩვენი ქვეყნის თასის მფლობელ "ლელოს" ვერცხლის, ხოლო "ყოჩებს" ბრინჯაოს. დასახელდა საქართველოს სიმბოლური ნაკრები გუნდიც, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ:

15. გიორგი ასათიანი (ლოკომოტივი), 14. ირაკლი გეგენავა (ყოჩები), 13. ბესო ნასიძე (აკადემია), 12. ალექსანდრე თოდუა (ლელო), 11. ალექსი ტუჩაშვილი (ლოკომოტივი), 10. ლაშა ხმალაძე (ლელო), 9 ირაკლი ღვინჯილია (ლოკომოტივი), 8. ზვიად მაისურაძე (ლოკომოტივი), 7. ვიქტორ კოლელიშვილი (ლელო), 6. ილია მაისურაძე (ლელო), 5. ვახტანგ მაისურაძე (ლელო), 4. დავით ჩიტიძე (ლოკომოტივი), 3. გიორგი ნაცარაშვილი (ლოკომოტივი), 2. ჯაბა ბრეგვაძე (ყოჩები), 1. ირაკლი ყალიჩავა (ლელო).

ბატონმა გია ნიჟარაძემ თანადგომისა და დახმარებისთვის საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაური დააჯილდოვა. "ვერც კი წარმომიდგენია როგორ განვითარდებოდა რაგბი ჩვენს ქვეყანაში, რომ არა ბატონი დავით ნამგალაურის თანადგომა და ის, რომ ჩვენ დღეს დაძაბული და საინტერესო ჩემპიონატი გვაქვს, ეს ჩვენს სპონსორებთან ერთად სპორტის დეპარტამენტის დიდი დამსახურებაა. მინდა ამ დამსახურებისთვის მადლობა მოვახსენო სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელობას" - განაცხადა გია ნიჟარაძემ. დავით ნამგალაურმა კი თავის მხრივ, რაგბის კავშირს მომავალშიც სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა აღუთქვა.

ძირითად ნომინაციებში 8 ჯილდო გათამაშდა.

**ყველაზე კორექტული გუნდი:** ქუთაისის აია - დაჯილდოვდა "ორიფლეიმის" პრიზით

**საუკეთესო მსაჯი:** უჩა ნარიმანიძე - DVD

**საუკეთესო მელელოვე:** გიორგი სოსელია ("არმაზი") - მუსიკალური ცენტრი

**წლის შვიდქალა გუნდი:** ზურაბ დუგლაძემ გადასცა ტორტი

**საუკეთესო ბომბარდირი:** ბობა კვინიხიძე - ტელევიზორი "დი-ეჩ-ელისგან"

**საუკეთესო მწვრთნელი:** ლევან მაისაშვილი (ლელო) - "არქიმედეს გლობალ ჯორჯიასგან" სადაზღვევო ბარათი

**საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო მორაგბე:** ვიქტორ კოლელიშვილი (ლელო) - "პიქსელისგან" ვიდეოკამერა.

**საქართველოს საუკეთესო მორაგბე:** მამუკა გორგოძე ("მონპელიე", საფრანგეთი)



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*მამუკა გორგოძე 2008 წლის საუკეთესო ქართველი მორაგბეა.*

## "ვიტ ჯორჯია" შემოდგომის ჩემპიონია

მიხეილ აბაიშვილი

თბილისის "ვიტ ჯორჯია" შემოდგომის არაოფიციალური ჩემპიონია. ნესტორ მუმლაძის გუნდმა 2008 წლის ვირტუალური კარი მართლაც ხმაურიანად გაიჯახუნა - სტუმრად შეძლო ურთულესი შეხვედრის მოგება, 37 ქულა დააგროვა და კონკურენტებისთვის მიუწვდომელი გახდა. უახლოეს მდევარს, მოქმედ ჩემპიონ თბილისის "დინამოს" 31 ქულა აქვს და, როგორც ჩანს, გაზაფხულზე სწორედ ამ ორ გუნდს შორის გათამაშდება "ოქრო-ვერცხლი". საეჭვოა, რომ ამ დავაში ჩარევა მოახერხოს "ზესტაფონმა", რომელიც სეზონის დასაწყისში ჩემპიონობის ლამის მთავარ ფავორიტად მიიჩნეოდა. გუშინდელმა წარუმატებლობამ, თანაც უშუალო კონკურენტთან, ამ გუნდის აქციები საგრძნობლად დააქვეითა. იმერლები უკვე საპრიზო სამეულიდანაც გამოაძევეს. მორიგ წარმატებას მიაღწია რუსთავის "ოლიმპმა", რომელმაც "ზესტაფონს" მესამე პოზიცია დაათმობინა.

მე-18 ტურის ცენტრალური შეხვედრა ზესტაფონში გაიმართა, სადაც "ზესტაფონმა" ლიდერს, "ვიტ ჯორჯიას" უმასპინძლა. ლიხსიქითელებს მხოლოდ გამარჯვება უტოვებდა ჩემპიონობისთვის ბრძოლის შანსს. ასეთ შემთხვევაში "ვიტ ჯორჯია". რომელსაც 15 ტური მარცხი არ ჰქონდა ნაგემი, დამუხრუჭდებოდა. თავად ფეროელები 27 ქულას დააგროვებდნენ და 7 ქულამდე შეამცირებდნენ ლიდერთან სხვაობას, რაც, დამეთანხმებით ისეთი უპირატესობა არაა, რომლის აღმოფხვრაც დარჩენილი წრენახევრის განმავლობაში გადაუჭრელი ამოცანა იყოს. მაგრამ მიმდინარე სეზონში "ვიტ ჯორჯია" მართლაც შეუჩერებელი და ყველაზე სტაბილური გუნდია. ყველა სხვა მეტოქისგან განსხვავებით, ნესტორ მუმლაძის გუნდს მცირე ჩავარდნა ან კრიზისის მაგვარიც კი არ ჰქონია. რა თქმა უნდა, გასული სეზონის საუკეთესო ქართველ მწვრთნელად აღიარებული სპეციალისტი, ნესტორ მუმლაძე ამ სტაბილურობის და წარმატებების ერთ-ერთი მთავარი შემოქმედია კლუბის პრეზიდენტთან ერთად. აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ არა მხოლოდ წელს, არამედ ათეული სეზონის განმავლობაში ვეტერინართა წარმატებების და სტაბილურობის მთავარი საიდუმლო კლუბის პრეზიდენტი და მეპატრონე, გურამ რუხაძეა. ყველაზე გამართული საკლუბო მენეჯმენტი, სატრანსფერო-სასელექციო და საკადრო პოლიტიკა, რომელსაც პირადად რუხაძე ხელმძღვანელობს, სწორედ "ვიტ ჯორჯიას" აქვს, რაც პირდაპირპროპორციულად აისახება ამ გუნდის შედეგებზე.

მიმდინარე სეზონში "ვიტ ჯორჯია" და "ზესტაფონი" მხოლოდ ერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს - პირველი წრის მიწურულს. მატჩი გორში, ვეტერნიართა დროებით საშინაო არენაზე გაიმართა და მასპინძელთა გამარჯვებით - 2:1 დასრულდა. იმ შეხვედრაში ანგარიში "ზესტაფონმა" გახსნა - თავი გელაშვილმა გამოიჩინა, მაგრამ სტუმრებმა უპირატესობის შენარჩუნება ვერ მოახერხეს და საბოლოოდ, დამარცხდნენ კიდეც.

მას შემდგომ "ზესტაფონში" რადიკალური ცვლილება მოხდა. გამოიცვალა მთავარი მწვრთნელი, თემურ მახარაძე გია გეგუჩაძემ შეცვალა. ეს ახალგაზრდა, ნიჭიერი მწვრთნელი 4 წლის წინ "დინამოს" ედგა სათავეში და მის ხელში საქართველოს ყველა დროის საუკეთესო კლუბმა საერთაშორისო ასპარეზზე გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. მაშინ "დინამომ" უეფას თასის პირველი სამი ეტაპის გავლა და ჯგუფურ ტურნირში მოხვედრაც მოახერხა. "ზესტაფონში" მისი მისვლა სეზონის შუაგულში მოხდა. თან, საკმაოდ მძიმე შეხვედრების მიჯნაზე, რამაც გეგუჩაძეს საკუთარი შესაძლებლობების სრულად გამოვლენის საშუალება ვერ მისცა. ძირითად შემადგენლობაშიც გარკვეული ცვლილებები განხორციელდა - გეგუჩაძემ აქცენტი ახალგაზრდა ფეხბურთელებზე გადაიტანა, რომელთაგან სტაბილურობის მოთხოვნა ჯერ ნაადრევია. გუნდის თამაშიც უფრო იმპულსურია და არათანმიმდევრულად სტაბილური, რაც გუშინდელ დაპირისპირებაში კიდევ ერთხელ გამოჩნდა.

ანგარიში მე-20 წუთზე ბომბარდირთა დავაში წარმატებით მებრძოლმა ვიტჯორჯიელმა კვარაცხელიამ გახსნა. მასპინძლებს პასუხი არ დაუგვიანიათ: კუთხურიდან მაკარიანის ჩამოწოდებას გელაშვილი გამოეხმაურა, რომელმაც თავური დარტყმით ბედიაშვილს შანსი არ დაუტოვა - 1:1. ტაიმი ასეც დასრულდა.

შეხვედრის მეორე ნახევარში თითქოს მასპინძლები მყარად დაეუფლნენ ტერიტორიულ უპირატესობას, მაგრამ ეს ბედიაშვილის კართან საგოლე მომენტებში არ გადაზრდილა. "ვიტ ჯორჯიამ" ამ წუთებში კონტრიერიშზე თამაშის ტაქტიკას მიმართა და ერთ ეპიზოდში ძალზე გაუმართლა კიდეც. 65-ე წუთზე მოედნის ცენტრალურ ნაწილში მასპინძლებმა უწყინარ ვითარებაში დაკარგეს ბურთი, რომელსაც კლიმიაშვილი დაეუფლა და დაუყოვნებლივ, წინ გაგზავნა; მოგერიება შეეძლო ზესტაფონელთა მცველ ლონღაძეს, რომელმაც ბურთს ფეხი ააცილა და შედეგად, კვარაცხელია მეკარის პირისპირ ერთი ერთზე აღმოჩნდა. მისი დარტყმულის მოგერიების შანსი კვასხვაძეს პრაქტიკულად არ ჰქონია და სტუმრები კიდევ ერთხელ დაწინაურდნენ. დარჩენილ ნახევარ საათში "ზესტაფონის" საკმაოდ ქაოტურ მცდელობებს შედეგი არ მოჰყოლია. ზედ ბოლო წუთზე ხიდაშელს შეეძლო ანგარიშის გათანაბრება და ქულის გადარჩენა, მაგრამ მისი თავური დარტყმა მიზანს აცდა. საბოლოოდ, "ვიტ ჯორჯიამ" მორიგი და ძალზე მნიშვნელოვანი 3 ქულა შემატა სატურნირო ყულაბას.

დამაჯერებელ გამარჯვებას მიაღწია ვეტერინართა ჯერჯერობით ერთადერთმა კონკურენტმა. "დინამომ" "მესხეთს" უმასპინძლა და შეტევების ლიდერის, მათე ვაწაძის არყოფნის მიუხედავად, ოთხი უპასუხო გოლი გაუტანა მეტოქეს.

იმარჯვა "ოლიმპმაც". მართალია, ამ გუნდმა საკუთარ კარში გაუშვებელი გოლების "მშრალი" სერია წინა ტურში შეწყვიტა და ამჯერადაც მიიღო ერთი გოლი, მაგრამ ოლიმპელებმა თავად ორჯერ იხეირეს "მგლებთან" შეხვედრაში და ზედიზედ მეათე შეხვედრა დაასრულეს დადებითი შედეგით.

**მე-17 ტური**

სპარტაკი - გაგრა ............1:1
ოლიმპი - მგლები ............2:1
დინამო - მესხეთი ............4:0
ლოკომოტივი - ბორჯომი .....4:0
ზესტაფონი - ვიტ ჯორჯია ....1:2

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 16 | 11 | 4 | 1 | 29 | 10 | 37 |
| დინამო | 15 | 10 | 1 | 4 | 32 | 12 | 31 |
| ოლიმპი | 16 | 7 | 6 | 3 | 19 | 11 | 27 |
| ზესტაფონი | 14 | 7 | 3 | 4 | 15 | 9 | 24 |
| სიონი | 14 | 5 | 7 | 2 | 14 | 8 | 22 |
| ლოკომოტივი | 15 | 7 | 1 | 7 | 20 | 15 | 22 |
| მგლები | 16 | 5 | 3 | 8 | 15 | 24 | 18 |
| მესხეთი | 15 | 4 | 4 | 7 | 12 | 23 | 16 |
| გაგრა | 16 | 4 | 3 | 9 | 13 | 26 | 15 |
| ბორჯომი | 15 | 2 | 5 | 8 | 14 | 33 | 11 |
| სპარტაკი | 14 | 2 | 1 | 11 | 11 | 26 | 7 |

# კომპანია თბილისის კერძო არბიტრაჟის დებულება

ქ. თბილისი ვიქტორ დოლიძის N48
ტელ: 363421

## თავი პირველი
## ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება:

1.1 „არბიტრაჟი" - ერთი ან რამდენიმე წევრისგან შემდგარი ორგანო, რომელიც უფლებამოსილია დებულებითა და კანონით დადგენილი წესით განიხილოს მხარეთა შორის წამოჭრილი დავა.

1.2 „არბიტრი" - არბიტრაჟის წევრი;

1.3 „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი" - კომპანია „თბილისის კერძო არბიტრაჟი";

1.4 „მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე" - კომპანია „თბილისის კერძო არბიტრაჟი"-ს თავმჯდომარე;

1.5 „კანონი" - საქართველოს კანონი „კერძო არბიტრაჟის შესახებ";

1.6 „დავა" - საარბიტრაჟო შეთანხმების მხარეთა მოურიგებლობის ან შეთანხმების მიუღწევლობის გამო პრეტენზიის წარდგენის გამო საარბიტრაჟო საქმისწარმოება;

1.7 „მხარეები" - პრეტენდენტი და მოპასუხე;

1.8 „პრეტენდენტი" - მხარე, რომელის მოთხოვნითაც საქმე განსახილველად გადაეცემა არბიტრაჟს;

1.9 "მოპასუხე" - მხარე, რომლის წინააღმდეგაც პრეტენდენტი ითხოვს საარბიტრაჟო განხილვის დაწყებას;

1.10 „საარბიტრაჟო განხილვა" - არბიტრაჟის მიერ მხარეთა შორის დავის განხილვა.

1.11 „საარბიტრაჟო შეთანხმება" - დავამდელი ან დავის შემდგომი წერილობითი შეთანხმება მხარეთა შორის, მათ შორის დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის საარბიტრაჟო განხილვის გზით მოწესრიგების შესახებ;

1.12 „საარბიტრაჟო მორიგება" - დავის დაწყების შემდგომ მხარეთა მორიგების წერილობითი აქტი, რომელიც ფორმდება საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით.

1.13 საარბიტრაჟო გადასახადი - საარბიტრაჟო მომსახურეობის გადასახადი.

1.14 „დებულება" - მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულება.

მუხლი 2. არბიტრაჟის კომპეტენცია.

2.1 "კომპანია თბილისის კერძო არბიტრაჟი" (შემდგომში არბიტრაჟი) არის კერძო ხასიათის სამართლებრივი დავების განმხილველი სასამართლო, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილავს პირებს შორის წამოჭრილ დავას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და დებულებით დადგენილი წესების შესაბამისად, თუ საარბიტრაჟო შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2.2 არბიტრაჟი ხელმძღვანელობს დებულების იმ რედაქციით, რომელიც მოქმედებს შესაბამისი საარბიტრაჟო-საპროცესო მოქმედების ჩატარების დროს.

2.3 დავის სწრაფად და ობიექტურად გადაწყვეტის მიზნით, ასევე საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სწრაფი, სწორი აღსრულების მიზნით და პრეტენზიის უზრუნველსაყოფად არბიტრაჟი უფლებამოსილია განახორციელოს კანონითა და დებულებით აუკრძალავი ან პირდაპირ გაუთვალისწინებელი ნებისმიერი საპროცესო მოქმედება, მათ შორის სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი ნორმების გამოყენება და პრეტენდენტის უფლებების უზრუნველყოფა.

2.4 მხარეთა შეთანხმება, რომელიც ადგენს დებულებით დადგენილი საქმის განხილვისა და სხვა საკითხების გადაწყვეტის განსხვავებულ წესს, არბიტრაჟისათვის სავალდებულოა იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი შეთანხმება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს ან ამ დებულებას.

2.5 არბიტრაჟის მიერ საქმისწარმოების დაწყების შემთხვევაში მხარეები მოქმედებენ დებულების შესაბამისად. საარბიტრაჟო შეთანხმებისა და დებულების ნორმათა კოლიზიის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება დებულებას.

2.6 დებულების რომელიმე ნორმის წინააღმდეგობა საქართველოს კანონმდებლობასთან არ გამოიწვევს დებულების დანარჩენ ნორმათა ბათილობას.

2.7 მხარეებს შეუძლიათ საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ დროს საქმე დაამთავრონ მორიგებით. პრეტენდენტს შეუძლია უარი თქვას საარბიტრაჟო პრეტენზიაზე, ხოლო მეორე მხარეს - ცნოს საარბიტრაჟო პრეტენზია.

2.8 საარბიტრაჟო საქმის წარმოება დამყარებულია მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

2.9 მხარეებს, აგრეთვე არბიტრაჟს, უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

2.10 არბიტრი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელი და მიუკერძოებელია იგი მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, კანონმდებლობისა და დებულების საფუძველზე. რაიმე ზემოქმედება არბიტრზე ან ჩარევა მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებისას დაუშვებელია.

2.11 არბიტრაჟის სხდომები დახურულია, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი.

2.12 არბიტრები, ისევე როგორც საქმეში მონაწილე ნებისმიერი სხვა პირები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ იმ ინფორმაციის კონფიდენციალურობა, რაც მათთვის ცნობილი გახდა საარბიტრაჟო განხილვისას, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი ან ასეთი გამჟღავნება არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას.

2.13 საარბიტრაჟო განხილვა ხორციელდება იმ ენაზე რომელიც პირდაპირ გათვალისწინებულია საარბიტრეჟო შეთანხმებაში, რომელიც დადებულია დავის დაწყებამდე. თუ ასეთი შეთანხმება არ არსებობს საქმე განიხილება ქართულ ენაზე. პირს, რომელმაც საარბიტრაჟო განხილვის ენა არ იცის, დაენიშნება თარჯიმანი. თარჯიმანი შეიძლება შეთანხმებით აირჩიონ მხარეებმა, შეუთანხმებლობის შემთხვევაში დაინიშნება არბიტრაჟის მიერ. მხარეთა მიერ შერჩეული თარჯიმნის უზუსტო თარგმნის გამო პასუხისმგებლობა ეკისრებათ მხარეებს, თუ მხარეებს შორის, ან ერთ-ერთ მხარესა და თარჯიმანს შორის სხვა შეთანხმება არ არსებობს. არასწორი თარგმანი, რომელიც არსებითად ცვლის გადაწყვეტილების აღწერილობით, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებს, ასევე მხარეთა მიერ მიცემულ ახსნა-განმარტებებსა და საქმეში არსებული საქმის მასალების (დოკუმენტების) შინაარს, რომლებსაც ეფუძნება საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, წარმოადგენს გადაწყვეტილების შეცვლის (ან გაუქმების) საფუძველს, ასევე ხელახალი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველს, თუ ერთ-ერთი მხარე, ან დაინტერესებული მხარე შემოიტანს პრეტენზიას გაუქმების, შეცვლის ან ხელახალი გადაწყვეტილების გამოთხოვნით. სათარჯიმნრო ხარჯებს წინასწარ იხდის პრეტენდენტი, რომელიც ჩაითვლება საქმის განხილვის საერთო ხარჯებში და დაეკისრება საქმის დასრულების (მორიგების) შედეგად ამ დებულებითა ან/და გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ერთ-ერთ მხარეს, ან მხარეებს.

2.14 არბიტრაჟის გადაწყვეტილება საბოლოოა და სავალდებულოა მხარეთათვის, არბიტრაჟის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში.

2.15 საარბიტრაჟო განხილვის ადგილი განსაზღვრულია საარბიტრაჟო შეთანხმებაში, თუ ასეთი შეთანხმება არ არსებობს არბიტრაჟი უფლებამოსილია შეიკრიბოს ნებისმიერ ადგილას თავისი შეხედულებისამებრ.

მუხლი 3. არბიტრაჟის შემადგენლობა,

3.1 არბიტრაჟი შედგება ერთი ან სამი წევრისაგან.

3.2 არბიტრაჟის წევრთა რაოდენობა არ შეიძლება იყოს ლუწი. თუ საარბიტრაჟო შეთანხმებით არბიტრაჟის შემადგენლობა ლუწი რიცხვით განისაზღვრება, არბიტრაჟი შექმნიდან ხუთი დღის ვადაში ნიშნავს კიდევ ერთ წევრს.

3.3 მხარეები განსაზღვრავენ არბიტრაჟის წევრთა რაოდენობასა და მათი დანიშვნის წესს, თუ მხარეთა მიერ შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული, არბიტრაჟის თავმჯდომარე ვალდებულია ყველაზე მეტი 10 დღის ვადაში უზრუნველყოს არბიტრაჟის ფორმირება.

3.4 არბიტრის (არბიტრების) დანიშვნის შესახებ მხარეები წერილობით აცნობებენ მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს.

3.5 მხარეს შეუძლია არბიტრაჟის წევრის დანიშვნის უფლება გადასცეს სხვა პირს.

3.6 თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი ან მხარე უარს ამბობს არბიტრის (არბიტრების) დანიშვნაზე, ან საარბიტრაჟო შეთანხმებით არბიტრაჟის შემადგენლობა განისაზღვრება ერთი არბიტრით, არბიტრს (არბიტრებს) ნიშნავს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე.

3.7 არბიტრი (არბიტრები) უნდა დაინიშნოს საარბიტრაჟო შეთანხმებით განსაზღვრულ ვადაში. თუ ვადა განსაზღვრული არ არის, მხარე ნიშნავს არბიტრაჟის წევრს მეორე მხარის მოთხოვნის ან მუდმივმოქმედი არბიტრაჟის შეტყობინების მიღებიდან 10 დღის ვადაში. ვადის დარღვევა ჩაითვლება მხარის მიერ არბიტრის დანიშვნაზე უარის თქმად, ასეთ შემთხვევაში არბიტრს დანიშნავს არბიტრაჟის თავმჯდომარე.

3.8 თუ ერთ-ერთი მხარის მიერ დანიშნული არბიტრი არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდება ან დატოვებს არბიტრაჟის სხდომას, მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე გადააყენებს მას არბიტრობიდან, ხოლო მის მაგივრად დანიშნავს ახალ არბიტრს.

3.9 არბიტრად დანიშნული პირი ხელს აწერს შეთანხმებას ჰონორარის შესახებ და ავსებს სპეციალურ დეკლარაციას საარბიტრაჟო დავის მონაწილე მხარეებთან ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ.

3.10 თუ არბიტრათა რიცხვი ერთზე მეტია, ერთ-ერთი მათგანი უნდა დაინიშნოს არბიტრაჟის თავმჯომარედ. არბიტრაჟის თავმჯდომარე არ შეიძლება იყოს მხარის მიერ დანიშნული არბიტრი.

3.11 არბიტრაჟი თავის თავმჯდომარეს ნიშნავს შექმნიდან 5 დღის ვადაში ან პირველივე სხდომაზე, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი. ხმების გაყოფის შემთხვევაში არბიტრაჟის თავმჯდომარეს ნიშნავს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე.

3.12 არბიტრის (არბიტრების) დანიშვნის შესახებ მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე იღებს განკარგულებას.

3.13 მხარეს უფლება არა აქვს შეცვალოს თავისი დანიშნული არბიტრი, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი ან ეს პირდაპირ არ არის გათვალისწინებული დებულებით.

3.14 არბიტრის შეცვლის შემთხვევაში ახალი არბიტრი ინიშნება იმავე წესით, როგორითაც იყო დანიშნული შესაცვლელი არბიტრი.

მუხლი 4. არბიტრის აცილება

4.1 მხარეს შეუძლია მოითხოვოს არბიტრის აცილება, თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი მისი მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის შესახებ, ან თუ ჩაითვლება, რომ არბიტრი პირდაპირ ან ირიბად დაინტერესებულია საქმის შედეგით. Aაცილება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს, თუ არბიტრი არ ფლობს დავის გადაწყვეტისათვის საჭირო კვალიფიკაციას ან დავის განხილვის ენას.

4.2 არბიტრი უფლებამოსილია განაცხადოს თვითაცილების შესახებ სათანადო საფუძვლების არსებობისას.

4.3 მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი დანიშნული არბიტრის აცილება მხოლოდ იმ გარემოებათა გამო, რომლებიც მისთვის ცნობილი გახდა არბიტრის დანიშვნის შემდეგ.

4.4 მხარე ვალდებულია აცილების შესახებ განაცხადოს წერილობით 10 დღის ვადაში, შესაბამისი არბიტრის დანიშვნიდან ან იმ დღიდან, როდესაც მისთვის ეს გარემოება ცნობილი გახდა ან უნდა სცოდნოდა. განცხადება აცილების შესახებ უნდა იყოს მოტივირებული.

4.5 არბიტრი ვალდებულია აცნობოს მხარეებს და არბიტრაჟს იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებენ მის მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობას.

4.6 თუ განცხადებულ აცილებას ეთანხმება მეორე მხარეც, არბიტრაჟი ვალდებულია დააკმაყოფილოს იგი.

4.7 თუ არბიტრი, რომლის აცილების საკითხიც დაისვა, თვითონ არ ამბობს უარს არბიტრაჟის წევრობაზე, ან თუ მეორე მხარე არ არის თანახმა აცილებაზე, მაშინ აცილების საკითხს გადაწყვეტს არბიტრაჟი.

4.8 აცილების განცხადების შემდეგ არბიტრაჟმა შეიძლება მოუსმინოს მხარეებს, აგრეთვე იმ პირს, რომლის მიმართაც განაცხადეს აცილება.

4.9 აცილების საკითხს არბიტრაჟი წყვეტს ადგილზე მოთათბირებით ან სათათბირო ოთახში.

4.10 თუ აცილება განუცხადეს არბიტრს, რომელიც ერთპიროვნულად იხილავს საქმეს, აცილების საკითხს წყვეტს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე. აცილების მიღების შემთხვევაში არბიტრი საქმეს გადასცემს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს, რომელიც ამ საქმეს განსახილველად გადასცემს სხვა არბიტრს.

4.11 თუ აცილება განუცხადეს კოლეგიური არბიტრაჟის მთელ შემადგენლობას ან მათ უმრავლესობას, აცილების საკითხს გადაწყვეტს ამავე არბიტრაჟის სრული შემადგენლობა ხმების უმრავლესობით. კოლეგიური არბიტრაჟის მთელი შემადგენლობის ან მისი უმრავლესობის აცილების შემთხვევაში, საქმე გადაეცემა მუდმივმოქმედი არბიტრაჟის სხვა შემადგენლობას.

4.12 თავისი მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, არბიტრი შეიძლება გადაყენებული იქნეს საკუთარი ან ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე, არბიტრაჟის მიერ ან მხარეთა შეთანხმებით.

4.13 ერთი არბიტრისაგან შემდგარი არბიტრაჟის გადადგომის საკითხს წყვეტს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

4.14 არბიტრის თხოვნის საფუძველზე მისი გადადგომის შესახებ, არბიტრაჟს გამოაქვს დადგენილება, ხოლო მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს განკარგულება, მხოლოდ საპატიო მიზეზის არსებობისას.

4.15 არბიტრაჟის ან არბიტრაჟის თავმჯდომარის შეცვლის შემთხვევაში, მათ შეცვლამდე განხორციელებული ყველა საარბიტრაჟო მოქმედება უნდა განმეორდეს. ცალკეული არბიტრის შეცვლის შემთხვევაში, საარბიტრაჟო მოქმედების განმეორების საკითხს წყვეტს არბიტრაჟი.

4.16 ექსპერტის, თარჯიმნის, სპეციალისტის, სხდომის მდივნის აცილება დასაშვებია დებულებით გათვალისწინებული საერთო საფუძვლით.

მუხლი 5. საარბიტრაჟო განხილვის ხარჯები, დავის საგნის ღირებულება.

5.1 საარბიტრაჟო განხილვის ხარჯებს შეადგენს; "სარეგისტრაციო გადასახადი"- გადასახადი, რომელსაც იხდის პრეტენდენტი არბიტრაჟში პრეტენზიის შესახებ განაცხადის შეტანისას, საქმის განხილვის დაწყებამდე წარმოშობილი სხვადასხვა ხარჯების დასაფარად.

5.2 "საარბიტრაჟო გადასახადი"- გადასახადი, რომელიც გათვალისწინებულია არბიტრაჟის საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარად რაც მოიცავს: (არბიტრის ჰონორარებს, აპარატის ხელფასსა და სხვადასხვა ორგანიზაციულ ხარჯებს)

5.3 "სპეციალური გადასახადი"- გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტულ დავასთან (ექსპერტიზის ჩატარება, ექსპერტთა და თარჯიმანთა ჰონორარები, სამივლინებო ხარჯები და ასევე დავის სპეციფიკიდან გამომდინარე ნებისმიერი მსგავსი ტიპის დანახარჯები.)

5.4 "მხარეთა ხარჯი" - ყველა სახის ხარჯი გარდა 5.1, 5.2 და 5.3 მუხლებით გათვალისწინებული გადასახადებისა, რასაც მხარეები გაიღებენ საკუთარი ინტერესების დასაცავად (მაგ.საადვოკატო მომსახურება და ა.შ.)

მუხლი 6. საარბიტრაჟო გადასახადის განაკვეთები

6.1 "სარეგისტრაციო გადასახადი"- შეადგენს 50 ლარს. საარბიტრაჟო გადასახადი შეადგენს ამ მუხლის ცხრილში განსაზღვრული სადაო საგნის ღირებულების შესაბამის გადასახადს. 6.2 მუხლის „გ", „ვ" და „ზ" პუნქტებით განსაზღვრული მომსახურეობა შეადგენს აღნიშნულ ცხრილში მოცემული თანხის ნახევარს. იმავე მუხლის „დ" პუნქტის მომსახურეობა ცალკე არ გადაიხდევინება.

6.2 "საარბიტრაჟო გადასახადი"- საარბიტრაჟო გადასახადის გადახდა წარმოებს:

a) საარბიტრაჟო პრეტენზიაზე

b) შეგებებულ საარბიტრაჟო პრეტენზიაზე

გ)Gგანმარტებაზე;

დ) შესწორებაზე;

ე) სააღსრულებო ფურცლის ამოწერაზე;

ვ) უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე

ზ) უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების განკარგულებაზე წარდგენილ საჩივარზე.

თ) საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების, შეცვლის, ასევე ახალი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე შეტანილ პრეტენზიაზე.

6.3 საარბიტრაჟო გადასახადი შეიტანება ავანსად არბიტრაჟის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით და სრულად უნდა იქნეს დაფარული საქმის მომზადების დამთავრებამდე, მაგრამ Pპრეტენზიის წარდგენის მომენტიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში.

6.4 საარბიტრაჟო გადასახადი განისაზღვრება და შეიტანება ლარებში დავის განხილვის მომენტისათვის არსებული სატარიფო ცხრილის შესაბამისად.

6.5 თუ პრეტენზიის ფასი არ არის ეროვნულ ვალუტაში მითითებული გადასახადის გაანგარიშება ხდება ლარებში დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

6.6 საქმის სირთულისა და სპეციფიკის გათვალისწინებით მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარემ შესაძლებელია დააწესოს საარბიტრაჟო გადასახადის განსხვავებული ოდენობა, რაც უნდა აცნობოს პრეტენდენტს წერილობით საქმის მომზადების ეტაპზე, რაზედაც პრეტენდენტი უფლებამოსილია განაცხადოს თანხმობა, ან უკან გაიხმოს მის მიერ წარმოდგენილი პრეტენზია.

| | | |
|---|---|---|
| 1. | 10 000 ლარამდე<br>10 000-დან 20 000 ლარამდე | 300 ლარი<br>600 ლარი |
| 2. | 20 001 ლარიდან<br>50 000 ლარამდე | 1000 ლარი + 20 000- ზე ზევით 2.5 % |
| 3. | 50 001 ლარიდან<br>100 000 ლარამდე | 2 250 + 50 00.0 – ზე ზევით 4 % |
| 4. | 100 001 ლარიდან<br>200 000 ლარამდე | 4 350 + 100 000 – ზე ზევით 3.5 % |
| 5. | 200 001 ლარიდან<br>500 000 ლარამდე | 7 850 + 200 000 – ზე ზევით 3 % |
| 6. | 500 001 ლარიდან<br>1000 000 ლარამდე | 16 850 500 000 – ზე ზევით 2.5 % |
| 7. | 1000 000 ზევით | 29 350 – 1 000 000 ზევით 2 % |

მუხლი 7. საარბიტრაჟო - საპროცესო ვადები.

7.1 საარბიტრაჟო-საპროცესო მოქმედება სრულდება დებულებით ან მხარეთა შეთანხმებით დადგენილ ვადებში, თუ ეს ვადები არ მოდის წინააღმდეგობაში გონივრულ ვადებთან. ვადები გამოითვლება კალენდარული დღეებით. ვადების განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება კონკრეტული დავიდან გამომდინარე შესაბამისი მოქმედების შესრულების შესაძლებლობა. თუ ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე დღეს ან დასვენების დღეს, ვადა ამოწურულად ჩაითვლება მომდევნო სამუშაო დღის ბოლოს. გონივრული ვადა საქმის არსიდან გამომდინარე შეუძლია დაადგინოს საქმეზე განმხილველმა არბიტრმა, ან გააგრძელოს ასეთი ვადა, მაგრამ საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 45 კალენდარულ დღეს.

7.2 საარბიტრაჟო განხილვა იწყება პრეტენზიის წარმოებაში მიღებისა და არბიტრაჟის სრული შემადგენლობის ფორმირებიდან ათი დღის განმავლობაში და უნდა დასრულდეს ოცი დღის ვადაში. ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს ყველაზე მეტი ამ მუხლის 7.1 პუნქტში დადგენილი ვადით.

7.3 საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება, დებულებით ან არბიტრაჟის მიერ დადგენილი ვადის გაშვების შემდეგ. დაგვიანებით წარმოდგენილი დოკუმენტის განხილვა დაუშვებელია.

7.4 დებულებით დადგენილი ვადების გაგრძელება არბიტრაჟის მიერ შესაძლებელია მხოლოდ მოდავე მხარეთა შეთანხმებით ან საპატიო მიზეზის არსებობისას.

7.5 ამ მუხლით დადგენილი ვადები ჩერდება საქმეზე ექსპერტიზის დანიშვნით, ან მხარის გარდაცვალების (ლიკვიდაციის, რეორგანიზაციის ან სხვა ფორმით უფლებამოვალეობათა გადაცემის) შემთხვევაში უფლებამონაცვლის დადგენამდე.

მუხლი 8. საარბიტრაჟო შეტყობინება და კომუნიკაცია.

8.1 არბიტრაჟსა და მხარეებს შორის კომუნიკაცია ხორციელდება წერილობით, საარბიტრაჟო განხილვის ენაზე.

8.2 საარბიტრაჟო უწყებით არბიტრაჟში იბარებენ აგრეთვე მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებსა, თარჯიმნებსა და საარბიტრაჟო დავაში მონაწილე ნებისმიერ სხვა პირებს.

8.3 პრეტენზიები, შესაგებლები, გადაწყვეტილებები, განკარგულებები, უწყებები და ნებისმიერი სახის წერილობითი შეტყობინებები ადრესატს ეგზავნება დამტარებლის მეშვეობით, ფოსტით ან სხვა საკომუნიკაციო საშუალებით, რომელიც იძლევა გაგზავნის რეგისტრაციისა და დადასტურების ჩანაწერს.

8.4 საარბიტრაჟო უწყება დასაბარებელ პირს უნდა ჩაბარდეს მხარის მიერ მითითებულ მისამართზე.

8.5 საარბიტრაჟო უწყება მიღებულად ითვლება, თუ ჩაბარდა ადრესატს პირადად ან მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე ანდა იურიდიულ მისამართზე.

8.6 საარბიტრაჟო უწყებასთან ერთად მოპასუხეს ეგზავნება საარბიტრაჟო პრეტენზია თანდართულ საბუთების ასლებთან ერთად.

8.7 უწყებისა და გზავნილის სანიმუშო ფორმას და შინაარსს ადგენს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე. მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე უფლებამოსილია კონკრეტული საქმის ინტერესებიდან გამომდინარე შეცვალოს გზავნილის შინაარსი.

8.8 თუ ადრესატმა უარი განაცხადა უწყების მიღებაზე, მისი მიმტანი პირი სათანადო აღნიშვნას აკეთებს უწყებაზე, რომელიც უბრუნდება არბიტრაჟს. ასეთ შემთხვევაში უწყება ჩაბარებულად ითვლება და არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა.

8.9 მხარეები და მათი წარმომადგენლები მოვალენი არიან აცნობონ არბიტრაჟს საარბიტრაჟო წარმოების განმავლობაში თავიანთი მისამართის შეცვლის შესახებ. ასეთი ცნობის უქონლობისას უწყება გაიგზავნება არბიტრაჟისათვის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე და ჩაბარებულად ითვლება, თუნდაც ადრესატი ამ მისამართზე აღარ იმყოფებოდეს.

8.10 თუ მოპასუხის ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია, არბიტრაჟი შეუდგება საქმის განხილვას მას შემდეგ, რაც უწყება დაბრუნდება წარწერით, რომელიც ადასტურებს მის მიღებას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან იმ ორგანიზაციის ადმინისტრაციის მიერ, სადაც ბოლო დროს მუშაობდა მოპასუხე.

კარი მეორე

მხარეები

მუხლი 9. მხარეთა საპროცესო ქმედუნარიანობა.

9.1 არბიტრაჟი დავის განხილვას შეუდგება დაინტერესებული პირების პრეტენზიის (საჩივრის) და შესაბამისი საარბიტრაჟო შეთანხმების საფუძველზე ამ დებულებით დადგენილი წესების შესაბამისად. მხარეებად არბიტრაჟში შეიძლება გამოვიდნენ ფიზიკური და იურიდიული პირები, აგრეთვე ორგანიზაციები, რომლებიც არ არიან იურიდიული პირები.

9.2 მხარის ქმედუუნარობის შემთხვევაში, არბიტრაჟი უფლებამოსილია განიხილოს დავა მხოლოდ მაშინ, თუ ქმედუუნარო პირს ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი.

9.3 თუ საქმის წარმოების დროს გაირკვევა, რომ ერთ-ერთი მხარე ქმედუუნაროა და მას არ ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი, არბიტრაჟი ვალდებულია შეაჩეროს საარბიტრაჟო განხილვა. საარბიტრაჟო განხილვა განახლდება კანონიერი წარმომადგენლის დანიშვნის შემდეგ.

9.4 მხარეები სარგებლობენ თანაბარი საპროცესო უფლებებით. მათ უფლება აქვთ გაეცნონ საქმის მასალებს, გააკეთონ ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღონ ასლები, განაცხადონ აცილებანი, წარმოადგინონ მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვან მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, განაცხადონ არბიტრაჟის წინაშე შუამდგომლობები, მისცენ არბიტრაჟს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტება, წარადგინონ თავიანთი დასკვნები და გამოთქვან მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყონ მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში გაასაჩივრონ არბიტრაჟის გადაწყვეტილებები, კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში მიმართონ სასამართლოს, ისარგებლონ დებულებით მათთვის მინიჭებული სხვა უფლებებით.

9.5 პრეტენდენტს უფლება აქვს საქმის წინასწარი საარბიტრაჟო განხილვისათვის მომზადების დამთავრებამდე შეცვალოს საარბიტრაჟო პრეტენზიის საფუძველი ან საგანი, გაადიდოს ან შეამციროს საპრეტენზიო მოთხოვნების ოდენობა.

9.6 დავის წინასწარი საარბიტრაჟო განხილვისათვის მომზადების შემდეგ საარბიტრაჟო პრეტენზიის საფუძვლის ან საგნის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ არბიტრაჟის თანხმობით. ასეთი თანხმობის შემთხვევაში მოპასუხეს შეუძლია მოითხოვოს საარბიტრაჟო სხდომის გადადება, მაგრამ არაუმეტეს 5 დღისა.

9.7 დაუშვებელია ისეთი ცვლილება, რაც პრეტენზიას საარბიტრაჟო შეთნხმობისა და ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებს აცილებს.

9.8 მხარეებს შეუძლიათ არბიტრაჟში დავა აწარმოონ როგორც უშუალოდ, ისე უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით.

9.9 ადვოკატის წარმომადგენლობა დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით.

9.10 მარწმუნებელს უფლება აქვს საქმის წარმოების ყველა სტადიაზე გააუქმოს თავის მიერ გაცემული მინდობილობა და შეწყვიტოს წარმომადგენლის უფლებამოსილება, რის შესახებაც წერილობით აცნობებს არბიტრაჟს და წარმომადგენელს. მხარის წინადადებით წარმომადგენლის უფლებამოსილების შეწყვეტა არ წარმოადგენს საქმის წარმოების შეჩერებისა თუ საქმის განხილვის გადადების საფუძველს. უფლებამოსილების შეწყვეტისას წარმომადგენლის მიერ კანონისა და დებულების შესაბამისად შესრულებული ყველა იურიდიული და საპროცესო მოქმედება ინარჩუნებს მნიშვნელობას.

კარი მესამე

საარბიტრაჟო წარმოება

მუხლი 10. საარბიტრაჟო პრეტენზია

10.1 საარბიტრაჟო წარმოება იწყება მხარის - "პრეტენდენტის" წერილობითი მომართვის - (განცხადების ან სააარბიტრაჟო პრეტენზიის) საფუძველზე.

10.2 საარბიტრაჟო პრეტენზიაში მითითებულ უნდა იქნას შემდეგი რეკვიზიტები:

a) მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დასახელება;

b) პრეტენდენტის რეკვიზიტები;

გ) მოპასუხის რეკვიზიტები;

დ) დავის საგნის მოკლე აღწერა;

ე) პრეტენდენტის მოთხოვნა;

ვ) ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, რომელზედაც პრეტენდენტი ამყარებს მოთხოვნებს; მტკიცებულებები რომელსაც ემყარება აღნიშნული გარემოებები;

ზ) დავის სააგნის ღირებულება;

თ) საარბიტრაჟო შეთანხმება;

ი) თანდართული დოკუმენტების ნუსხა;

10.3 პრეტენზიას უნდა ერთვოდეს დავასთან დაკავშირებული დოკუმენტების ასლები და დებულებით გათვალისწინებული გადასახადების გადახდის ქვითრები.

10.4 პრეტენზიასთან ერთად მხარეს შეუძლია არბიტრაჟში წარადგინოს სხვა სახის შუამდგომლობებიც.

10.5 პრეტენზია და თანდართული დოკუმენტები არბიტრაჟს წარედგინება არბიტრაჟისა და მხარეთათვის საკმარისი ოდენობით.

10.6 დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევით წარმოდგენილი პრეტენზია არ მიიღება. Pპრეტენდენტს მიეცემა ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად, ხარვეზის დადგენილ ვადაში გამოუსწორებლობის შემთხვევაში პრეტენზია შეტანილად არ ჩაითვლება.

მუხლი 11. დავის საგნის ფასის განსაზღვრა

11.1 დავის საგნის ფასი განისაზღვრება:

a) ფულად მოთხოვნებზე - მოთხოვნილი თანხის ოდენობით;

b) ქონებრივ მოთხოვნებზე - ქონების ღირებულებით;

გ) არამატერიალური ხასიათის დავებისას ან იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია დავის საგანზე ფასის განსაზღვრა, მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე უფლებამოსილია მოახდინოს თანხის კორექტირება საქმის სირთულის, მოცულობის დაინტერესებული მხარის ქონებრივი მდგომარეობისა და მოთხოვნების გათვალისწინებით.

11.2 პრეტენზიაში სხვადასხვა მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, დავის საგნის ღირებულება განისაზღვრება თითოეული მოთხოვნისათვის ცალ-ცალკე.

მუხლი 12. უარი პრეტენზიის მიღებაზე

12.1 არბიტრაჟი უარს განაცხადებს პრეტენზიის მიღებაზე, თუ:

a) საქმე არ არის არბიტრაჟის განსჯადი;

b) არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება ან განჩინება ან სხვა არბიტრაჟის გადაწყვეტილება დავაზე იმავე მხარეებს შორის, იგივე საფუძვლით ან იმავე დავა მხარეთა შორის წარმოებაშია და აღნიშნული ცნობილი გახდა შესაბამისი დოკუმენტის საფუძველზე არბიტრაჟისათვის. ასეთი გარემოების დადასტურების შემთხვევაში საქმის განხილვის სტადიაზე, არბიტრაჟი შეწყვეტს საარბიტრაჟო საქმის განხილვას.

გ) პრეტენზია შეტანილ იქნა ქმედუუნარო პირის მიერ ან იმ პირის მიერ ვისაც არ გააჩნდა სათანადო უფლებამოსილება საქმის წარმოებაზე.

12.2 პრეტენზიის მიღებაზე უარის თქმის შესახებ მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე გამოიტანს განკარგულებას, სათანადო დასაბუთებითა და იმის მითითებით, თუ რა გზით შეიძლება იქნას თავიდან აცილებული საქმის აღძვრის დამაბრკოლებელი გარემოებები, თუ ასეთი შესაძლებელია.

მუხლი 13. არბიტრაჟის განკარგულება

13.1 დადგენილება, რითიც საქმე არსებითად არ წყდება არბიტრაჟი მიიღებს განკარგულების ფორმით.

13.2 განკარგულება უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:

ა)მიღების დრო და ადგილი;

ბ)არბიტრაჟის შემადგენლობა და მდივანი;

გ) საარბიტრაჟო შეთანხმება;

დ) მხარეები და დავის საგანი;

ე) საკითხი რაზედაც მიღებულ იქნა განკარგულება;

ვ) განკარგულების მოტივირებული დასაბუთება;

მუხლი 14. საქმის მომზადება საარბიტრაჟო განხილვისათვის

14.1 საარბიტრაჟო განხილვისათვის არბიტრაჟის შემადგენლობის დანიშვნამდე საქმეს ამზადებს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე, ხოლო არბიტრაჟის შემადგენლობის ფორმირების შემდეგ არბიტრაჟის თავმჯდომარე. ან საქმეს ამზადებს და იხილავს უშუალოდ არბიტრაჟის შემადგენლობა.

14.2 საარბიტრაჟო განხილვისათვის საქმის მომზადების მიზნით მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე (ან არბიტრაჟის თავმჯდომარე) ახორციელებს შემდეგ ქმედებებს:

გადაუგზავნის მოპასუხეს პრეტენზიას თანდართულ მასალებთან ერთად და აძლევს ვადას შესაგებელის წარმოსადგენად.

მიმართავს არბიტრის დანიშვნის მოთხოვნით თუ ეს გათვალისწინებულია შეთანხმებით.

14.3 მოპასუხის შესაგებელი უნდა შეიცავდეს:

ა)პრეტენზიის წინააღმდეგ კომენტარებს კონკრეტული გარემოებების მითითებით;

ბ)აღნიშნული გარემოებების დამადასტურებელ მტკიცებულებებს;

გ) არბიტრაჟის აცილების მოთხოვნის არსებობისას აცილების საფუძვლებს;

დ) მიმართვას არბიტრაჟისადმი, აპირებს თუ არა შეგებებული პრეტენზიის აღძვრას.

ე) არბიტრობის კანდიდატის რეკვიზიტებს, თუ ეს გათვალისწინებულია შეთანხმებით.

14.4 მოპასუხის მიერ შესაგებლის წარმოდგენის შემთხვევაში ერთი ეგზემპლარი, თანდართულ დოკუმენტებთან ერთად გადაეცემა პრეტენდენტს. პრეტენდენტი უფლებამოსილია წარმოადგინოს დამატებითი მოსაზრებები შესაგებელზე, რისთვისაც მას არბიტრაჟის მიერ განსაზღვრული ვადა მიეცემა.

მუხლი 15. შეგებებული პრეტენზია

15.1 მოპასუხე უფლებამოსილია საქმის საარბიტრაჟო განხილვისათვის მომზადების სტადიაზე აღძრას შეგებებული პრეტენზია, რომელიც პირველად პრეტენზიასთან ერთად განიხილება.

15.2 შესაგებლის წარმოდგენისათვის დაწესებული ვადის გაშვების შემთხვევაში, საპატიო მიზეზის არსებობისას არბიტრაჟს შეუძლია, მოპასუხეს მიცეს დამატებითი ვადა შეგებებული პრეტენზიის წარმოსადგენად.

15.3 შეგებებული პრეტენზიის წარდგენა ხდება იგივე წესების დაცვით რაც გათვალისწინებულია საარბიტრაჟო პრეტენზიისათვის.

15.4 შეგებებული პრეტენზია მიიღება იმ შემთხვევებში თუ:

ა) შეგებებული პრეტენზიის მოთხოვნა მიმართულია პირვანდელი მოთხოვნის ჩასათვლელად;

ბ) შეგებებული პრეტენზიის დაკმაყოფილება მთლიანად ან ნაწილობრივ გამორიცხავს პირვანდელი პრეტენზიის დაკმაყოფილების შესაძლებლობას;

გ) შეგებებულ პრეტენზიასა და პირვანდელ პრეტენზიას შორის არის ურთიერთ-კავშირი და მათი ერთად განხილვა უზრუნველყოფს დავის უფრო სწრაფად და ობიექტურად გადაწყვეტას.

15.5 პრეტენზიათა გაერთიანების სემთხვევაში, არბიტრაჟს გამოაქვს ერთობლივი გადაწყვეტილება.

მუხლი 16. საარბიტრაჟო უზრუნველყოფის საშუალებები

16.1 პრეტენდენტს შეუძლია მიმართოს არბიტრაჟს შუამდგომლობით პრეტენზიის უზრუნველყოფის შესახებ. შუამდგომლობა უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებას, აგრეთვე მითითებას იმაზე, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების ჩატარება მიაჩნია პრეტენდენტს საჭიროდ.

16.2 შუამდგომლობის გაკმაყოფილების საკითხს პრეტენზიის უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტს არბიტრაჟი.

16.3 პრეტენზიის უზრუნველყოფის შესახებ არბიტრაჟს გამოაქვს გადაწყვეტილება, რომელშიც მითითებული უნდა იყოს, თუ უზრუნველყოფის რა კონკრეტული ღონისძიება იქნა გამოყენებული.

16.4 პრეტენზიის უზრუნველსაყოფად გამოტანილ გადაწყვეტილებაზე მოპასუხეს შეუძლია შეიტანოს საარბიტრაჟო საჩივარი, რომელიც უნდა შეიცავდეს:

a) პრეტენზიის უზრუნველსაყოფად გამოტანილი გადაწყვეტილების და ამ გადაწყვეტილების გამომტანი ორგანოს ზუსტ დასახელებას;

b) მითითებას, თუ რა ზომით უნდა გაუქმდეს ან შეიცვალოს გადაწყვეტილება უზრუნველყოფის შესახებ;

გ) გარემოებებს, რომელთა გამოც უნდა გაუქმდეს ან შეიცვალოს გადაწყვეტილება

16.5 საარბიტრაჟო საჩივრის შეტანა ვერ შეაჩერებს უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულებას, მაგრამ არბიტრაჟს შეუძლია გარკვეული დროით შეაჩეროს აღსრულება ან გააუქმოს უზრუნველყოფისათვის უკვე მიღებული ღონისძიებები.

16.6 პრეტენზიის უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულება ხდება დაუყოვნებლივ.

16.7 მხარის თხოვნით დასაშვებია პრეტენზიის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლა.

16.8 ფულადი თანხების გადახდევინების შესახებ პრეტენზიის უზრუნველყოფისას მოპასუხეს შეუძლია მიღებულ უზრუნველყოფის ღონისძიებათა ნაცვლად პრეტენდენტის მიერ მოთხოვნილი თანხა შეიტანოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის სადეპოზიტო ანგარიშზე.

16.9 არბიტრაჟი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ დაადგინოს უზრუნველყოფის ნებისმიერი გონივრული ღონისძიება,

16.10 არბიტრაჟს შეუძლია მოსთხოვოს პრეტენდენტს მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა.

მუხლი17. არბიტრაჟის უფლებამოსილება

17.1 საქმის მომზადების სტადიაზე, არბიტრაჟის შემადგენლობის ფორმირებამდე, მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე აღჭურვილია არბიტრაჟის უფლებამოსილებით, გარდა უფლებისა მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება დავის საგანზე.

17.2 არბიტრაჟის თავმჯდომარე ან არბიტრაჟის შემადგენლობის ფორმირებამდე, მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე უფლებამოსილია:

ა) მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომელთა წარმოდგენა მხარეებმა ვერ შეძლეს;

ბ) საჭიროების შემთხვევაში დანიშნოს ექსპერტიზა, გამოიძახოს მოწმეები და გადაწყვიტოს პროცესში თანამონაწილეობის საკითხი;

გ) საჭიროების შემთხვევაში მიიღოს გადაწყვეტილება დავის საგნის უზრუნვეყოფის ზომების შესახებ;

დ) შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება, რაც ხელს შეუწყობს საქმის მომზადებას საარბიტრაჟო განხილვისათვის.

17.3 მხარეები ვალდებულნი არიან შეასრულონ საქმის მომზადების მიზნით, არბიტრაჟის მიერ მათთვის მიცემული ნებისმიერი მითითება, არასაპატიო მიზეზით ასეთი მითითებების შეუსრულებლობა, ართმევს მხარეს უფლებას მსგავსი მოქმედება შეასრულოს შემდგომში.

კარი მეოთხე

საარბიტრაჟო განხილვა

მუხლი 18. საქმის გადაცემა არბიტრაჟზე

18.1 არბიტრაჟის ფორმირებისა და საქმის საარბიტრაჟო განხილვისათვის მომზადების დამთავრების შემდეგ, ან საწყის ეტაპზევე საქმის მომზადების სტადიიდან, დავა არსებითად და საბოლოოდ განსახილველად გადაეცემა ამ კონკრეტული დავისათვის შექმნილ არბიტრაჟს. არბიტრაჟი საკუთარი შეხედულებისამებრ გადაწყვეტს მხარეთაგან დამატებითი

გაგრძელება შემდეგ გვერდზე

მტკიცებულებებისა თუ განმარტებების წარმოდგენის საკითხს.

მუხლი 19. მთავარი სხდომა

19.1 არბიტრაჟის თავმჯდომარე ხსნის, უძღვება და ხურავს მთავარ სხდომას.

სხდომაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია დაიცვას დადგენილი წესი და უსიტყვოდ დაემორჩილოს არბიტრაჟის განკარგულებას.

19.2 თვმჯდომარე აცხადებს არბიტრაჟის შემადგენლობას, აგრეთვე იმას, თუ ვინ მონაწილეობს ექსპერტად, სპეციალისტად, თარჯიმნად, არბიტრაჟის სხდომის მდივნად და განუმარტავს მხარეებს აცილების უფლების შესახებ.

19.3 მხარეთა და მათ წარმომადგენელთა განცხადებები და შუამდგომლობები ახალ მტკიცებულებეთა წარმოდგენისა თუ გამოთხოვის, აგრეთვა საქმის განხილვასთან დაკავშირებით წამოჭრილი სხვა საკითხების შესახებ, შეიძლება დააკმაყოფილოს არბიტრაჟმა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი შუამდგომლობები და განცხადებები საპატიო მიზეზით არ იყო აღძრული საარბიტრაჟო განხილვისათვის საქმის მომზადების სტადიაზე. ასეთ შემთხვევაში, მხარეთა თხოვნით ან არბიტრაჟის ინიციატივით საქმის განხილვა შეიძლება გადაიდოს.

19.4 საქმის არსებითად განხილვა იწყება საქმის შესახებ თავმჯდომარის მოხსენებით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მხარეთა მიერ წარმოდგენილ მასალებს, ხოლო თუ ამ საქმეზე ჩატარდა მოსამზადებელი სხდომა, მაშინ - ამ სხდომის მასალებსა და ოქმს.

19.5 თავმჯდომარის მიერ საქმის მოხსენების შემდეგ იწყება მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენა.

19.6 პირველ რიგში არბიტრაჟი მოისმენს პრეტენდენტისა და მის მხარეზე მონაწილე პირთა ახსნა-განმარტებებს. შემდეგ არბიტრაჟი მოისმენს მოპასუხისა და მის მხარეზე მონაწილე პირთა ახსნა-განმარტებებს.

19.7 თუ აბიტრაჟის სხდომაზე გამოცხადდება მხოლოდ ერთი მხარე, არბიტრაჟი მიიღებს ახსნა-განმარტებას ამ ერთი მხარისგან.

19.8 დებულებით დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარის სხდომაზე არგამოცხადების შემთხვევაში, არბიტრაჟი უფლებამოსილია გააგრძელოს საქმის განხილვა წარმოდგენილი მასალების საფუძველზე, თუ არბიტრაჟს სხდომის დაწყებამდე არ ეცნობა, საპატიო მიზეზით სხდომის გადადების სესახებ.

19.9 მხარეთა შეჯიბრებას ხელმძღვანელობს არბიტრაჟი. იგი ხსნის, წარმართავს და წყვეტს შეჯიბრებას, სიტყვას აძლევს ან სიტყვის უფლებას ართმევს ყველას, ვინც არ ემორჩილება მას, იღებს გადაწყვეტილებებს ზეპირი შეჯიბრების დროს წამოჭრილ საკითხებზე და აცხადებს ამ გადაწყვეტილებებს.

19.10 საქმეში არსებული ყველა მტკიცებულების განხილვისა და შემოწმების შემდეგ იწყება მხარეთა პაექრობა.

19.11 პაექრობა შედგება მხარეებისა და მათი წარმომადგენლების სიტყვებისაგან.

პირველად გამოდიან პრეტენდენტი და მისი წამომადგენელი, შემდეგ - მოპასუხე და მისი წარმომადგენელი.

19.12 მას შემდეგ, რაც პაექრობის ყოველი მონაწილე წარმოთქვამს სიტყვას, უკანასკნელი რეპლიკის უფლება ყოველთვის ეკუთვნის მოპასუხეს და მის წარმომადგენელს.

19.13 პაექრობისა და რეპლიკის შემდეგ არბიტრაჟი ნიშნავს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დღეს, რითაც საარბიტრაჟო განხილვა მთავრდება.

მუხლი 20. საქმის განხილვა წერილობითი მასალების საფუძველზე

მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ საქმის განხილვა და გადაწყვეტილების გამოტანა მოხდეს ზეპირი მოსმენის გარეშე, მხარეთა მიერ წარმოდგენილი წერილობითი მასალების საფუძველზე. არბიტრაჟს საკუთარი შეხედულებისამებრ შეუძლია დანიშნოს ზეპირი განხილვა იმ შემთხვევაში, თუ მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი მასალები არ არის საკმარისი დავის არსებითად გადაწყვეტისათვის.

მუხლი 21. მესამე პირები

მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე, ზეპირი პაექრობის დამთავრებამდე, საქმის ინტერესებიდან გამომდინარე საქმეში შესაძლებელია ჩაერთონ მესამე პირები, რისთვისაც სავალდებულოა მხარეთა და ამ პირთა წერილობითი შეთანხმება.

მუხლი 22. მტკიცებულებები

22.1 მხარეები წარმოადგენენ მტკიცებულებებს იმ გარემოებათა დასადასტურებლად ან გასაქარწყლებლად, რომლებზედაც ამყარებენ საკუთარ მოთხოვნებსა თუ შესაგებელს

22.2 თითეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

22.3 ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით.

22.4 თუ მხარეებმა ამა თუ იმ მიზეზით ვერ შეძლეს მტკიცებულებების უშუალოდ მიღება და წარმოდგენა, არბიტრაჟს მხარეთა შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით შეუძლია მიმართოს სასამართლოს მტკიცებულებათა გამოთხოვის მიზნით.

22.5 კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს იურიდიული ძალა არა აქვთ.

22.6 არბიტრაჟი აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს საარბიტრაჟო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

22.7 ერთი მხარის მიერ ისეთი გარემოებების არსებობის ან არარსებობის დადასტურება (აღიარება), რომელზედაც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებსა თუ შესაგებელს, არბიტრაჟმა შეიძლება საკმარის მტკიცებულებად ჩათვალოს და საფუძვლად დაუდოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას.

მუხლი 23. მოწმეები

23.1 სადაო გარემოებათა გარკვევის მიზნით, მხარეს შეუძლია მოითხოვოს მოწმის გამოძახება. არბიტრაჟი უფლებამოსილია, მოითხოვოს მხარეებისაგან ინფორმაცია აღნიშნულთან დაკავშირებით, დასადასტურებელ გარემოებათა და სადაო საკითხებთან მოწმეთა დამოკიდებულების მითითებით.

23.2 მოწმეთა ჩვენება შეიძლება წარმოდგენილ იქნას წერილობით. არბიტრაჟი უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით ან მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე გადაწყვიტოს ასეთი მოწმის ზეპირ მოსმენაზე გამოძახება, გამოუძახებლობის შემთხვევაში, არბიტრაჟი საკუთარი შეხედულებით წყვეტს წერილობითი ჩვენების მტკიცებულებად მიღების ან მოწმის სასამართლოს საშუალებით წარმოდგენის საკითხს.

23.3 მოწმე, რომელიც სხდომაზე იძლევა ზეპირ განმარტებას შეიძლება დაკითხულ იქნას ნებისმიერი მხარის მიერ, არბიტრაჟი უფლემოსილია, ჩაერთოს გამოკითხვაში, დასვას კითხვები ან შეწყვიტოს ჩვენების მიღება თუ იგი სცილდება განსახილველ საკითხს.

მუხლი 24. ექსპერტიზა

24.1 თუ დავის განხილვასთან დაკავშირებით არსებობს ან წამოიჭრა ისეთი საკითხი, რომლის განმარტებაც სპეციალურ ცოდნას მოითხოვს, არბიტრაჟი უფლებამოსილია მხარის მოთხოვნით ან თავისი ინიციატივით დანიშნოს ექსპერტიზა. ექსპერტიზის დანიშვნა სავალდებულოა, თუ მხარეები ამას მოითხოვენ.

24.2 ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ არბიტრაჟს გამოაქვს დადგენილება, რომელშიც უნდა აღინიშნოს, თუ რა საკითხებზეა საჭირო ექსპერტიზის დასკვნა, ვინ დაინიშნა ექსპერტად და რა მასალები წარედგინა ექსპერტს გამოსაკვლევად. აუცილებლობის ან მხარეების მოთხოვნის შემთხვევაში ექსპერტიზის ჩასატარებლად არბიტრაჟი ნიშნავს რამდენიმე ექსპერტს.

24.3 არბიტრაჟი უფლებამოსილია მხარეებს მოსთხოვოს ექსპერტიზის ჩატარებისათვის საჭირო ნებისმიერი ინფორმაცია, დოკუმენტაცია და სხვა მასალები, რომელიც მათ განკარგულებაშია.

24.4 მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ან არბიტრაჟის მოთხოვნით, ექსპერტს შეიძლება ეთხოვოს ზეპირ განხილვაზე დასწრება საკუთარი დასკვნის განმარტების მიზნით.

24.5 თუ რომელიმე მხარე არასაპატიო მიზეზით თავს არიდებს ექსპერტიზაში მონაწილეობას ან ნებისმიერი სახით აბრკოლებს მის ჩატარებას, არბიტრაჟი უფლებამოსილია დადგენილად ან გაქარწყლებულად ჩათვალოს ის ფაქტი, რომლის გასარკვევადაც დაინიშნა ექსპერტიზა.

მუხლი 25. საქმის წარმოების გადადება და შეჩერება

25.1 კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, არბიტრაჟი მხარეთა შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით გამოსცემს განკარგულებას საქმის განხილვის შეჩერებასთან დაკავშირებით. შაქმის წარმოება გაგრძელდება განხილვის გადადების გამომწვევ მიზეზთა აღმოფხვრის შემდგომ.

25.2 დაუშვებელია საქმის განხილვის გადადება საამისოდ აუცილებელი მიზეზის არსებობის გარეშე.

მუხლი 26. საარბიტრაჟო სხდომის ოქმი.

26.1 თითოეულ სხდომაზე, ცალკეული საპროცესო მოქმედების სესახებ დგება სხდომის ოქმი.

26.2 მხარეები უფლებამოსილნი არიან დააყენონ შუამდგომლობა, მათი მოსაზრებით მნიშვნელოვანი გარემოებების ოქმში შეტანასთან დაკავშირებით.

26.3 ოქმის შედგენა შესაძლებელია როგორც წერილობით, ისე სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, რომელთა ჩანაწერებიც უნდა დაერთოს წერილობით ოქმს.

კარი მეხუთე

საარბიტრაჟო წარმოების დამთავრება

მუხლი 27. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება

27.1 საქმეზე არბიტრაჟს გამოაქვს გადაწყვეტილება არბიტრაჟის მიერ პირველი საარბიტრაჟო სხდომის ჩატარებიდან 30 დღის ვადაში, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი

27.2 თუ გადაწყვეტილება გამოაქვს რამდენიმე არბიტრისაგან შემდგარ არბიტრაჟს, იგი დადგენილ უნდა იქნეს ხმათა უმრავლესობით. თუ არბიტრი უარს აცხადებს ხელი მოაწეროს გადაწყვეტილებას, ამის შესახებ უნდა აღინიშნოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში. არბიტრი, რომელიც არ ეთანხმება უმრავლესობას, შეუძლია წერილობით ჩამოაყალიბოს თავისი განსხვავებული აზრი. განსხვავებული აზრი დაერთვის საქმეს. არბიტრებს უფლება არა აქვთ გაახმაურონ თათბირის დროს გამართული მსჯელობა.

27.3 გადაწყვეტილების გამოტანისას არბიტრაჟი აფასებს მტკიცებულებებს, განსაზღვრავს, თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელი გარემოებებია დადგენილი და რომელი - დაუდგენელი, რომელი კანონი ან/და სხვა იურიდიული ნორმა უნდა იქნეს გამოყენებული ამ საქმეზე და დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს თუ არა პრეტენზია.

27.4 გადაწყვეტილება უნდა ჩამოყალიბდეს წერილობითი ფორმით.

27.5 თუ გადაწყვეტილება გამოქვს კოლეგიურ არბიტრაჟს, გადაწყვეტილებას ჩამოაყალიბებს ამ არბიტრაჟის თავმჯდომარე ან ერთ-ერთი არბიტრი და ხელს აწერს ყველა არბიტრი, რომლებიც მონაწილეობდნენ მის დადგენაში, მათ შორის, განსხვავებული აზრის მქონე არბიტრიც. გადაწყვეტილებაში შეტანილ შესწორებას შენიშვნა უნდა გაუკეთდეს არბიტრთა ხელმოწერების წინ.

27.6 არბიტრაჟს უფლება არა აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ მოუთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა, ან დავაში მონაწილე პირების გარდა ნებისმიერ სხვა პირს დააკისროს რაიმე სახის ვალდებულების შესრულება.

27.7 გადაწყვეტილება შედგება შესავალი, აღწერილობითი, სამოტივაციო და დადგენილებითი ნაწილებისაგან.

27.8 გადაწყვეტილების შესავალ ნაწილში აღინიშნება მისი გამოტანის დრო და ადგილი, გადაწყვეტილების გამომტანი მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დასახელება და არბიტრაჟის შემადგენლობა, არბიტრაჟის სხდომის მდივანი, საარბიტრაჟო შეთანხმება, რომლის საფუძველზეც მოქმედებდა არბიტრაჟი, მხარეები, წარმომადგენლები, დავის საგანი.

27.9 გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილი უნდა შეიცავდეს მითითებას პრეტენდენტის მოთხოვნასა და მოპასუხის შესაგებელზე.

27.10 გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს არბიტრაჟის მიერ დადგენილი გარემოებანი, მტკიცებულებანი, რომლებსაც ემყარება არბიტრაჟის დასკვნები, მოსაზრებანი, რომლებითაც არბიტრაჟი უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას და კანონი ან/და სხვა იურიდიული ნორმები, რომლებითაც არბიტრაჟი ხელმძღვანელობდა.

27.11 გადაწყვეტილების დადგენილებითი ნაწილი უნდა შეიცავდეს არბიტრაჟის დასკვნას პრეტენზიის დაკმაყოფილების ან პრეტენზიაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის შესახებ, მითითებას საარბიტრაჟო ხარჯების განაწილების თაობაზე, აგრეთვე მითითებას გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადასა და წესზე.

27.12 საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილ უნდა იქნეს საარბიტრაჟო განხილვის დამთავრებიდან ხუთი დღის ვადაში.

27.13 არბიტრაჟის გადაწყვეტილება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით, თითო ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს, ერთი რჩება მუდმივმოქმედ არბიტრაჟში, ხოლო ერთი პირი საქმესთან ერთად გადაეგზავნება სასამართლოს.

27.14 საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოქვეყნება დაიშვება მხოლოდ მხარეთა თანხმობით.

27.15 არბიტრაჟს უფლება აქვს მხარეთა შეთანხმებით განმარტოს გადაწყვეტილება მისი შინაარსის შეუცვლელად.

27.16 არბიტრაჟს უფლება აქვა მიღებულ გადაწყვეტილებაზე გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება.

27.17 არბიტრაჟს შეუძლია მხარის თხოვნით გაასწოროს მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი.

27.18 გადაწყვეტილების გამომტან არბიტრაჟს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება, თუ:

a) იმ მოთხოვნის გამო, რომლის შესახებაც მხარეებმა წარადგინეს მტკიცებულებანი და მისცეს ახსნა-განმარტებანი, გადაწყვეტილება არ გამოტანილა;

b) არბიტრაჟს, რომელმაც გადაწყვიტა უფლების საკითხი, არ მიუთითებია გადასახდელი თანხის ოდენობა, გადასაცემი ქონება, ან მოქმედება, რომელიც მოპასუხემ უნდა შეასრულოს;

გ) არბიტრაჟს არ გადაუწყვეტია საარბიტრაჟო ხარჯების საკითხი.

27.19 დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი შეიძლება დაისვას გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 7 დღის განმავლობაში. ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება.

27.20 დამატებითი გადაწყვეტილება არბიტრაჟს გამოაქვს საარბიტრაჟო სხდომაზე, რომლის შესახებაც ეცნობებათ მხარეებს, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს ასეთი გადაწყვეტილების გამოტანას.

27.21 გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე მათ უფლებამონაცვლეებს არ შეუძლიათ კანონით დადგენილი შემთხვევების გარდა მიმართონ საერთო სასამართლოებს ან ხელახლა განაცხადონ არბიტრაჟში იგივე საპრეტენზიო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი.

27.22 სანოტარო წესით დამოწმებული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შედის მისი გამოცხადების მომენტიდან. მხოლოდ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ არის დასაშვები მისი იძულებითი აღსრულება.

27.23 სააღსრულებო ფურცელს (წარწერას) გასცემს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე.

მუხლი 28. დაუსწრებელი გადაწყვეტილება

28.1 დებულებით დადგენილი წესით გაფრთხილებული მოპასუხის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, თუ პრეტენდენტი დააყენებს შუამდგომლობას დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, პრეტენზიაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ითვლება დამტკიცებულად. იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული გარემოებები იურიდიულად ამართლებს პრეტენდენტის მოთხოვნას იგი დაკმაყოფილდება, წინააღმდეგ შემთხვევაში არბიტრაჟი არ დააკმაყოფილებს პრეტენდენტის მოთხოვნას.

28.2 დაუსწრებელი გადაწყვეტილებისდ შინაარსი შეესაბამება დებულების 37-ე მუხლის მოთხოვნებს სამოტივაციო ნაწილის ჩამოყალიბების გარეშე.

28.3 დაუსწრებელი გადაწყვეტილებისას არგამოცხადებულ მხარეს გადაწყვეტილება ბარდება დებულების მოთხოვნათა შესაბამისად.

მუხლი 29. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი

29.1 მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, უფლება აქვს მისი ჩაბარებიდან ხუთი დღის ვადაში შეიტანოს საჩივარი არბიტრაჟში, გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების მოთხოვნით.

29.2 ვადის გაშვების შემთხვევაში გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში.

29.3 საჩივარი არბიტრაჟს წარედგინება წერილობით და უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:

მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დასახელებას;

მხარეთა რეკვიზიტებს;

გ) გარემოებებსა და მტკიცებულებებს, რომელიც ადასტურებენ, რომ გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით.

დ) მხარის მოთხოვნას იმის თაობაზე, თუ რა ფარგლებში და რა ნაწილსი უნდა შეიცვალოს გადაწყვეტილება.

მუხლი 30. საჩივრის განხილვა, რომელიც მიზნად ისახავს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას.

30.1 არბიტრაჟი საჩივრის დაკმაყოფილებას წყვეტს მხარეთა შეტყობინებით, სხდომაზე მხარეთა გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს განხილვას.

30.2 თუ მხარე საჩივარში დაასაბუთებს მისი დაკმაყოფილების კანონიერ საფუძვლებს, კერძოდ დაამტკიცებს, რომ გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მან დროულად ვერ აცნობა არბიტრაჟს იგი უნდა დაკმაყოფილდეს. საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში არბიტრაჟი აუქმებს პირვანდელ განკარგულებას და აგრძელებს სხდომას.

30.3 თუ არბიტრაჟი მიიჩნევს, რომ არ არსებობს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, მას გამოაქვს განკარგულება, რითიც ძალაში ტოვებს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას. არბიტრაჟის ასეთი გადაწყვეტილება უკავშირდება მის კანონიერ ძალაში შესვლის შედეგებს.

მუხლი 31. საქმის წარმოების შეწყვეტის სხვა საფუძვლები.

31.1 არბიტრაჟი, დებულებით განსაზღვრული შემთხვევების გარდა, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ:

a) არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან განჩინება, რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლებით მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის მიღების ან მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ;

b) პრეტენდენტმა უარი თქვა პრეტენზიაზე;

გ) მხარეები მორიგდნენ;

დ) საქმის ერთ-ერთ მხარედ მყოფი მოქალაქის გარდაცვალების შემდეგ, სადავო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, დაუშვებელია უფლება-მონაცვლეობა.

31.2 საქმეზე წარმოება შეწყდება არბიტრაჟის გადაწყვეტილებით.

31.3 მხარეებს შეუძლიათ მორიგდნენ არბიტრაჟის მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე. მხარეთა მორიგების შემთხვევაში არბიტრაჟი უფლებამოსილია გამოიტანოს მხარეთა შორის შეთანხმებული გადაწყვეტილება.

31.4 საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში არბიტრაჟისათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

მუხლი 32 საქმის გადასინჯვა.

32.1 მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში, არბიტრაჟი უფლებამოსილია გადასინჯოს განხილული საქმე.

32.2 საქმის გადასინჯვა წარმოებს დებულებით დადგენილი წესების მიხედვით, ამ მუხლით გათვალისწინებული დამატებებით.

32.3 საქმის გადასინჯვის დაწყების საფუძველია დაინტერესებული მხარის საარბიტრაჟო საჩივარი საქმის გადასინჯვის შესახებ.

32.4 საქმის გადასინჯვაში არ შეიძლება მონაწილეობას იღებდნენ ის არბიტრები, რომლებიც მანამდე მონაწილეობდნენ ამ საქმის განხილვაში.

32.5 არბიტრაჟი მოქმედებს იმ ფარგლებში, რასაც ითვალისწინებს მხარეთა შეთანხმება. თუ ასეთი შეთანხმება არ არსებობს, არბიტრაჟი საქმეს იხილავს არსებითად.

32.6 არბიტრაჟი უფლებამოსილია:

a) გააუქმოს ამ საქმეზე არსებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით მთლიანად ან ნაწილობრივ დააკმაყოფილოს საჩივარი;

b) არ დააკმაყოფილოს საჩივარი და არსებული გადაწყვეტილება დატოვოს ძალაში.

მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟი:
კომპანია თბილისის კერძო არბიტრაჟი
ქ. თბილისი ვიქტორ დოლიძის N48
ტელ: 36 34 21

დამტკიცებულია კომპანიის პარტნიორის 26.12.2008 წლის N3 გადაწყვეტილებით.

## განცხადება საერთაშორისო ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს **საერთაშორისო ტენდერს 2009 წლისათვის დაცვის პოლიციელთა უნიფორმის შესყიდვის მიზნით** და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს. დაფინანსების წყარო – **საჯარო სამართლის იურიდიული პირის დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საკუთარი სახსრები.**

2. დაინტერესებულ პირებმა ტენდერში მონაწილეობისათვის უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით. ჩვენი რეკვიზიტებია: „ბანკი რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, საიდენტიფიკაციო კოდი 211350928, ანგარიშის №345919, ბანკის კოდი 220101757 **გადახდის დანიშნულება – სატენდერო მოსაკრებელი, დაცვის პოლიციელთა უნიფორმის შესყიდვა**, სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი უნდა წარმოადგინოთ შემდეგ მისამართზე: ქ, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხევანი მე-11 კმ. სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია. სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა **2008 წლის 29 დეკემბრის 12:00 საათიდან 2009 წლის 19 იანვრის 19:00 საათამდე, ქ. თბილისი დავით აღმაშენებლის ხევანი მე-11 კმ. სსიპ** - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი.

3. შესყიდვის საგანი:

| ლოტი № | საქონლის დასახელება | განზომილების ერთეული | რაოდენობა | მიწოდების ვადა | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | პერანგი გრძელსახელოიანი | ცალი | 20000 | 20 მაისამდე | ქ. თბილისი დ. აღმაშენებლის ხევანი მე-11კმ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი |
| 2 | პერანგი მოკლესახელოიანი | ცალი | 20000 | 10 სექტემბრამდე | |
| 3 | მაისური თეთრი | ცალი | 20000 | 20 მაისამდე | |
| 4 | მაისური (საზაფხულო) | ცალი | 1000 | 20 მაისამდე | |
| 5 | შარვალი (ზაფხულის) | ცალი | 12000 | 20 მაისამდე | |
| 6 | შარვალი (ზამთრის) | ცალი | 12000 | 10 სექტემბრამდე | |
| 7 | ფეხსაცმელი მაღალყელიანი | წყვილი | 12000 | 10 სექტემბრამდე | |
| 8 | ფეხსაცმელი დაბალყელიანი | წყვილი | 12000 | 20 მაისამდე | |
| 9 | სვიტრი | ცალი | 4000 | 10 სექტემბრამდე | |
| 10 | საზაფხულო-საშემოდგომო ქურთუკი | ცალი | 12000 | 10 სექტემბრამდე | |
| 11 | ქურთუკი (მოკლე) | ცალი | 7000 | 10 ნოემბრამდე | |
| 12 | ქურთუკი (გრძელი) | ცალი | 3500 | 10 ნოემბრამდე | |
| 13 | კეპი (ზაფხულის) | ცალი | 4000 | 20 მაისამდე | |
| 14 | ქუდი (ზამთრის) | ცალი | 4000 | 10 სექტემბრამდე | |
| 15 | სამხრე | წყვილი | 12000 | 30 აპრილამდე | |
| 16 | ჰალსტუხი | ცალი | 12000 | 30 აპრილამდე | |
| 17 | სპეც ფორმის ტანსაცმელი (შარვალი, ხალათი, კეპი და მაისური) შავი ფერის. (ზაფხულის) | კომპლექტი | 600 | 30 აპრილამდე | ქ. თბილისი დ. აღმაშენებლის ხევანი მე-11კმ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი |
| 18 | სპეც ფორმის ტანსაცმელი (შარვალი, ხალათი, კეპი და მაისური) შავი ფერის. (ზამთრის) | კომპლექტი | 600 | 10 სექტემბრამდე | |
| 19 | ბათინკი მაღალყელიანი ზაფხულის | წყვილი | 600 | 30 აპრილამდე | |
| 20 | ბათინკი მაღალყელიანი ზამთრის | წყვილი | 600 | 10 სექტემბრამდე | |
| 21 | სპეც ფორმის ტანსაცმელი (შარვალი ხალათი კეპი მაისური და ბათინკი) კომუფლირებული | კომპლექტი | 1000 | 20 მარტამდე | |
| 22 | კომუფლირებული ქურთუკი | ცალი | 250 | 20 ოქტომბრამდე | |

4. ტენდერის შედეგად შესაძლებელია რამოდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა, რომლებსაც მიენიჭებათ შესყიდვის ობიექტის ცალკეული ნაწილების (ლოტების) შესრულების უფლება. საქონლის მიწოდება გამარჯვებულმა პრეტენდენტებმა უნდა განახორციელონ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ შედგენილი ესკიზებისა და გრაფიკების შესაბამისად შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხევანი მე-11 კმ., სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი.

5. პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასთან და საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად უნდა წარმოადგინონ სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ან დაზღვევა მისი ღირებულების 1%-ის ოდენობით, რომელის მოქმედების ვადა უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას 30 კალენდარული დღით. პრეტენდენტებს უფლება აქვს წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება.

6. სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა უნდა იყოს არანაკლებ 30 კალენდარული დღე სატენდერო წინადადების წარმოდგენის დღიდან.

7. ხელშეკრულების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებულ იქნება შემდეგი ფორმით და ოდენობით: საბანკო გარანტია ან დაზღვევა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 4%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

8. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, დალუქულ კონვერტში **2009 წლის 20 იანვარს 10:00 საათიდან წლის 20 იანვარს 12:00 საათამდე.** სატენდერო კომისიაში შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხევანი მე–11 კმ. სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი.

9. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიულმა პირებმა:**

ა) ცნობა შესაბამისი დაწესებულებიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

გ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

დ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ე) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

**ფიზიკურმა პირებმა:**

ა) ცნობა, მისი ქმედუნარიანობის შესახებ. (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან);

ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ:

**შენიშვნა:** ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული/შედგენილი წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში

10. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას, თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

11. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით **2009 წლის 20 იანვრის 12:00 საათზე,** შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი დავით აღმაშენებლის ხევანი მე-11 კმ. სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი.

12. დაწვრილებითი ცნობების მისაღებად მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხევანი მე–11 კმ. სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი

საკონტაქტო პირი – რევაზ ბერძენიშვილი ტ: 517506. მობ: 895 10-06-05

სატენდერო კომისია

# ირაკლის დუბლი

## საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ წლის საუკეთესო სპორტსმენი გამოავლინა

გიგა გურასაშვილი

*1964 წლიდან დღემდე საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის თაოსნობით ჩვენ, ჟურნალისტები საკუთარ რჩეულებს ვასახელებთ. უფრო სწორად, წლის საუკეთესო სპორტსმენს. ამ მხრივ 2008 წელი იმით იყო გამორჩეული, რომ პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე ქართველ ოლიმპიელთაგან სამმა უმაღლესი სინჯის მედლები დაისაკუთრა. ბუნებრივია, ამდენივედ გაიყო ჩვენი აზრიც. ერთნი ძიუდოისტ ირაკლი ცირეკიძეს მიიჩნევდნენ საუკეთესოდ, მეორენი – თავისუფალი სტილით მოჭიდავე რევაზ მინდორაშვილს, მესამენი კი ბერძენ-რომაელ მანუჩარ კვირკველიას. აბა, რომელი არ იმსახურებს პირველობას?!*

ბუნებრივია, როდესაც პრეტენდენტი ბევრია, აზრთა სხვადასხვაობაც შესაბამისია. როგორც არ უნდა იყოს, სამ ჩემპიონს შორის ერთი მაინც გამოვარჩიეთ.

გუშინ კაფე "მსოფლიო სპორტში" ჩვენს ამქარსა და იმ სპორტსმენებს მოეყარათ თავი, რომლებმაც წლეულს ამა თუ იმ სარბიელზე (უპრიანი იქნებოდა გვეთქვა, ოლიმპიურ თამაშებზე, რაც გადამწყვეტი აღმოჩნდა) მიაღწიეს წარმატებას.

მაშ ასე, ქართული მედიის 48 წარმომადგენელს საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ტრადიციულ გამოკითხვაში, გნებავთ რეფერენდუმში 2008 წლის ათი საუკეთესო სპორტსმენი და საუკეთესო გუნდი უნდა გამოევლინა. ნომინანტთა შორის 36 სპორტსმენი მოხვდა. საუკეთესო კი 416 ქულით გახდა პეკინის ოლიმპიური თამაშების ოქროს მედალოსანი ირაკლი ცირეკიძე ქუთაისელი (22 ანკეტაში პირველ ნომრად იყო დასახელებული) პირველი ქართველი ძიუდოისტია, რომელმაც ორი უმთავრესი შეჯიბრება – ოლიმპიური თამაშები და მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო. ესეც რომ არა, მან წლეულს მოიპოვა მსოფლიოს გუნდური ჩემპიონის ტიტული და ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი (შარშან ამავე გამოკითხვაში მეორე იყო).


2008 წლის საუკეთესო სპორტსმენი ასოციაციის პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა დააჯილდოვა


2008 წლის საუკეთესო გუნდი ქალ მოჭადრაკეთა ნაკრები გახდა.

საგულისხმოა ისიც, რომ რამდენიმე დღით ადრე ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა საუკეთესოდ სწორედ ირაკლი ცირეკიძე სცნო. ასე რომ ცირეკიძემ დუბლი შეასრულა.

საუკეთესოთა ათეულში 390 ქულით მეორე ადგილი ერგო თავისუფალი სტილით მოჭიდავე რევაზ მინდორაშვილს, რომელმაც წლეულს ოლიმპიურ ოქროსთან ერთად ევროპის ჩემპიონატის ვერცხლი მოიპოვა.

383 ქულა დაუგროვდა და მესამე ადგილზე გავიდა ასევე პეკინის ოლიმპიური თამაშების ტრიუმფატორი ბერძენ-რომაელი მანუჩარ კვირკველია.

გასაკვირი არავისთვის არ უნდა იყოს, რომ ამავე ნუსხაში კიდევ ორი ძიუდოისტი და თავისუფალი სტილით მოჭიდავეა. კარგი ისაა, რომ ნომინანტთა შორის მოხვდნენ სხვა სახეობის წარმომადგენლებიც.

საუკეთესო სპორტსმენის გამოვლენამდე წლის საუკეთესო გუნდიც გამოვლინდა. მართალი გითხრათ, ამ შემთხვევაში საუკეთესოდ ორი გუნდის შეგვეძლო დაგვესახელებინა. ერთი ძიუდოისტთა ნაკრები, რომელმაც შემოდგომაზე ტოკიოში მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი მოიგო და მეორე საქართველოს ქალ მოჭადრაკეთა ნაკრები, რომელიც 12-წლიანი პაუზის შემდეგ დრეზდენში საჭადრაკო ოლიმპიადის ტრიუმფატორი გახდა.

2008 წლის საუკეთესო გუნდად დასახელდა ქალ მოჭადრაკეთა ნაკრები.

ესეც ვთქვათ, სპორტსმენებთან ერთად წლის საუკეთესო სპორტული ჟურნალისტიც გამოვლინდა. უფრო სწორად, ნოდარ გუგუშვილის სახელობის პრემია ერგო ოთარ მაღლაკელიძეს.

**2008 წლის საუკეთესო ათეული:**

1. ირაკლი ცირეკიძე (ძიუდო) ..........416
2. რევაზ მინდორაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა) ..........390
3. მანუჩარ კვირკველია (ბერძნულ-რომაული) ..........383
4. გიორგი გოგშელიძე (თავისუფალი ჭიდაობა) ..........268
5. ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა) ..........242
6. მაია ჩიბურდანიძე (ჭადრაკი) ..........240
7. ოთარ თუშიშვილი (თავისუფალი ჭიდაობა) ..........166
8. ზაზა კედელაშვილი (ძიუდო) ..........82
9. ვარლამ ლიპარტელიანი (ძიუდო) ..........73
10. მამუკა გორგოძე (რაგბი) ..........64

10%-იანი ფასდაკლება 1 თებერვლამდე
HYUNDAI I-30 და VERACRUZ-ზე










*საქმე N2/438 - 2008*

## გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
## საქართველოს სახელით

**პუბლიკაციის მეშვეობით საჯარო შეტყობინების შესახებ**

**04 ნოემბერი 2008 წელი ქ. ქუთაისი**

ქუთაისის საქალაქო სასამართლო
მოსამართლე ანა ღელეყვა
სხდომის მდივანი ნანა კახიძე
**მოსარჩელე - ელისო ეგუტიძე**
**წარმომადგენელი - დავით ყიფშიძე**
**მოპასუხე - konstantine მოდებაძე**

დავის საგანი - ალიმენტის დაკისრება

**აღწერილობითი ნაწილი:**

ქუთაისის საქალაქო სასამართოს წარმოებაშია ელისო ეგუტიძის სარჩელი კოტე მოდებაძის მიმართ ალიმენტის დაკისრების თაობაზე.

მოსარჩელის მიერ მოპასუხის მიმამართად სარჩელში მითითებულია შპს-ს სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მისამართი: სიღნაღის რაიონი, სოფელი ულიანოვსკი. აღნიშნულ მისამართზე მოპასუხეს გაეგზავნა უწყება და გზავნილი, რომელიც ვერ ჩაბარდა.

2008 წლის 04 ნოემბერს სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენელმა დავით ყიფშიძემ საქმის ზეპირი განხილვის დროს იშუამდგომლა საჯარო შეტყობინების შესახებ პუბლიკაციის მეშვეობით განჩინების მიღების თაობაზე, რაც განხორციელდება მოსარჩელის ხარჯებით. რასაც დაეთანხმა მოსარჩელეც.

**სამოტივაციო ნაწილი:**

სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელის წარმომადგენლის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელბა იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში.

გამომდინარე აღნიშნულიდან, მოპასუხეს უნდა ეცნობოს მოცემული საქმის წარმოებისა და სასამართლო მთავარი სხდომის შესახებ საჯარო შეტყობინების პუბლიკაციის მეშვეობით.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

ვიხელმძღვანელე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლებით,

**დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:**

1. ელისო ეგუტიძის სარჩელის ზეპირი განხილვა მოპასუხე კოტე მოდებაძის მიმართ - ალიმენტის დაკისრების თაობაზე, სასამართლოს მთავარ სხდომაზე დაინიშნოს 2008 წლის 10 დეკემბერს, 14 საათზე, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის №11);
2. ეცნობოს მოპასუხე კოტე მოდებაძეს, რომ, თუკი იგი ან მისი უფლებამოსილი პირი ვერ გამოცხადდება სასამართლოს მთავარ სხდომაზე, ვალდებულია გამოუცხადებლობის მიზეზების თაობაზე წინასწარ აცნობოს სასამართლოს. მთავარ სხდომაზე მოპასუხის არასაპატი მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის თანახმად, თუკი მოსარჩელე იშუამდგომლებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება. თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე.
3. განჩინება გამოქვეყნდეს გაზეთ 24 საათში , რაც დაევალოს მოსარჩელე ელისო ეგუტიძეს.
4. განჩინება გამოიკრას ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განცხადებების დაფაზე.
5. სასამართლო უწყება მოპასუხისათვის ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.
6. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

**მოსამართლე: ანა ღელეყვა**

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
## აუქციონის ჩატარების შესახებ

(მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექცია) 2009 წლის 28 იანვარს დღის 14.00 საათზე, ქ.თბილისში ცოტნე დადიანის №30 (მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის შენობა) სს სამშენებლო კომპანია „თბილისის" ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით, რომელიც მდებარეობს ***ქ. თბილისი, საბურთალოს ქ. №39; გამსახურდიას №39; უ. ჩხეიძის №19; ი. აბაშიძის №58; კუტუზოვის ქ. №9; ყიფშიძის ქუჩა, აგ ს-ის პირდაპირ; ქ. ბათუმი, დ. თავდადებულის ქ. №117; გარდაბნის რ/ნი, გაჩიანი, სოფ. ალთაღლია;*** ატარებს აუქციონს.

სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება სს სამშენებლო კომპანია „თბილისის" შემდეგი ქონება.

| № | დასახელება | რაოდენობა | ერთეულის ფასი | მთლიანი ღირებულება |
|---|---|---|---|---|
| | | კომპანია „თბილისი" (ადმინისტრაცია) | | |
| 1 | ა/მ FORD KA 2180 GGG-412 (1989) | 1 | 4356 | 4356 |
| 2 | ა/მ მერსედეს ბენცი AEG_005 (1998) | 1 | 17750 | 17750 |
| 3 | ა/მ მერსედეს ბენცი LIG-001 (1997) | 1 | 8450 | 8450 |
| 4 | BA3-2105 SSS-534 (1997) | 1 | 2651 | 2651 |
| 5 | BA3-2105 MMM-331 (1997) | 1 | 2288 | 2288 |
| 6 | BA3-2105 UUU-797 (1997) | 1 | 2288 | 2288 |
| 7 | GA3-31029 AEG-992 (1998) | 1 | 3267 | 3267 |
| 8 | კონდიციონერი (2002) | 1 | 462 | 462 |
| 9 | კომპიუტერ.მაგიდა (2004) | 2 | 242 | 484 |
| 10 | თარო (2004) | 1 | 55 | 55 |
| 11 | თარო (2004) | 3 | 50 | 150 |
| 12 | საწერი მაგიდა (2004) | 3 | 204 | 612 |
| 13 | მაგიდის კომპლექტი (2002) | 1 | 726 | 726 |
| 14 | სამეული (2005) | 1 | 2541 | 2541 |
| 15 | ტელევიზორი 15დიუმი LVG (2004) | 1 | 238 | 238 |
| 16 | მაცივარი 2701 „მინსკი" (1998) | 2 | 633 | 1266 |
| 17 | სეიფი (1998) | 1 | 264 | 264 |
| 18 | ქსეროქსი "Conon Fc-224" (2001) | 1 | 204 | 204 |
| 19 | ა/მანქანა მერსედეს ბენცი 1422ბ (ბეტონმრევი) (2001) | 1 | 83600 | 83600 |
| 20 | ა/მანქანა ვაზ-21213 ალე-233 (1988) | 1 | 2475 | 2475 |
| 21 | ა/მანქანა BA3 2105 №MMM 422 (1988) | 1 | 1562 | 1562 |
| 22 | ა/მანქანა „მაზდა" (2005) | 1 | 11880 | 11880 |
| 23 | კომპიუტერი სამსუნგი mast793 (2003) | 1 | 2541 | 2541 |
| 24 | კომპიუტერული ტექნიკა სიმენსი (2004) | 2 | 1634 | 3268 |
| 25 | მონიტორი სამსუნგი mast793 (2004) | 1 | 545 | 545 |
| 26 | მონიტორი და პრინტერი კომპლექტი(2004) | 2 | 883 | 1766 |
| 27 | ქსეროქსი ქენონი (2003) | 1 | 1845 | 1845 |
| 28 | აკუმულიატორი 190 (2003) | 1 | 130 | 130 |
| 29 | ფაქსი **(2004)** | 1 | 242 | 242 |
| 30 | ფაქსი **(1999)** | 1 | 204 | 204 |
| 31 | მობილ-ტელეფონი **(1999)** | 1 | 110 | 110 |
| 32 | ბაზის შენობა 1800 კვ. მეტრი (გარდაბანი-ალთაღლია) (1969) | 1 | 14520 | 14520 |
| 33 | სასაწყობო ფართი 1300 კვ. მეტრი (გარდაბანი-ალთაღლია) (1969) | 1 | 2723 | 2723 |
| 34 | სარკინიგზო ჩიხი 700მ (გარდაბანი-ალთაღლია) | 1 | 15428 | 15428 |
| 35 | სასაწყობო სახელოსნო 1500 კვ. მეტრი (გარდაბანი-ალთაღლია) (1992) | 1 | 5808 | 5808 |
| 36 | კომპრესორი (2002) | 1 | 726 | 726 |
| 37 | ქვის საჭრელი ბაგირი (2006) | 1 | 12348 | 12348 |
| 38 | საოფისე ავეჯი (2006) | 1 | 1100 | 1100 |
| 39 | ა/მ ფორდ ტრანზიტ ბუშ I-244 (2006) | 1 | 18150 | 18150 |
| 40 | ავტომანქანა ფორდ რაინჯერი 925 (2006) | 1 | 17050 | 17050 |
| 41 | ავტომანქანა ჰუნდაი ტუქსონი (2006) | | 36300 | 36300 |
| 42 | ელ.ხელის ხერხი (2002) | 1 | 271 | 271 |
| 43 | პერფორატორი 025600 (2004) | 1 | 1078 | 1078 |
| 44 | ავეჯი მისაღებისათვის (2007) | 1 | 2470 | 2470 |
| 45 | ავეჯი კომპლ. (2007) | 2 | 1408 | 2816 |
| 46 | საჯდომი ავეჯის კომპლ. (2007) | 1 | 908 | 908 |
| 47 | მაცივარი „ HITACHI" (2007) | 1 | 997 | 997 |
| 48 | კომპიუტერი(კომპლ.) (2007) | 1 | 2268 | 2268 |
| 49 | პრინტერი HPDESIGHIET – 70 (2007) | 1 | 253 | 253 |
| 50 | ტელევიზორი BRAVIA "SONI" 26 დ (2007) | 1 | 1993 | 1993 |
| 51 | ტელევიზორიBRAVIA "SONI" 16 დ (2007) | 1 | 954 | 954 |
| 52 | ავეჯი(სავარძელი) | 1 | 965 | 965 |
| 53 | საკონფერენციო მაგიდა | 1 | 1815 | 1815 |
| 54 | სამეულის კომპლექტი | 1 | 2539 | 2539 |
| 55 | სამეული შავი | 1 | 2662 | 2662 |
| 56 | სავარძელი შავი(2 ადგილიანი) | 1 | 1518 | 1518 |
| 57 | სავარძელი შავი(3 ადგილიანი) | 1 | 1821 | 1821 |
| 58 | კონდიციონერი "YORK" (2007) | 3 | 2178 | 6534 |
| 59 | სატელეფონო სადგური | 1 | 3993 | 3993 |
| 60 | კომპ.ტექნიკა მონიტორი | 2 | 638 | 1276 |
| 61 | დესაუ jSB 8915 | 1 | 1078 | 1078 |
| 62 | მობილური ტელეფონი (თბილისი-4) | 1 | 88 | 88 |
| 63 | ქსეროქსი ქენონი | 1 | 1815 | 1815 |
| 64 | კომპიუტერი LG პ–4 | | 1821 | 1821 |
| 65 | ტელევიზორი და დვდ 40 პლაზმური "ARAY" (2007) | | 3947 | 3947 |
| 66 | მობილური ტელეფონი | | 1045 | 1045 |
| 67 | კომპიუტერული ტექნიკა "SIEMENS" (2006) | | 924 | 924 |
| 68 | მიწა (გარდაბანი-ალთაღლია) 84351 კვმ | | 84700 | 84700 |
| | | შ.პ.ს. „თბილისი"-4 | | |
| 69 | სახანძრო სტენდი | 1 | 210 | 210 |
| 70 | ფაქსი „პანასონიკი-82" კს | 1 | 195 | 195 |
| 71 | ფაქსი „პანასონიკი-82" კს | 1 | 182 | 182 |
| 72 | ქსეროქსი "Conon Fc-224" | 1 | 435 | 435 |
| 73 | ა/მანქანა „BA3-2105" KKK-223 (1998) | 1 | 1570 | 1570 |
| 74 | მაგიდა | 1 | 275 | 275 |
| 75 | კარადა | 1 | 410 | 410 |
| 76 | მაგიდა საკომფერენციო | 1 | 1230 | 1230 |
| 77 | მაგიდა კომპიუტერის | 1 | 253 | 253 |
| 78 | მაგიდა კომპიუტერის | 1 | 264 | 264 |
| 79 | მაგიდა კომპიუტერის | 1 | 252 | 252 |
| 80 | მაგიდის კომპლექტი | 1 | 370 | 370 |
| 81 | სახერხი ცეხის მეტალო კონსტრუქცია | 1 | 760 | 760 |
| 82 | გენერატორი | 1 | 360 | 360 |
| 83 | ბენზინძრავის გენერატორი 8 კვტ | 1 | 420 | 420 |
| 84 | ბლოკის საჭრელი დაზგა | 1 | 1720 | 1720 |
| 85 | სამონტაჟო სტროფერი | 1 | 540 | 540 |
| 86 | ხის საჭრელი დაზგა | 1 | 180 | 180 |
| 87 | ხერხი და ხერხის სალესი დაზგა | 1 | 1210 | 1210 |
| 88 | წყლის ტუმბო | 1 | 1100 | 1100 |
| 89 | ბეტონმრევი | 1 | 385 | 385 |
| 90 | ანგარი 46X15 სიმაღლე – 7მ. | 1 | 60500 | 60500 |
| 91 | ა/ამწე კს 3577 მ 95337 (1988) | 1 | 13475 | 13475 |
| 92 | ა/მანქანა KRA3 256 B-01 (1985) | 1 | 10670 | 10670 |
| 93 | ა/მანქანა ზილ 431410 (1988) | 1 | 1870 | 1870 |
| 94 | ჰორიზონტალური ვიბრატორი | 1 | 120 | 120 |
| 95 | კომპრესორ ამორტიზატორი | 1 | 100 | 100 |
| 96 | ინგლ. წარმოების სატკ. აპარატი | 1 | 4700 | 4700 |
| 97 | ვაგონი საცხოვრებელი | 1 | 7260 | 7260 |
| | | შ.პ.ს. „თბილისი"-6 | | |
| 98 | ფაქსი ტელეფონი SHARP UX-310 | 1 | 418 | 418 |
| 99 | ნიველირი ინგ. წარმოების | 1 | 2552 | 2552 |
| 100 | ელ. მექამ. „პიონერი" | 2 | 627 | 1254 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 101 | ბეტონის გას. ტრანსფ. 250 | 1 | 1100 | 1100 |
| 102 | სიღრმითი წყლის ტუმბო | 1 | 198 | 198 |
| 103 | ელ. ტელფერი 05ტნ | 2 | 358 | 716 |
| 104 | არმატურის საჭრელი გილიოტინა | 2 | 649 | 1298 |
| 105 | სამონტაჟო პისტოლეტი | 1 | 74 | 74 |
| 106 | სიღრმითი ვიბრატორი ტრანსფორმატ. | 2 | 105 | 210 |
| 107 | ელ.დრელი | 2 | 66 | 132 |
| 108 | საბურღი ჩარხი | 1 | 314 | 314 |
| 109 | პარკეტის პორიზ.მოსახ.აპარატი | 1 | 2541 | 2541 |
| 110 | დენის გენერატორი | 1 | 3812 | 3812 |
| 111 | გენერატ. ავტომატ მართვის სისტემა | 1 | 2723 | 2723 |
| 112 | ელ. გენერატორი | 1 | 2178 | 2178 |
| 113 | მოზაიკის მოსახეხი დანადგარი | 1 | 385 | 385 |
| 114 | მარმარილოს მოსაპრიალებელი დანად. | 1 | 3993 | 3993 |
| 115 | ორთქლის ქვაბის დიზელ. ფორსუნკა | 14 | 523 | 7322 |
| 116 | მარმარილის დასაამუშავებელი დანად. | 1 | 10890 | 10890 |
| 117 | გრუნტის სატკეპნი | 1 | 14520 | 14520 |
| 118 | გრუნტის ხელის სატკეპნი | 1 | 5445 | 5445 |
| 119 | კომპრესორი | 1 | 27225 | 27225 |
| 120 | ბეტონის მოსახეხი დანადგარი | 1 | 4719 | 4719 |
| 121 | ბეტონმრევი | 1 | 415 | 415 |
| 122 | გილიოტინა | 1 | 673 | 673 |
| 123 | კომპრესორი 6 ატმ. | 1 | 858 | 858 |
| 124 | ელ. კალორიფერი 22 კვტ. | 1 | 404 | 404 |
| 125 | ელ. კალორიფერი 6 კვტ. | 1 | 182 | 182 |
| 126 | პერფორატორი | 2 | 286 | 572 |
| 127 | შედუღების აპარატი | 1 | 407 | 407 |
| 128 | მოტო პომპა | 1 | 506 | 506 |
| 129 | სიღრმითი ვიბრატორი | 5 | 303 | 1515 |
| 130 | ელ. პერფორატორი 266 | 3 | 220 | 660 |
| 131 | ელ. პერფორატორი „დევანტი" | 1 | 1254 | 1254 |
| 132 | ბალგარკა 850 კვტ. | 1 | 110 | 110 |
| 133 | ელ. პერფორატორი „ბოში" | 1 | 330 | 330 |
| 134 | ელ. პნევმო ნაქუჩი | 1 | 352 | 352 |
| 135 | დარტყმითი დრელი 4850 | 4 | 72 | 288 |
| 136 | ა/მ GA3-2705 (გაზელი) TT-643 (1997) | 1 | 3135 | 3135 |
| 137 | FORD 31029 WIW258 (2002) | 1 | 4950 | 4950 |
| 138 | დუღაბმრევი | 1 | 858 | 858 |
| 139 | ქანქარა ხერხი | 1 | 193 | 193 |
| 140 | ბეტონის სახეხი მანქანა | 1 | 4345 | 4345 |
| 141 | ვაგონი საცხოვრებელი | 3 | 7260 | 21780 |
| შ.პ.ს. „თბილისი"-7 | | | | |
| 142 | ბეტონის კვანძი სბ-145 | 1 | 75103 | 75103 |
| 143 | ბეტონმრევი სბ-145 | 1 | 5060 | 5060 |
| 144 | ინერტ. მასალ. საწყობი 300 კვ.მეტრი | 1 | 8659 | 8659 |
| 145 | ცემენტის ბუნკერი | 1 | 2970 | 2970 |
| 146 | ტრანსფორმ. ვიბრატორი 380, 36 | 1 | 1595 | 1595 |
| 147 | ბეტონ. კუბ. დასასინ. პრესი | 1 | 1210 | 1210 |
| 148 | გილიოტინა კომპლ. | 1 | 5255 | 5255 |
| 149 | სამსხვრევი დანადგარი | 1 | 26776 | 26776 |
| 150 | რეზერვუარი | 1 | 165 | 165 |
| 151 | ქვის სამსხვრევი კომპლექტი | 1 | 14575 | 14575 |
| 152 | ქვის სამსხვრევი სეპარატ. | 1 | 3993 | 3993 |
| 153 | ქვის სამსხვრევი დანადგარი | 1 | 23925 | 23925 |
| 154 | არმატურის საჭრელი დაზგა | 1 | 1815 | 1815 |
| 155 | გლინ. სადუნი დაზგა | 1 | 2475 | 2475 |
| 156 | გლინ. საჭრელი დაზგა | 1 | 10175 | 10175 |
| 157 | არმატ. საჭრელი დაზგა | 1 | 10890 | 10890 |
| 158 | ელ. ძელური ქვესადგური | 1 | 1183 | 1183 |
| 159 | კანტორა 300 კვ. მეტრი | 1 | 4972 | 4972 |
| 160 | მექანიკური საამქრო | 1 | 10890 | 10890 |
| 161 | დარაჯის ჯიხური | 1 | 165 | 165 |
| 162 | საპირფარეში | 1 | 132 | 132 |
| 163 | მოზაიკის საამქრო შენობა 350 კვ. მეტრი | 1 | 3993 | 3993 |
| 164 | ლითონკონსტ. საამქრო 400 კვ. მეტრი | 1 | 30525 | 30525 |
| 165 | საცხოვ. ნაგებობა 160 კვ. მეტრი | 1 | 24750 | 24750 |
| 166 | საყრდენი კედელი 100 კვ. მეტრი | 1 | 7260 | 7260 |
| 167 | შემოღობვა | 1 | 2508 | 2508 |
| 168 | რკინიგზის ჩიხი 2000 მ(გარდაბანი-ალთაღლია) | 1 | 85360 | 85360 |
| 169 | მისასვლელი გზები(გარდაბანი-ალთაღლია) | 1 | 3630 | 3630 |
| 170 | შიდამოედნის გზები(გარდაბანი-ალთაღლია) | 1 | 495 | 495 |
| 171 | ჯოჯგინა ამწე (1989) | 1 | 33440 | 33440 |
| 172 | ამწის სავალი გზა – 35 მეტრი | 1 | 3993 | 3993 |
| 173 | ა/მანქანა ვაზ-2105 (MMM-332) (2005) | 1 | 1562 | 1562 |
| 174 | სახარატო დაზგა | 1 | 5269 | 5269 |
| 175 | სახერხი დაზგა | 1 | 1980 | 1980 |
| 176 | „რეისმუსი" | 1 | 4323 | 4323 |
| 177 | ფუგანი | 1 | 3267 | 3267 |
| 178 | სახარატო ჩარხი | 1 | 5082 | 5082 |
| 179 | ფრეზერი | 1 | 5445 | 5445 |
| 180 | კომპერსორი კომპლ.მ-5-12 | 1 | 682 | 682 |
| 181 | კომპრესორი 16 ატმ | 1 | 7123 | 7123 |
| 182 | კომპრესორი 16 ატმ | 1 | 5885 | 5885 |
| 183 | კომპრესორი 16 ატმ | 1 | 4840 | 4840 |
| 184 | ტელფერი | 1 | 363 | 363 |
| 185 | ტრანსფორმატ.ქვესადგური | 1 | 6545 | 6545 |
| 186 | ტრანსფრომატორი | 1 | 26950 | 26950 |
| 187 | დენის გენერატორი | 1 | 21450 | 21450 |
| 188 | დენის გენერატორი (დიზელი) | 1 | 9823 | 9823 |
| 189 | ელ. შემდუღ. პარატი (მუდმივი დენის) | 1 | 363 | 363 |
| 190 | დენის გენერატორი (ცვლადი) | 1 | 229 | 229 |
| 191 | კომპიუტერი | 1 | 1491 | 1491 |
| 192 | კომპიუტერი + მობილ.ტელ | 1 | 1672 | 1672 |
| 193 | ქსეროქსი და მობილ. ტელ. | 1–3 | 1815 | 1815 |
| 194 | ორთქლის ქვაბი | 1 | 14355 | 14355 |
| 195 | ორთქლის ქვაბი ე1/9 | 1 | 27610 | 27610 |
| 196 | ქვის სამსხვრევი გროხოტები | 1 | 11798 | 11798 |
| შ.პ.ს. „ბეტონი" | | | | |
| 197 | ბეტონის კვანძი სბ-145 | 1 | 75103 | 75103 |
| 198 | ა/მანქანა ცემ. ზილი 5410 ეეზ-246 (1989) | 1 | 5445 | 5445 |
| 199 | ა/მანქანა „ვოლგა" ასვ-422 | 1 | 2110 | 2110 |
| შ.პ.ს. „ნიუ-სითი | | | | |
| 200 | ვაგონი საცხოვრებელი | 2 | 7260 | 14520 |
| შ.პ.ს. „თბილისი N&R" | | | | |
| 201 | ვაგონი საცხოვრებელი | 2 | 7260 | 14520 |
| შ.პ.ს. „თბილისი-8" | | | | |
| 202 | ავტობუსი კაკზ-3270 (1989) | 1 | 4538 | 4538 |
| 203 | ავტობუსი კაკზ-3270 (1990) | 1 | 4538 | 4538 |
| 204 | ა/მანქანა ტ/მომს.გაზ 5201 (1988) | 1 | 6353 | 6353 |
| 205 | ა/მანქანა ზილ მმზ 4502 (1989) | 1 | 7260 | 7260 |
| 206 | ა/მანქანა კს 3575 ზილ 133 (1991) | 1 | 8168 | 8168 |
| 207 | ა/მანქანა მაზ 54323 (1989) | 1 | 29040 | 29040 |
| 208 | ა/მანქანა მაზ 5429 (1990) | 1 | 30855 | 30855 |
| 209 | ა/მანქანა კრაზ 256ვ (1989) | 1 | 27225 | 27225 |
| 210 | ა/მანქანა კრაზ 256ზ-1 (1990) | 1 | 29040 | 29040 |
| 211 | ა/მანქანა კრაზ 256 ბ- 1 (1987) | 1 | 23595 | 23595 |
| 212 | ა/მანქანა კამაზ 5410 (1988) | 1 | 21780 | 21780 |
| 213 | ა/მონქანა კამაზ 5410 (1991) | 1 | 23595 | 23595 |
| 214 | ა/მანქანა კამაზ 55111 (1990) | 1 | 58080 | 58080 |
| 215 | ა/მანქანა კამაზ 5511 (1987) | 1 | 30855 | 30855 |
| 216 | ა/მანქანა კამაზ 5511 (1987) | 1 | 30855 | 30855 |
| 217 | ა/მანქანა კამაზ 5511 (1991) | 1 | 37208 | 37208 |
| 218 | ა/მანქანა კამაზ 5511 (1988) | 1 | 31763 | 31763 |
| 219 | ა/მანქანა კამაზ 5511 (1987) | 1 | 30855 | 30855 |
| 220 | ა/მანქანა კამაზ 5511 (1991) | 1 | 37208 | 37208 |
| 221 | ა/მანქანა კამაზ 5511 (1987) | 1 | 30855 | 30855 |
| 222 | ა/მანქანა კამაზ 5320 (1987) | 1 | 30855 | 30855 |
| 223 | ა/მანქანა კამაზ 5320 (1985) | 1 | 19965 | 19965 |
| 224 | ა/მანქანა კამაზ 5511 (1988) | 1 | 30855 | 30855 |
| 225 | ა/ამწე მაზ 5334 (1984) | 1 | 36300 | 36300 |
| 226 | აწ. კრანი კს 4361 ა (1990) | 1 | 50820 | 50820 |
| 227 | ა/ამწე კს 4561 კრაზ 257 (1986) | 1 | 41745 | 41745 |
| 228 | ა/ამწე კს 3577 10 ტონ. (1988) | 1 | 54450 | 54450 |
| 229 | ბულდოზერი დზ 606 (2001) | 1 | 49500 | 49500 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 230 | ბულდოზერი დზ 170 (1988) | 1 | 37400 | 37400 |
| 231 | ბულდოზერი დზ 170 (1989) | 1 | 38500 | 38500 |
| 232 | ექსკავატორი ეო 2621 (1989) | 1 | 35200 | 35200 |
| 233 | ექსკავატორი ეო 4321 (1988) | 1 | 35200 | 35200 |
| 234 | ექსკავატორი ეო 3326 (1991) | 1 | 36300 | 36300 |
| 235 | მისაბმელი რმზაპ 5208 (1982) | 1 | 3300 | 3300 |
| 236 | მისაბმელი უპრ 1207 (1982) | 1 | 3300 | 3300 |
| 237 | მისაბმელი პპ 1407 (1989) | 1 | 4180 | 4180 |
| 238 | მისაბმელი პპ 12 12 (1990) | 1 | 4400 | 4400 |
| 239 | მისაბმელი ოდაზ 93571 (1990) | 1 | 4400 | 4400 |
| 240 | მისაბმელი ოდაზ 93571 (1990) | 1 | 4400 | 4400 |
| 241 | მისაბმელი ოდაზ 9370 (1990) | 1 | 4400 | 4400 |
| 242 | ა/გრეიდერი დზ 143 (1986) | 1 | 33000 | 33000 |
| 243 | ამწე ბალკა (1992) | 1 | 460 | 460 |
| 244 | დანადგარი სახარატე 26361108 (1984) | 1 | 1815 | 1815 |
| 245 | ცისტერნა 5 ტ. | 1 | 726 | 726 |
| 246 | ზეთის კალონკა კერ 367 | 1 | 61 | 61 |
| 247 | ზეთის კალონკა კერ 367 | 1 | 61 | 61 |
| 248 | ვაგონი სახლი საცხოვრებელი | 1 | 1078 | 1078 |
| 249 | შედუღების აპარატი დ144 | 1 | 2541 | 2541 |
| 250 | გაზიანის საკუთარი ბაზა 1200 კვ. მეტრი | 1 | 110000 | 110000 |
| 251 | ა/მანქანა კამაზი 5511 (1995) | 1 | 39930 | 39930 |
| 252 | ავტომანქანა მესხდესი 123 სპეც. ბეტონმრევი (1996) | 1 | 115500 | 115500 |
| 253 | ავტომანქანა კრაზი 250 ბეტონმრევი (1998) | 1 | 64295 | 64295 |
| 254 | ავტომანქანა კამაზი 55111 ბეტონმრევი მიქსერ (1995) | 1 | 67100 | 67100 |
| 255 | ა/მ კამაზი 55111 თვითმცლელი (1989) | 1 | 36300 | 36300 |
| 256 | ა/მ კამაზი 55111 თვითმცლელი (1989) | 1 | 25163 | 25163 |
| 257 | ა/მ MAN №35 372 ბეტონმრევი (1995) | 1 | 61710 | 61710 |
| 258 | ა/მ DAF №85 360ბეტონმრევი (1996) | 1 | 63525 | 63525 |
| 259 | ა/მ DAF №85 436ბეტონმრევი (1998) | 1 | 70785 | 70785 |
| 260 | ა/მანქანა კამაზი 5511 (1990) | 1 | 36300 | 36300 |
| 261 | ა/მანქანა კამაზი 53213 (1986) | 1 | 20873 | 20873 |
| 262 | ა/მ DAF №85430 ბეტონმრევი (1996) | 1 | 63525 | 63525 |
| 263 | ბულდოზერი დზ 170-1 (1989) | 1 | 36300 | 36300 |
| 264 | ვაგონი საცხოვრებელი | 1 | 7260 | 7260 |
| შ.პ.ს. „თბილისი-1" | | | | |
| 265 | გაზ-2705 ტხტ-375 (გაზელი) (2003) | 1 | 13431 | 13431 |
| შ.პ.ს. „თბილისი-2" | | | | |
| 266 | მობილური ტელეფონი | 1 | 88 | 88 |
| 267 | მობილური ტელეფონი | 1 | 55 | 55 |
| 268 | წყლის ავზი | 1 | 88 | 88 |
| 269 | მეტალიკური ავზი | 1 | 110 | 110 |

სულ სს სამშენებლო კომპანია „თბილისის" სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადაგენს 3 254 517,00 (სამი მილიონ ორასორმოცდათოთხმეტი ათას ხუთასჩვიდმეტი) ლარს.
მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ რაიმე უფლება ამ ქონებაზე ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციას.
აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.
ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციასთან შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.
დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ მისამართზე: თბილისი, ცოტნე დადიანის №30

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

## აუქციონის ჩატარების შესახებ

(მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექცია 2009 წლის 29 იანვარს დღის 14.00 საათზე, ქ. ბათუმში შავშეთის ქ. №4 (საგადასახადო ინსპექციის შენობა) შ.პ.ს „სოლარ გეორგია"-ს ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით, რომელიც მდებარეობს ქ. ბათუმი, 26 მაისის ქ. №51ა ატარებს აუქციონს.
სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შ.პ.ს „სოლარ გეორგია"-ს" შემდეგი ქონება.

| № | ქონების დასახელება | ქონების ზომის ერთეული და რაოდენობა | ქონების საწყისი ფასი (ლარი) | ქონების მოკლე აღწერა |
|---|---|---|---|---|
| 1 | ავტომანქანა „ფოლკსვაგენ პასატი" 2.0 სედანი | 1 | 18550 | |
| 2 | ავტომანქანა „ტოიოტა ჰაიესი" | 1 | 7425 | |
| 3 | ავტომანქანის სპეციალიზირებული მისაბმელი „IMALATGI„ | 1 | 33825 | |
| | | | **59800** | |

სულ შ.პ.ს „სოლარ გეორგია"-ს სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადაგენს 59800 (ორმოცდაცხრამეტი ათას რვაასი) ლარს.
მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ რაიმე უფლება ამ ქონებაზე ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციას.
აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.
ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციასთან შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.
დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ მისამართზე:
თბილისი, ცოტნე დადიანის №30


## პაციენტების საყურადღებოდ !

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი გთავაზობთ **ულტრასონოგრაფიის** (ექოსკოპიის) მიმართულებით ბოლო თაობის, 2008 წლის აპარატურას და უახლეს **ექოსკოპიურ** ტექნოლოგიებს, რომელთა გამოყენებით ტარდება **ექოსკოპიური** გამოკვლევები კლინიკური მედიცინის ყველა მიმართულებით.

პაციენტების მიღება წარმოებს წინასწარი ჩაწერით.
მიღების საათები: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 9 სთ-დან 18 სთ-მდე, შაბათს - 9 სთ-დან 15 სთ-მდე.

მის.: დავით ტატიშვილის
სამედიცინო ცენტრი თბილისი, თენგიზ აბულაძის 20
(ვაკე, „სამების" ეკლესიის უკან)
**ტელ.: 91 31 19; 91 32 42;**

# განცხადება
# საერთაშორისო ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს საერთაშორისო ტენდერს 2009 წლისათვის საავტომობილო საწვავის შესყიდვის მიზნით და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს. დაფინანსების წყარო – საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახსრები.

2. დაინტერესებულ პირებმა ტენდერში მონაწილეობისათვის უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით. ჩვენი რეკვიზიტები: „ბანკი რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, საიდენტიფიკაციო კოდი 211350928, ანგარიშის №345919, ბანკის კოდი 220101757 **გადახდის დანიშნულება – სატენდერო მოსაკრებელი, საავტომობილო საწვავის შესყიდვა,** სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი უნდა წარმოადგინოთ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ. სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია. სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა 2008 წლის **29 დეკემბრის 12:00 საათიდან** 2009 წლის 19 **იანვრის 19:00 საათამდე**, ქ. თბილისი დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ. სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი.

3. შესყიდვის საგანი:

| ლოტი № | საქონლის დასახელება | ზომის ერთეული | რა-ბა | მიწოდების ადგილი | მიწოდების ვადა |
|---|---|---|---|---|---|
| კახეთის რეგიონი | | | | | |
| 1 | ბენზინი "პრემიუმი", ოქტანური რიცხვი არანაკლებ აი-95 | ლიტრი | 67600 | მიმწოდებლის საკუთარი ბენზოგასამართი სადგურებიდან | ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად |
